

ଓଡ଼ିଆକୁଣ୍ଡଳ
ବ୍ୟାକ୍ସନପରିଷଦ

K 15.853
9

ამინანი

საბჭოთა მწერალი

1945

ଅମିରାନ୍ତି

ଶିତତଳତଙ୍ଗିଥର୍ମ ପଟ୍ଟିମା

ଧର୍ମବିଜ୍ଞାନୀ ଏବଂ କମିଶରାପରିଷଦୁ
ପାଣ୍ଡିତୀ ଚାରିପଦ୍ମମନୋ ମହାନ

K15.853
2

ଲେଖକରୀ ମହାନାନ୍ଦ
19 ପବ୍ଲିକ୍ ପାତ୍ର : 45



შ ე ს ა ვ ა ღ ი

ქართული კულტურის ძარღიაში უძველეს დროიდან ჩენესანსის ეპოქამდე რამდენიმე მთავარი და შენიშვნელოვანი მომენტია, რომლებიც განვითარების მაგისტრალურ ხაზს რამდენიმედ მაინც ნათელჲყოფენ.

მათ შესახებ ყოველთვის საკმაო ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ცნობაში მოყვანილი ფაქტები და ძეგლებიც იძლევა ერთგვარ საშუალებას დადგენილ იქნას სახე ქართული კულტურის მთავარ ეტაპებისა. ბუნებრივია რომ ამ ძეგლების შესწავლის გზა შექცევითია მისი ისტორიული წარმოშობის პროცესთან შედარებით. მეცნიერებას თავდაპირველად საშუალება მიეცა უფრო ახლობელი ძეგლების შესწავლისა, რც მათთან ერთგვარ კავშირში მყოფ ადრინდელ ძეგლებს ასე თუ ისე მიუთითებდა და მათს შესწავლის მოითხოვდა და შესაძლებელსაც ჰყოფდა.

ამრიგად XII საუკუნის ქართულ ჩენესანსის ძეგლებმა დაყენეს საკითხი; მათი ძირების შესწავლასთან დაკავშირებული. იდეოლოგიაში—იოანე პეტრიშვისა და საზოგადოებრივ ქართული ნეოპლატონიზმის შესწავლაში მეცნიერება მიიყვანა ეფრემ მცირეს იმ საქმემდე; რომელიც, არეოპაგისტულ წიგნების გაქართულებაში გამოიხატა. ლიტერატურულ-იდეოლოგიური ოვალსაზრისით დასხვა საკითხი ექვთიმე ივერია და მის მიერ ქართულიდან რომანის „სიბრძნე ბალავარისა“ ბერძნულად თარგმნის შესახებ.

აქედან, როგორც ძირი ქართულ ადრინდელ აზროვნებისა, რომელმაც შესაძლო გახადა ქართული ნეო-

პლატონიზმი, შარმოიშვა პრობლემა არეოპაგისტულ
შეინების აფტორისა.

უკანასკნელის შესაძლებლობა საქართველოში თავს-
დება. IV ს. კოლხიდის (ფაზისის) აკადემიის შესაძლებ-
ლობის ფარგლებში. თემისტე — ამ აკადემიის არსებობის
ძეგლის ავტორი, თვითონვე ისესნიებს აჩვინავტების
შესახებ პოეტურ ამბავს. უკანასკნელის რეალური მხა-
რე დღეს შეციირებისათვის ასე თუ ისე ნათლად უნ-
და ჩაითვალოს. იგი ეხება კულტურულ ურთიერთობის
ისეთ ამბავს, როგორიცაა ოქროთლამწერლობის ისტა-
ტობის შესწავლა კოლხიდაში¹.

თუ აჩვინავტების შესახებ თქმულებას პირველ ათა-
სეულის VIII საუკუნის აქეთ ვერ ვიგულებთ, გაშინ
ამიო არა მარტო გადავდივართ ქართულ წარმართობის
ხანაში, არამედ მის იქნით კიდევ რჩება მნიშვნელოვანი
საკვლევო გარემოებაზი.

აქ გზას გვიჩვენებენ მატერიალური კულტურის
ძეგლები. მათში სჩანს რკინის დამუშავების საფეხურე-
ბი, რომელთა შორის წრთობას რევოლუციური მნიშ-
ვნელობა ჰქონდა.

სტიქიონების გამოყენება ბუნების ძალებზე გამარჯ-
ვებისათვის მთელი კულტურიობის, თუ ცალკე ხალხების,
ისტორიაში — ასეთია მითოლოგიის წყარო მარქსის აზ-
რით.

„ყოველივე მითოლოგია სძლებს, იმორჩილებს და
აფორმირებს ბუნების ძალებს წარმოსახვაში და წარ-
მოსახვის საშუალებით“².

მთებს საფეხურები აქვს. მარქსის ნათევამი უფრო
ადრინდელ საფეხურს ეხება, როცა ბუნების ამათუმშ
სტიქიონის გამოყენება მხოლოდ ოცნებად, მაზნად,
მომავლის საქმედ ისახება. ამას მოჰყვება მეორე სა-
ფეხური, როდესაც საწარმოო განვითარება წინ დგამს

¹ ამის შესახებ ცნობები ბერძენ მწერალთან, პარაქს პერგამო-
ნელთან Monumenta histociorum grecorum, III, 639.

² М. и Э., Соч., т. XII, стр. 203, „Введение в критику
политической экономии“.

ნაბიჯს. „წარმოსახვაში ანუ მითოლოგიაში განცდილი — წინაისტორიული ეპოქაა“, — ამბობს კ. მარქსი ჰერმან გელის სამართლის ფილოსოფიის“ კრიტიკაში¹. ამავდროის ქართველ ტომთა კულტურა II ათასეულშიაც არაა წინაისტორიულ ვითარებაში, რომელშიაც თითქოს არ უნდა ჩანსეს ბუნების ძალთა საგრძნობი გამოყენება. რვინის დამუშავება და რვინის იარაღის დამზადება საგრძნობ ევოლუციას განიცდის, ხდება „ჭედიდან“ „ურთობაზე“ გადასვლა, რაც რვინის დამუშავებაში ცვცხლის გამოყენებას ნიშნავს. ეს კი, როგორც გამოირკვა, „ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში“ / გადასვლას ნიშნავს.

სეთი საფეხური მითოლოგიაშიც ცვლილების გამომ- წვევი უნდა ყოფილიყო. მითოლოგიურ წარმოდგენებს აფეშილი უნდა დაეთმო უფრო ფართო და დაზვერილ შემოქმედებისათვის, რომელიც, მართალია, მითების ნიადაგზე დარჩებოდა, მაგრამ მხატვრულ-ეპიურ შე- მოქმედებას საფუძველს ჩაუყრიდა.

როცა ფრ. ენგელსი ლაპარაკობს ბერძნების გადასვ- ლაზე ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში, აღნიშნავს, რომ მათ ბარბაროსობის ხანაში შექმნილ მითოლოგიის გვერდით და მის მომდევნოდ „გადმოიტანეს ბარბარო- სობიდან ცივილიზაციაში“ პომიროსის ეპოსი — მითო- ლოგიის შემოქმედებით ასახვა.²

ამრიგად, მითოლოგიის ხელოვნებამდე ამაღლება ბარბაროსობიდან ცივილიზაციისაკენ გადასვლას უკავ- შირება. ხელოვნების ასეთ ნიმუშად ენგელსი პომი- როსის ეპოსს ასახელებს.

მითოლოგიურ სახეთა შორის, არის ერთი, რომელიც კ. მარქსს ყველაზე კეთილშობილ წმინდანად და წამე- ბულად მიაჩნდა — ეს იყო პრომეთეს სახე — მისი სახე უკავშირდება ცვცხლისა და ლითონის დამუშავების მომენტს.³

¹ М. и Э., Сочин., т. XIV, стр. 322.

² Энгельс—Происхожд. семьи, соб. соч., т. XVI, ч. 1, стр. 13.

³ М. и Э., Соч., т.. стр. 12.

მარქსისა და ენგელს არ ჰქონდათ საშუალება ქართულ
მითოლოგიაზე ემსჯელნათ. მათი ნათქვამი მეცნიერობა
ზის მიერ შემდგომ დროში ლითონის — კერძოდ რკინის
დამუშავებილი გამორკვეულ ფაქტებზე რომ გადავი-
ტანოთ, მათ მიერ საბერძნეთზე ნათქვამი ქართველ
ტომთა კულტურას კიდევ უფრო მეტის სიცხვდით
მიუდგებოდა.

რკინის „ჭედვიდან“ — „წრთობაზე“ გადასვლა ქარ-
თველ ტომთათვის II ათასეულში (ჩვ. ეპ.) წარმოების
ის რევოლუცია იყო, რომელიც „ბარბაროსობიდან ცი-
ვილიზაციისაკენ გადასვლას“ ნიშნავოა. ამ ფაქტს მითო-
ლოგია ე. ი. მსოფლიოსა და მისი ძალების მითიურ-
რელიგიურ არსებებით დასახელებდი უნდა გადაეყვანა
ჰემოქმედებითი ასახვის ეპიურ საფეხურზე. ბუნების
წყობის განსახიერებას ღმერთების მითიური სახეები
წარმოადგენდა; ცეცხლის გამოყენების ლითონის დამუ-
შავებისათვის — ღმერთების წინააღმდეგ იჯაბყების სახე
უნდა მიეღო. ამან შეშქმნა ღმერთის შებრძოლის — ამი-
რანის სახე ქართულ მითოლოგიურ ეპოსში.

კ. მარქსი ამბობს „ჭეგელის სამართლის ფილოსოფიის
კრიტიკაში“: „ბერძენთა ღმერთებს, ერთხელ ტრაგიკუ-
ლიდ დაჭრილთ სასიკვდილოდ ესხილეს „მიჯავაულ
პრომეტეში“, მეორეხელ კიდევ მოუხდათ კომიკურალ
ცომკვდარიყვნენ ლუკიანეს „ბაასში“. კ. მარქსის, რომ
საშუალება ჰქონებოდა ქართულ „ამირანს“ გასცრობო-
და, იგი ღრუბელით უფლის სასიკვდილოდ დაჭრას ამი-
რანის მიერ დრამატულ მომენტად ჩასთვლიდა და
ესხილესა და ლუკიანეს ნაწარმოებთ მოგვიანო ადგილს
მიუჩნევდა.

ჩვენ ვერ მივეცით საშუალება მსოფლიო მეცნიე-
რებას გაეცნო ისეთი ძეგლი ქართული და იმავე დროს
საკაცობრიო კულტურისა, როგორიცაა ქართული ჭი-
თოლოგიური ეპოსის ძეგლი — პოემა „ამირანი“. აქამდე
არ მოხერხდა ამ ძეგლის სათანადო შესწავლა, ხალხში
დარჩენილ ჩანაწერების შედარებითი ანალიზი, სოუზე-
ტის დადგენა ამ ვარიანტების ნიადაგზე. არაა გაკეთე-
ბული დამაქმატოლებელი ცდა ძეგლის შეღუნის

ეპოქისა და მისი შესაძლებელი ეჭვპანსიის' გამორკვე
ვისა. რაც გაკეთებულა ამ მიმართულებით არ აღმოჩენ
და საკმარისი საერთაშორისო მეცნიერების ყურადღება
ბის, ამ ძეგლზე შესაჩერებლად. აკადემ. 6. მარის,
პ. კეპელიშვის და სხვ. შრომები ერთგვარი დასაწყისია
საჭირო ღაბაუდებელი მუნიციპალიტეტის, შაგრამ
აღნიშნული მიზნისათვის ისინი საკმაო არ აღმოჩნდენ,
არაფერს გამბობთ თვით ძეგლის პირვანდელ სახის
აღდგენის ცდაზე.¹

ასეთი რესტავრაცია რამდენიმეჯერ უცდიათ ჩვენს
ძეგლებს, მაგრამ მათ შორის, როგორც დავინახავთ,
პირვანდელ ძეგლის რესტავრაციად, უგონებ, ვერც ერ-

¹ ქართული „ამირანის“ ზეგაფლენით შედგენილია ოსური ვარი-
ანტი „ამრან“. ვ. ა ბ ა ე ვ ი სწერს ოსური „ამრანის“ რუსულ თარ-
გმნის წინასიტყვაობაში: „Осетинские сказания об Амране
непосредственно примикают к народно-грузинским,
в особенности сванским и пшавским версиям и разде-
ляют все их особенности.“ ეს ხაზგასმა ხალხური ვარიანტი-
სა, როგორც ვნახავთ, სწორედ პირვანდელ ძეგლს ეხება, რომელიც
ამ ვარიანტშია დაცული. ვ. ა ბ ა ე ვ ი აღნიშნავს, რომ „ოსური შე-
ნატანი“ ამირანზე თქმულებაში არის მხოლოდ ზოგიერთი „ეპიზოდი
და დეტალი“ (იხ. Осетинский эпос. Амран. Перевод, обработка и комментарий Дзахо Гатуева. Предисловие В. Абаева.
Изд. Academia, Москва—Ленинград, 1932, стр. 19).

მიუხედავად ამისა ოსური ვარიანტი „ამირანის“ ცნობილია
შილფით მეცნიერებისათვის. ასე, მაგალითად, გამოჩენილ მკვლე-
ვარს ბერძნული მითოლოგიისა L. Preller-ს არავითარი წარმოდგენა
არა აქვს ქართულ „ამირანზე“, მაშინ, როდესაც ოსური ვარიანტის
შესახებ იგი სწერს:

„კაგვასიას, რომელიც მდიდარია ვულკანზე მოვლენებით, ჩანს,
შეუქმნია მოსახლეობაში თქმულებანი მიჯავდულ გმირის შესახებ და
ისინი პრომეთესთან დაუკავშირებია, რომლის შესახებ ოსური დღე-
მდე მოვითარობენ „Græcchi sche Mythologie“ წიგნი პირველი, გამ.
მე-4, ბერლინი, 1894 წ. გვ. 101, შენ.

ასეთია შედეგი იმ ზოგიერებისა, რომელსაც ხშირად
იჩენენ ქართული კულტურის მკვლევარნი; მის მეოხებით ფერხდება
ჩართული კულტურის ძეგლთა გამოვლენა.

თი ვერ ჩაითვლება. ეტყობა ყველაზე ახლო ძეგლთან
უნდა იღვეს ყველაზე აღრინდელი რესტავრაცია, რომ
შელიკ მოსე ხონელს უნდა ეკუთვნოდეს. მოსე ხონე-
ლის მიხედვით გაკეთებულ რესტავრაციის პროზაული
გადადეთება და XVII ს. გალექსილი გარიანტი შედა-
რებითი ლირებულებისა და პირვანდელ ძეგლისაგან
ფრიად დაშორებული უნდა იყოს. ქრისტიანული ინ-
ტერპრელაციებმა და გადაკეთებებმა, ჩანს, კიდევ უფ-
რო დაგვაშორეს პირვანდელ მითოლოგიურ ძეგლი-
საგან.

რას წარმოადგენს დღევანდელი „ამირანი“? 450-მდე
ლექსი, შესაძლოა ზოგ ნამსხვერევს ხალხურ სიმღერებ-
ში შემონახულს, და მოთხრობათა გარიანტებს. ლექსის
შდგომარეობა ნიმუშია მისი ფრაგმენტულ აღნაგობისა.

ზოგ შემთხვევაში დაცულია მთლიანი „სტროფი“,
რომლის პრინციპია სარითმო სიტყვის უმეტეს შემთ-
ხვევის გარითმეა, ზოგში გარითმეა მცირე მოცულო-
ბისა. ყველაზე დამახსინათებელია, რომ დარჩენილია
ზოგი სტროფი ორი პრეკარით, რომლის რითმა მცირე
კუკარის ბოლოა.

სიუჟეტის აღსაღენად სახელმძღვანელოდ უნდა იქ-
ნას მიღებული დაცული ლექსის მასალა.

აქედან ამოსვლით უნდა შეკრულ იქნას სიუჟეტი
მოთხრობითი ვარიანტების ნიადაგზე.

ლექსს შეუძლია შეიტანოს ცოტაოდენი ცვლილება
მოთხრობის ვარიანტებში.

პირიქითაც, თხრობითი ვარიანტს შეუძლია ზოგ შემ-
თხვევაში შესცვალოს ლექსის მონტაჟი.

ქართული ძულტურის ქვლევის საკითხები არ დგას
განცალკევებულად სხვა ქვეყნების ასეთივე საკითხე-
ბისაგან: ისტორიულ განვითარების საერთო კანონზო-
მერება სავალდებულოა ჩვენი ქვეყნისათვისაც და
არავითარი განსაკუთრებული და სპეციფიური გზების
ძებნა საჭირო არაა. მითოლოგიური ხანა, ანტიკა ვიწ-
რო გაგებით, ფეოდალიზმი და რენესანსი — ასეთია
ეტაპები, განვლილი ისტორიის მიერ და ამ გზას არც
აღმოსავლეთი საერთოდ და არც საქართველო, კურ-

ოთვ, გვერდს ვერ აუქცივდა და არც აუქცივდა. თუ
რენესანსის პრობლებამ ანტიკურობის პრობლემა და
ყენა, რაც ისტორიულმა კვლევა-ძიებამ გაამართლა სკოლა
თართველოს მიმართაც, ასევე ისმის მითოლოგიური ხა-
ნის პრობლემაც. კულტურა კომპლექსია არა მარტო
შენაარსეულად ე. ი. სტატიკაში, არამედ დროულ გან-
წყდობადობაშიაც ე. ი. გენეტიკაში. პსეთია დიალექ-
ტიკურად გაგებული ისტორიულის და სისტემატიურის
ნაერთი.

თუ საქართველოს თავისი რენესანსი და ანტიკა
ჰქონდა, მას თავისი მითოლოგიური ხანაც უნდა ჰქო-
ნებოდა. რა თქმაუნდა მას იგივე ნიშნები ახასიათებდა,
რომლებიც მარქსმა და ენგელსმა ოღნიშნეს, როგორც
მითოლოგიური ხანის ნიშნები საერთოდ. ასეთივე იქ-
ნებოდა მათვანევ აღნიშნული ასახვა მითოლოგიური
ხანისა ეპიურ პოეზიაში. ასეთი ძეგლი თავდაპირველად
ცხადია, ზეპირი იქნებოდა, რაც პირობების მიხედვით,
შემდგომ ხანაში ან ჩაიწერებოდა იმავე სახით, რო-
გორც იგი შეიქმნა, ანდა გადამუშავდებოდა თანამედ-
როვე სოციალ-იდეოლოგიური გარემოს მიხედვით.

ძეგლი, რომელიც აღნიშნული თვალსაზრისით უნდა
იქნას შესწავლილი, როგორც ქართული მითოლოგიის
პოეტური უკუფენა, უნდა იყოს, ყველა მონაცემის მი-
ხედვით, „თქმულება ამბრანის შესახებ“. სახე, რომლი-
თაც იგი ჩევნამდე მოღწეულია, ცხადია, არაა და არც
შეიძლება იყოს პირვანდელი. უშველია ძეგლს მთელი
რიგი ცვლილებანი განუცდია. მეცნიერების მიერ ნაცა-
დი საშუალებები ამ შემთხვევაშიაც უნდა იქნას გამო-
ყენებული ძეგლის პირვანდელი სახისა და მისი მომ-
დევნო ვარიაციების მიახლოებით დასადგენად. შედა-
რებითს მეთოდს ენათშეცნიერებასა და კულტურის ის-
ტორიის მონაცემების მიხედვით ბევრის გარკვევა შე-
უძლია, მაგრამ მთავარია მარტინც თვით ძეგლის არქი-
ტექტონიკა და მასში დაცული ადგილების გამოვლენა
და შესწავლა.

„ამირანის“ არქიტექტორნიკა



„ამირანის“ ტექსტი მეცნიერული თვალსაზრისით იდნებადაც არაა შესწავლილი - ის, რაც დოქტ. ხელი გვაძეს, შეიცავს 450-მდე ლექსის და პროზაულ ჩანაწერებს. თვითეულ ამ ნაწილს თავისი ნაკლი აქვს, რომელიც დადგენილ უნდა იქნას მეცნიერულად, რადგან ჩვენი მიზანია ძეგლის არა მარტო შესწავლა, არამედ მისი დაცულ ნაკვეთების რესტავრაცია, ხოლო დამსხვრეულ და ამოვარდნილ ნაკვეთების განახლება, ამიტომ ინტერპოლიაციების თუ სხვადასხვა ცვლილებათა დადგენა უნდა ემსახურებოდეს მათგან განწმენდის საქმეს.

დაცულ ნაწილთა შორის ყველა ერთი და იმავე ლირებულების არაა. ქრონოლოგიურ განსხვავების გარდა, რომელზედაც ცალკე იქნება ლაპარაკი, თვით აღნაგობა არაა ერთსახოვანი. ძეგლს დიდი ცვალებადობა განუცდა, ფენა ფენაზე დევს, უძველესი ძლასტი მეტნაკლებად ჩანს დანართს შორის და ხშირად ძნელი ამოსაცნობია. საზოგადოებრივ ფორმაციების ცვლა გონიერივად, იდეოლოგიურად და მსატვრულად გადანასკულია ერთი მეორესთან „ამირანის თქმულებათა“ იმ სახეობაში, რომელიც ჩვენამდე მოღწეულა.

ქართული კულტურის აღინიდელი ძერიოდი მსოფლიო კულტურის ჩასახვა-განვითარების გზებს უკავშირდება. ყოველ შემთხვევაში მეცნიერების დღვევანდელ ვითარებაში ეს ეხება წინააზისა და დასავლეთ ევროპის კულტურათა ისტორიას. მითიური ხანა, ანუ „ბარბაროსაბიძან ცივილიზაციაში გადასვლისა“, ისევე სავალდებულო იყო საქართველოს უძველეს კულტურისათვის, როგორც ეს გაირკვა მეცნიერებისათვის სხვა შემთხვევების მიმართ, კერძოდ დასავლეთის ცივილიზაციისათვის. შედარებითმა მეთოდმა აქ ბევრი უნდა გვასწავლოს.

ქართული მითოლოგიის ფრაგმენტალური შესწავლა კარგა ხნის საქმეა. გაეთიებული ცოტა არაა, მაგრამ საკვლევიც ბევრია. პალეონტოლოგიურ მასალათა შო-

რის პოეტიას უკანასკნელი აღგილი არ უჭირავს. ისეთი
ძეგლი, როგორიცაა „ამირანის თქმულება“, არა უკანასკნე
ლებ მნიშვნელოვანია, თუ მეტი არა, ვიდრე რომელიმე
საკულტო გამოსახულება ქვაზე ან ლითონზე, ანუ ად-
რინდელი წარწერა. ოქმულებათა უპირატესობა იმა-
შია, რომ ისინი უფრო ისტორიული არიან, ვიღრე და-
სახელებული სახის ძეგლები. თაობედან თაობამდე, ანუ
ფორმაციიდან ფორმაციამდე ცვლის დროს, თქმულე-
ბანი წარსულსაც ინარჩუნებენ და განვითარების მო-
მენტებსაც აღბეჭდავენ, „ამირანშიაც“ ასეა: პირვან-
დელ პლასტებს მერმინდელები მოჰყვება. უკანასკნელ-
ში ხალხური და მწიგნობრული ერთი მეორეშია გადაწ-
ნული და ამრიგად ხალხური და მწიგნობრული შემოქ-
მედებათა ბრძოლის საინტერესო მომენტებია შემონ-
ხული.¹

მეცნიერული ძიებისა და მხატვრული რესტავრაციის
მიზნები და სამუალებები უმოხვევა ერთი მეორეს „ამი-
რანის“ საკითხშიაც. იქ უძველესი საკომპოზიციო და
ოსტატობის ხერხებია დარჩენილი. შინაარსეულ-იდეო-
ლოგიურად ისინი უკუფენენ იმ სოფლწარმოდებენას,
რომელიც ქართველ ხალხს პქონებია იმ დროისათვის.
ყველაზე მთავარი საქმე ამ პლასტების გამონახვა და
გამოკვეთაა მეცნიერულად. შემოქმედებითი აღდგენი-
სათვის კი ამის იქეთ წასვლაა საჭირო. ძველი პლასტი,
აღმოჩენის შემდეგ, უნდა ჩაისხას იმ აღილს, რომე-
ლიც მას ისტორიულ-კულტურულად ეჭირა. ამისათ-
ვის საჭიროა შემდგომი დანართების გადამუშავება.

ხალხური შემოქმედების დაცვის უძველესი იარაღი
— ლექსია, თავდაპირველად მეტრულ-რიტმული. შემ-
დეგ მეტრულ-რიტმულიც. პროზა, მოთხრობითი სახვა,
უფრო მაღალი საფეხურია; ამიტომაცაა, რომ აზროვნე-
ბის და შემოქმედების საწყისები პოეზიაშია მოცემუ-
ლი. „ამირანიც“ იმთავითვე ლექსია, ანუ ლექსიდ
თქმული ეპიზოდები, ერთი მეორესთან შეერთებული

¹ ამის შესახებ ზედმიწევნით ჩვენს მონოგრაფიაში „რუსთაველი
და აღმოსავლეთის რენესანსი“.

и са ხაზებთ, რომლებიც აერთებდა ქართულ მითოლო-
გიურ სამყაროს პერსონაჟებს. სიუკეტი უფრო მითოლო-
გებია ეპიზოდებზე, რადგან ცალკე სფერო მითოლოგი-
სა, უფრო ვიწროა, ვიდრე მთელი სისტემა მითოლო-
გიური სოფულწარმოდგენისა.

გარდა ამ ზოგადი დებულებისა, რომელიც შეცნიე-
რებაში მიღებულია, კერძოდ „ამირანის“ ძეგლიც
ჩვარწმუნებს იმაშივე. დღემდე მოღწეული პროზაულა
ჩანაწერები უეჭველად შედეგია ლექსის დამსხვრევის
და ამ ნიადაგზე დავიწყებისა. უდავოა, რომ მსოფლიო
ფოლკლორმა მრავლად იცის ხალხური პოემები, რომ-
ლებიც შეგა და შიგ ლექსის გვერდით პროზითაცაა გა-
მართული.¹ ამ საკომპოზიციო ხერხით აგებული ძეგ-
ლები მოგვიანო ხანას ეკუთვნიან, როდესაც პროზა
უკვე განვითარებულია, როგორც თხრობის ფორმა.

„ამირანის“ ფორმა რომ იმ თავითვე ლექსი ყოფი-
ლა, ხოლო მოთხრობითი ფორმები — დავიწყების შე-
დეგია — სამისო საბუთი მრავალია:

1) ლექსი „ამირანისა“ ჩვენამდე მოღწეულია დამა-
ხვრეული სახით. ფრაგმენტი ხშირად ორი ტრანიტ
ამოიშურება, რაც შაირის მთლიან კომპლექსს არ შე-
ცავს. მაშასადამე, ნათელია, რომ ამ ნამსხვრევების ში-
ხედვით თქმულებას ლექსი აკლია და არა სხვა რამე.

2) ლექსის ფრაგმენტალური ნაშთების არსებობა
მოწმობს, რომ ისინი აღდგვენილი არ არიან; მაშასადამე
მათი ადგილი დაუშერია ტრადიციით შენახულ პრო-
ზაულ თქმულებებს.

3) თქმულებათა გაერთიანებას, რომელსაც შემდგო-
მი ხანის მიხედვით ჩვენც „თქმულებას ამირანზე“ ანუ
მარტივად „ამირანს“ ვუწოდებთ, ასე თუ ისე მაინც
ერთგვარი სიუკეტი აქვს. შემონახული ტრადიციული
თხრობა — რაიმე დამთავრებულ ნაკვეთების ანუ ეპიზო-
დების დანართი კი არაა, არამედ ფრაგმენტების და

¹ ჩვენს საბჭოთა ფოლკლორისტიკაში ასეთია უანლოესი ამო-
ცემა — უზბეკურ პოემისა „ალბამიშ“, — „Альпамыш“, Ташкент,
1944, предисл. В. Жифмульского.

ნამსხერევებისა. გაშასაღამე, პროზაული თხრობა კარგული ლექსის შეცვებაა.

4) ამასვე ადასტურებს, რომ ლექსს თითქმის არა აქვს გარიანტები, იგი ერთია, ხოლო პროზაული თხრობა სხვადასხვა სახისაა. ლექსს აქა-იქ, დალექტური, ან ინტერპოლატური ელემენტები ახასიათებს, პროზა-სცდება ჩვეულებრივი ვარიანტის ფარგლებს და არსებითს—სიუჟეტურ და კომპოზიციურ განსხვავების საზღვარს აღწევს.

5) პროზა მთლიანობის იდეას ემსახურება. მაյ მოთხრობის მთლიანობა ევალება; ეს გარემოებაც გვიანი ამბავია და ყოველ შემთხვევაში „ამირანის“ ასაკს არ ემთხვევა.

6) პროზაული ამბები „ამირანის“ შესახებ გვიან განჩდა და ძინი პოემა „ამირანთან“, დასაშვებია, ერთგვარ კავშირში იყვნენ, მაგრამ თავისი ნაირობით აჭვის ქვეშ აყენებენ თვით პოემა „ამირანში“ პროზაულ ჩანაწერებს.

ამრიგად, მრავალი გარემოება გვათიქრებინებს, რომ „ამირანის“ თავდაპირველი ფორმა ლექსია.

„ამირანის“ წარმოშობის პრობლემა

+ ძნელია დღეს ზუსტად დადგენა იმ ისტორიულ გარემოსი, რომელშიაც „ამირანი“, როგორც მითოლოგიური ძეგლი, უნდა შექმნილიყო ის საწარმოო გვატრიალება. რომელზეც მეცნიერება მოგვითითებს, დასაშვებია, ხანგრძლივი მომზაოების შედეგი იქნებოდა. მას თავის განვითარებაში ისეთ საფეხურამდე უნდა მიეღწია, რომ ილეოლოგიური ტეხილიც გამოეწვია და შემოქმედებაში დიდი ეპიური ნაწარმოები შეექმნა.

საქართველოს უძველესი კულტურის კერის ძებნას ჩვენი ჩვეუნის გარეთ მაინც და მაინც არ გავყავართ— ეს გზა ალგეთის მიდამოებსა და ორიალეთისაკენ მისდის. მას ტასავლეთთან კავშირი იმდენად კი არ აქვს, რომ იქ ქულტურის შევსებას ეძებდეს, არამედ დასაუკუთხოს აქვს მასთან კავშირი. ეს ამბავი დიპლომატიკაში

და მითოლოგიაში ერთნაირადაა გამოხატული. ხატუ-
შელ I II-ს ხელშეკრულება მისრის ფარიანთან რამ-
ზეს II-სთან ისეთივე მაჩვენებელია აღნიშნული და გამო-
რემოვბისა, როგორც არგოს ნავისა და იაზონის შესა-
ხებ დარჩენილი შითი.

რკინის ჭედვიდან რკინის „წრთობაზე“ გადასვლა
დიდი საწარმოო გადატრიალება იყო. მან დიდი ჯვა-
ლი დასტოვა ხალხთა ცხოვრებაში წინა აზიასა და აღ-
მოსავლეთ ევროპაში. ცეცხლში ნაწრთობ იარაოის
ხმარება აღნიშნულია პირველად სწორედ თრიალეთისა
და ალგეთის მიდამოებში. ბოლაზე ცნობილი არქა-
ვის ძეგლები ამ აშბავს II ათასეულის ბოლოს მია-
კუთვნებენ. ამის მიხედვით ვინკლერი ამავე ადგილებში
მიუთითებს: მისრში (ეგვიპტეში) ნაწრთობი იარალი შა-
ვი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ადგილებიდან მაჰ-
ქონდათო.

წინააზიაში—კრძოდ ტროაში, ნაწრთობი რკინა გაჩ-
ნდა მხოლოდ XI საუკუნეში ჩვენ ერამდე. ეს ღრი
მიკენის კულტურის შემდგომ ხანას ეკუთვნის. საფიქ-
როებელია, რომ საბერძნეთშიაც ამ დროიდან ნაწრთო-
ბი რკინის დარაღის ხმარება უკვე ცნობილი უნდა იყოს.
პაროსის ქვაზე III საუკუნეში აღნიშნული ცნობა
გვიანია, რაგრამ ისიც II ათასეულის მეორე ნახევარს
მიუთითებს. პაროსის ქვაზე აღნიშნული ცნობა შეიძ-
ლება მართალი იყოს და ბერძნებს სცოლნებოდათ ნა-
წრთობი რკინა უკვე XIV საუკუნიდან. როგორდაც
გარკვევას საჭიროებს მაშინ მხოლოდ ის გარემოება,
რომ ეპოსში ეს საწარმოო გადატრიალება გვიან გა-
მოხატულებას ჰპოვებს ე. ი. მხოლოდ IX - VIII საუ-
კუნეთა მიჯნაზე. ეს ფაქტი ყურადღების ღირსია. ამის
მიხედვით გამოდის, რომ ბერძნებს XIV ს. შეიძლება
კიდევ ჰქონებოდათ ცნობა. რკინის „წრთობის“ შე-
სახებ, მაგრამ ოვით საბერძნეთში იგი შევიდა, როგორც
საწარმოო ფაქტორი, სწორედ I ათასეულის დახლოე-
ბით იმ ხანაში, როცა მისი იღეოლოგიური უკუფენაც
სჩანს.

ამის და მიხედვით, თქმულებანიც, უშუალოდ და-
XIV

ქავშირებული წრთობილ იარაღის ხმარებასთან სა-
ბერძნეთში შედარებით უფრო გვიან უნდა შესულიყო—
ცხადია, რომ ამ დროისთვის საბერძნეთს უკვე შემუშა-
ვებული მითოლოგია ჰქონდა და აღნიშნული თქმულე-
ბანი დამოუკიდებელი სახით ვერ შევიღოდა, ელლი-
ნურ მითოლოგიურ თქმულებებში. მისი გზა უნდა ყო-
ფილიყო ერთგვარი გადამუშავება უკვე არსებულ ძი-
თოლოგიათა სისტემისა და მისი ზოგი პერსონაჟისა. ამ
თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია მეცნიერები-
სათვის ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი პერსონა-
ჟის—პრომეთეს შესახებ შემუშავებულ წარმოდგენაზე
ეკოლუცია.

ქართული „ამირანი“ პირდაპირ დაკავშირებულია
„წრთობილი“ იარაღის შემოლებასთან, ამდენად ივა-
ჭუშუალო უკუფენაა ქართულ ეპოსში ამ დიდი საწარ-
მოო გადატრიალებისა, რომელმაც ქართული წარმარ-
თული მსოფლიო შესძრა და მის ნიადაგზე გაიშალა.
„ამირანში“ არა მარტო მრავალი ფენაა, დროთა ვითა-
რებაში შექმნილი და დანალექი, არამედ იგი თავდა-
პირველად ცალკე ეპიზოდური თქმულებებს სახით
იქნებოდა. მაგრამ, ამ ნიადაგზე აღმოცენებულს, შედა-
რებითი დამოუკიდებლობასთან ერთად ნაწყვეტებს
ურთიერთშორის ქავშირი უნდა ჰქონდა; ამის თავდე-
ბია—კავშირი ქართულში მითოლოგიურ სისტემის ჩა-
წილთა შორის.

მთლიანი სიუჟეტი იმ თავითვე არც იქნებოდა, რად-
გან ასეთი ცნება გვიან შემუშავდა მითოლოგიის და-
შისტებების კვალად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არა-
ვითარი მთლიანობა არ იქნებოდა. მთლიანობის ცნე-
ბას, როგორც საწყისს, სავსებით აკმაყოფილებდა
ქართული მითოლოგიის გამთლიანების ნიადაგზე წარ-
მობილი ეპიზოდური თქმულებანი. ამდენად საკით-
ხი „ამირანის“ პირვანდელი მთლიანობის შესახებ ას-
შეიძლება დაისვას და გადიჭრას მთლიანი სიუჟეტის

¹ ამის შესახებ ვრცლად ჩვენს მონოგრაფიაში: „რესტავრები და
აღმოაკეთების რენესანსი“.

შესახებ შემცდომ ხანაში შემუშავებული ცნების პი-
ხედვით. ასეთი თვალსაზრისი ელემენტალური შემცდომა
რული შეცდომა იქნებოდა.

საქართველოშიაც მითოლოგიურ სიუჟეტის მოგვა-
ნო შემუშავებასთან კრთად მოხდა ცდა „ამირანის“
სათანადოდ გადამუშავებისა. ეს მუშაობა, როგორც
სჩანს, მოსე ხონელს შეუსრულებია, თავის პოემაში,
რომელიც მოხსენიებული აქვს რუსთველს „ვეფხის
ტყაოსნის“ ეპოლოგში. ეს გაერთიანება სიუჟეტსა
უნდა მომხდარიყო პროზაულ რომანის ამირან-დარეჯა-
ნიანის გახენამდე. ამას მოწმობს ის, ფაქტი, რომ დასახე-
ლებულ რომანში პოემა „ამირანი“ გამოყენებულია
როგორც უდვე მთლიანი ამბავი, რომლის ნიადაგზე
ახალი ციკლები იქმნება. უამისოდ იმ ტიპის ნაწარმოვ-
გი, როგორიცაა „ამირან-დარეჯანიანი“ ისევე შეუძ-
ლებელი იქნებოდა, როგორც „არტურის ციკლი“ და-
სავლურ საშუალო საუკუნეთა თვით არტურის შესახებ
პირვანდელ თქმულებათა გაერთიანების გარეშე. ამდე-
ნად შემოქმედებითი-ლიტერატურული განვითარების
თვალსაზრისით შემდეგი თანმიმღევრობა უნდა გაიტუ-
ლოთ: 1) პირვანდელი ეპიზოდური თქმულებანი, 2)
მათი გაერთიანება ერთ სიუჟეტურ მთლიანობად და
3) უკანასკნელის ნიადაგზე შექმნილი ციკლი. ციკლი,
რკალს ნიშნავს. რომელიც ლიტერატურულადაც შეიძ-
ლება ხან უფრო ფართო იყოს, ხან ვიწრო.

კომპოზიციონურად ადვილად შარმოსადგენია, რომ
ერთი და იგივე გაერთიანება თქმულებათა შემდეგში
მთელ დამოუკიდებელ თხზულებათა დასაყრდენი გახ-
დეს. ასე, მაგალითად, გამოყენებულია იგივე მეტე
არტურის შესახებ თქმულებათა გაერთიანება სხვადასხვა
დამოუკიდებელ თხზულებათათვის დასავლეთის ლიტე-
რატურაში. ამის საუკუთესო ნიმუშია ედმუნდ საენსე-
რის პოემა „ფერიული დედოფლი“. კიდევ უფრო
ადგილად მოსახერხებელი იქნებოდნ „ამირანის ციკ-
ლის“ ისეთი გაფართოება, რომ მასში სხვა დამოუკი-
დებელი თხზულებაც მოჰყოლოდა, იმ პირობით, რომ
მასშიაც ასეთი თუ ისეთი სახით „ამირანის“ საქმენი

იქნებოდა გამოყენებული. ასეთი შესაძლებლობას პირები როგორც დასაშვებია, რომ არაა მოკლებული მჩრდებული ნელობას აზრი, რომ „ამირანის“ ციკლში თეუნდაც იძვარად, როგორც იგი დაცულია „ამირან-დარეჯვანიანის“ სახით, ნაწილობრივ ან მთლიანად, შეცული იყოს რომელიმე იმდროინდელი თხზულება.¹

ჩვენ არ შეგვიძლია აქ ამ საკითხებს უფრო ვრცლად შეგვხოთ. ჩვენი მიზანია ყველა ზემორე ნათემამის ნიაღაგზე აღდგენილ იქნას „ამირანის“ ის უძველესი ეპიზოდები, რომლებიც დარჩენილა „ამირანის თქმულებებიდან“. ამისათვის საჭირო შეიქმნა თვით იმ ნაკვეთების - ამოცნობა და ერთგვარი წესრიგში მოყვანა. მაგრამ ამ ფრაგმენტების მნიშვნელობის ნათელყოფისათვის საჭირო იყო იმ შემოქმედებითი გარემოცვის აღდგენაც, რომელიც ისინი იმთავითვე, ან მახლობელ მომდევნო დროში იყვნენ მოქცეული. უკანასკნელი ჩვენ დრომდე მოღწეულია ორი სახით: ზამსხვრეულ სტროფების მცირეოდენ ნაწილების სახით, და პროზაულ ამბების სახით.

„ამირანის“ პრასტები

„ამირანი“-ს ლექსის სტროფიული ფრაგმენტები და პროზაული ჩანაწერები ერთგვარად ავსებენ ერთი მეორეს. ლექსური ნაშთი მნიშვნელოვანი ხდება, უკეთუ გამორკვეულია „ამირანის“ ფორმალი პოეტიკა. აქ გამორკვეული ნიშნები, ცხალია, თან ახლავს ფრაგმენტსა და ამის ნიაღაგზე აღვილი წარმოსადგენია თუ როგორი იქნებოდა მთლიანი სტროფის ფორმალ—პოეტიკური აღნავობა.

როგორც ითქვა პოემა „ამირანის“ მთლიანად დაცული სტროფები კატენური წყობისა ე. ი. მას არ აქვს

¹ ნათემამის მიხედვით საუგულებელო არ უნდა იყოს მკვლევარ კაორიჭაშვილის მიერ გამოთქმული აზრი, რომ „ამირან-დარეჯვანიანის“ სარგების თმოგველის თხზულების „დილარიანის“ რაღაც ქვალია საგულისხმებელი.

გარითმვის გარკვეული ოდენობა — ორეული, სამეული, ოთხეული და სხვ.. აზმედ სიტყვა იჩითმება იმზურა
ჯერ, რამდენჯერაც ამის ნებას იძლევა ქართული ენა
და რამდენჯერაც ამას ითხოვს ფაშულარული პასაჟი.
უკანასკნელი ხშირად დაცულია, როგორც ითქვა, პრო-
წაულ მოთხოვიბაში. ცხადია, შეუძლებელია იმის მტკი-
ცება, რომ ამ გზით აღდგენილ იქნან დამსხვრეული
სტროფები.

ეს ორც შესაძლებელია და ორც საჭირო. ჩვენი მიზა-
ნია მოთავსებულ იქნან გადარჩენილი სტროფები თა-
ვის ადგილზე, ამისათვის კი საკმარისია ის, რასაც იძ-
ლევა დამსხვრეული სტროფების ნაშთები და პროზა-
ული თხრობის ჩანაწერები.

შემცდარი ორ უნდა იყოს აზრი, რომ ჩვენ ამ შემთ-
ხვევაში თითქმის ისეთსავე ამოცანის წინ ვდგევართ,
როგორც არქიტექტურული ძეგლთა რესტავრატორი,
მაგრამ შედარებით უფრო ხელსაყრელ პირობებში.
არქიტექტორმა უნდა აღადგინოს ჩამოვარონილი კაპი-
ტელი ან რომელიმე ორნამენტი და მათი თავის ად-
გილზე მოთავსებისათვის იმიტაციის პრინციპით ამო-
ცხსოს ახალი მასალით ცარიელი ადგილები. პოეტური
ძეგლის რელიქტების ჩესტავზუაცია პრინციპულად
იგივეა, მაგრამ გარემო, თუმცა ფრანგმენტარული;
მაგრამ მაინც რელიქტის ნაშთს შეიცავს. დასუშვებია,
რომ პოეტური ძეგლის პლატფერმაც მიმართოს არ-
ქიტექტორის ხერხს და სრულიად ახალი მასალა იხ-
მაროს. მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს მაშინ, როცა ერთი
ნაკვეთის მეორეზე გადაბმაა საჭირო, რაც ნაკარნახე-
ვი უნდა იყოს რელიქტების შინაგანი კანონზომიერე-
ბით.

ასე მოვიქეცით ჩვენც. წარმოდგენილის სახით პოე-
მა „ამირანი“ შეიცავს სამ ელემენტს: 1) რესტავრირე-
ბულ ნაკვეთებს, რომლებიც მხოლოდ კრიტიკულ გა-
დათვალიერებას საჭიროებდნენ სხვადასხვა დანალექი-
სა და შერყვნისაგან გაწმენდის მიზნით, 2) ფრაგმენ-
ტების შევსებას მათი პოეტიკისა და დაცული პრო-
ზაულ პასაუების ნიაღაგზე და 3) ჩვენს მიერ ჩართულ

„გმირანის“ პოეტიკა

თავისთავად ცხალია, რომ შთავარი ისტორიულ-ლი-
ტერატურული და კულტურული მნიშვნელობა აქვს
დაცულ რესტავრირებულ ნაკვეთებს და ყველაზე წაკ-
ლები—ჩვენს ჩანართებს. მაგრამ ჩვენი საკვლევო მი-
ზანი—ქართული კულტურის მითოლოგიურ განსახიე-
რებაში წარმოდგენა—მიღწეული იქნება, თუ ჩვენ
დაცულ ნაკვეთების დატვირთვა, აღდგენა და თავის აღ-
ვილზე დაახლოებითი მოთავსება მაინც მოვახსერთ.
იმის გამო რესტავრატორული მუშაობა უკავშირდება
ხადანმახსლებლობის მუშაობას.

ჩევნს მიერ წარმოდგენილ პოემა „ამირანის“ ქეგლ-
ში მთავარია, ოოგორუც ითქვა, რესტავრირებული ნაკ-
ვეფები. მათ ერთგვარი ცვლილები განუცდიათ, მაგრამ
არსებითად ისინი მაინც დაცული არიან, ისინი ძირი-
თალში თუ ჯგუფად გაიყოფებიან: ადრინდელი ფენა
და ლიტერატურულად გადამუშავებული ფენა. ჩევნთ-
ების ყველაზე საინტერესო სწორედ ესენია, ჩევნ არც
შეგვეძლო გვეფიქრა, და არც გვიფიქრია ჩევნს მიერ
მოწოდებული ტექსტი პოემა „ამირანისა“ მთლიანად
რესტავრირებულ პოემად გაგვესაღებია. ეს, უპირვე-
ლესად ყოვლისა. მეცნიერულ მიზნის შერყვნა იქნე-
ბოდა. დაცული ტექსტის პირვანდელობის მაჩვენებე-
ლია მისი წარმართული ხასიათი. მისი ფორმა და ლექ-
სიკა ხალხურია და ამდენად ლიტერატურამდელი. იგი
ქართულ წარმართულ კალენდარს უკავშირდება, საი-
დანაც ორი ერთიმეორის გვერდით მოთავსებული
თვე—შირაკა და იგრიგა—საკმარისი მაჩვენებელია,
რომ „ამირანს“ საფუძვლად სიუკეტურადაც და იდეო-
ლოგიურადაც ქართული წარმართობა უდევს და ამდე-
ნად იგი საკუთარი და ადგილობრივია და არა ნასესხე-
ბი და შემოტანილი. „შირა“ — ბუნების გაცოცხ-
ლების პერსონალური დაცვა ჭარიულ წარმართულ

სამყაროში, რომელსაც თავსართი „ა“ და უკალის
ფიქსი „ნ“ („მოძრავი ელემენტია), როგორც აუცილებელი
რო ძირითადი, შეუნარჩუნებია. შეიძლება ამ წარ-
მართულ წარმოღვენასთან სინათლის ღმერთზე—მიმრასთან ან
მის განსახვერებასთან რომელიღაც აღრინდელ საფე-
ხურზე. სინათლის კონცეპცია საერთო იყო მთელი ში-
ნააზისაოვის და განსხვავება მის დუალისტურ, მონის-
ტურ თუ სხვა რაიმე სახით წარმოღვენაში იყო. ქარ-
თულ პახთეონში „დარის“ ანუ „ტაროსის“, მთავარ
ღმერთში სახით არსებობა აგრეთვე გვაფიქრებინებს,
რომ ქართველ წინაპართა კოსმოგონიას, ნათესაობა
წინააზის ხალხებთან გამორიცხული არაა. იმავე შე-
საძლებლობას აძლიერებს ის გარემოება, რომ „მარ-
დიული სხივის“ სახე, ვიდრე იგი აღმოსავლეთიდან
დასავლეთისაკენ დაიძგროდეს, ინდურ და ქართულ
კოსმოგონიას ახასიათებს და ორივე შემთხვევაში თით-
ქმის. ერთ ზა იმავე სახით წარმოიდგინება: „უდამო
დამე“, „უდამო მზე“ და ასე ამრიგად. შესაძლოა ეს მოწ-
მობდეს იმ შეხედულების სისტორიას, რომლის მხედ-
ვით ინდონი თავდაპირელად უფრო დასავლეთით
ცხოვრიბდნენ (მცირე აზის მახლობლად), საღაც მათ
წინაპარნი ქართველთა წინაპრებთან მეზობლობნენ.
დაშორების შემდეგ შუაში ჩადგნენ ერები სინათლისა
და ბნელის დუალისტური კონცეპციით.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს წარმოღვენას წყლის
ღმერთის „ივრის“ შესახებ. მისთვის განკუთვნილი
თვე—იგრიერი მირაკას თვის მომდევნოა. ამდენად
ქართული წარმართული კალენდარი იმავე სოფლგაგე-
ბას, ემყარება, რასაც ქართული მითოლოგია: „ამირან-
ში“ დეტალებიც კი განსაზღვრულია ქართული მითო-
ლოგით, კერძოდ ამირანის და იგრის ურთიერთობა
მათი ერთმეორის გვერდით ყოფნით არის განსაზღვ-
რული. იგრი საწყისია ცხოვრების, მისგან ხარობს ყო-
ველი, რადგან წყალი სიცოცხლის საწყისია, მაგრამ ეს
ღმერთი მრისხანება. მისი თვე—შუალდიდობის და ქა-
რიშხლების თვეა. მისი გულის მოგებაა საჭირო, მაგ-

რამ ამირანს ეს არ სჭირდება. ის იგრის მეზობელია
ქართულ ქალენდარის განრიგებაში.¹
„ამირანში“ მოხსენიებულია ოლგეთი, რითაც ხაჩვე-
ნებია სწორედ ის. ადგილი, რომელიც უდგება ისტო-
რიულ ჩვენებებს, კერძოდ მანქულობათა რაიონს
შევი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ვვით შავი ზღვა
— ძველი სპერის ანუ სპირის ზღვაა, რომლის სახელ-
იან დაკავშირებული იყო მაღისულის სახელშოდება—
სპირ-ლენჯი—სპილენძი. ამ სახით შევიდა ეს სიტყვა
სხვა ერების, სიტყვახმარებაში.² აქ არის გაშლილი
მნიშვნელოვანი ნაწილი პოემა „ამირანის“ მოქმედები-
სა. იგრის როლი რომ დიდია პოემაში՝ იქცდანაც ჩანს,
რომ მთელ ამ რაიონს და მის მთავარ მდინარეს მისი
სახელი დარქმევით იგრი-სი (სამეგრელო) და ი(ნ)გირი
(ინგური). ამით საქმიანდ გამორჩეულია პოემა „ამი-
რანის“ სამოქმედო არე და მასი კავშირი ქართულ
წარმართობასა და მითოლოგიასთან.³

„ამირანის“ ცალკე ადგილები, ამრიგად, სხვადასხვა
ასაკისაა, შემდგომ დანართებს თუ შეცვლაც თავისი
ისტორია და მნიშვნელობა აქვს და მომავალი მეცნიე-
რული ძიება ამ მხრივ ბევრს რასმე გააჩვევეს. ჩვენი
პიზნებისათვის მთავარია უძველესი ფრაგმენტები,
რომლებშიაც მოცემულია ქართული მითოლოგიას
უცილობელი სახე. ამ მითოლოგიას სახე ძალიან აღრინ-

¹ „იგრის“—წყლის უფალის და სიცოცხლის საწყისის იდეა, ჯერ საიგრისოში შემუშავებული, მითოლოგიის დასისტემების ხანა-
ში მთავარ ღნეროთების წყობაში გადადის. ეს არა მარტო „ამირა-
ნის“ დამუშავებას ემთხვევა, არამედ მისი საბერძნეთში შესვლის
გზას უნდა უჩვენებდეს.

² ი. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი ვი-
რცელი და მეორე, თბილისი, 1913., გვ. 79.

³ შესაძლოა, რომ „იგრი“, როგორც წყლის სახელი, ისევე შევი-
და ბერძნულ ენაში, სადაც იგრე (ი) წყალსაცა და მდინარესაც ნიშ-
ავდა, როგორც ლითონის სახლები და ორივეს ძირი ქართულ
კულტურის აღრინდელ გავლენათა კვალს აღნიშნავდეს. ეს საკი-
ონი ცალკე გამოკვლევას საჭიროებს.

დელია, ოქმულებებიც, კხადია, ერთ დღეს არ შექმნილი
და მათი ასაკი კიდევ უფრო ადრინდელი ჩანს.¹ პირები
მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის შემდგომი
საფეხურების, კერძოდ რენესანსის ფაზის, კვლევისათ-
ვის.

თუ წყლის ღმერთი—იგრი პერსონიფიცირებულია
ძმირანის გვერდით და მის დამხმარედ, როგორც გა-
ცოცხლების და განახლების შემძლე, ასევე პერსონი-
ფიცირებულის სხვა სტიქონონთა და ბუნების ძალთა
ღმერთები და მოყვანილია ძმირანთან ერთგვარ კავ-
შირში. ესაა პოემის ქარგა, ქართულ მითოლოგიურ
ძირზე გამოყვანილი და გაკეთებული. იგვე ეხება
ქალწმერთ ყამარს ანუ ყამარ-ქალს. იგი ელვის ანუ
ზეციურ ცეცხლის პერსონიფიციაა, ძასთანაა დაკავ-
შირებული სითბო, როგორც სიცოცხლის მაჩვენებელი.
აზირანი—ბუნების გაცოცხლების სიმბოლო ისევე ის-
წრაფის ყამარისაკენ, როგორც იგრისაკენ. გაზაფხუ-
ლის დადგომა ელვა-ქუხხალით, წვიმით და წყალდიდო-
ბით, ხორციელდება. ამიტომ ეჭრვის პირანი ყამარს;
მას როგორც მიწის შვილს ესაჭიროება ცეცხლი და
წყალი. ასე მოუყარა თავი ქართულმა მითოლოგიურმა
კოსმოგონიამ ამ სამ ძირითად ელემენტს ანუ „კავ-
შირს“—როგორც იტყვის ქართულ რენესანსის იდეო-
ლოგიური მეტრომშე XII საუკუნეში. მეოთხე „კავში-
რი“—შეიძლებოდა ჰაერიც ყოფილიყო. ყამარი ჰაერო-
ვან კოშკში ცხოვრობდა. მისკენ სავალი გზა—ჰაერი
იყო. თეთრონთა—ე. ი. თეთრი ლრუბლების მიჯნებით
შემოვლებული. შეიძლებოდა ხეთა ქვეყანაში—საღაც
უძველესი, „წარფვნის“ ე. ი. გეოლოგიურ რევოლუ-
ციათა ხანის ხე დარჩენილა—ძელქვა (ძელი ქვადქცე-
ული) (Zelvua caucasica)—მეოთხე სტიქონი ანუ
„კავშირი“, „ხე“ ყოფილიყო. ქართულ გეოგრაფიულ
ნომენკლატურებში ხის წარმოდგენა მრავლად შენა-

¹ პროფ. ლერნ მელექსეტ-ბეგი მეგადიტურ კულ-
ტურის ძიების ხაზით ქართულ წარმართულ კულტურის საწყისებს
კიდევ უფრო ადრინდელად ვარაუდობს,

სულა—ხეთი, კა-ხეთი, ჯავა-ხეთი, — კუ-ხეთი და სახა
და სახვა. მდევნად ქართულ კოსმოგონიისათვის საბუძო
როგორც მეოთხე სტიქიონი, მოულოდნელი არ უნდა
ყოფილიყო. და აյი აშკარად გამოხატა ეს ქართული
რენესანსის გენიამ რუსთაველმა როცა ტარიელს თქ-
მევინა ნებტან-დარეჯანის სახის სისრულის შესახებ:

„მჯობი ყოვლისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ხი-
სა“—ო. ცხადია კოსმოგონიურ წარმოდგენათა სისტე-
მის შემუშავებიდან მითიურ თქმულებათა შემუშავე-
ბამდე ხანს გაივლიდა, მაგრამ ყოველი ეს ქართულ
ნიადაგზე მომხდარი. ცალკე ოქმულებებს, რომლებიც,
უეჭვილია, ადრე შემუშავდნენ, ურთიერთშორის კავში-
რი უკვე იმით ჰქონდათ მოპოვებული, რომ მათში
უკუფენილი ნაწილი ქართულ კოსმოგონიისა მთლიანი
სისტემის ნაწილი იყო. ამან, უეჭვილია, თქმულებათა
შემდგომ გაერთიანებასაც შეუწყო ხელი.

შესაძლოა ამირანი გაერთიანებული იყო მოსე ხონე-
ლამდე¹. მაგრამ მოსე ხონელის ხელში მას, ჩანს, ერთგვა-
რი ცვლილება განუკიდია—საგმირო მოტივები შენაცვ-
ლებულია რომანტიკული მოტივებით. ამას ითხოვდა
მოსე ხონელის დრო, რომელიც ჯერ კიდევ გაუღენთილი
იყო რაინდჟლი რომანტიკით. ვაჟუაცობის გიზანი ამიე-
რიდან ქალის სილამაზე და მისი სიყვარულია. გადამწ-
ყვეტ მომენტში ამირანი მიმართავს თავის ქმას —
ბაღრს, მოვარის სხივს, რომელსაც თეთრიაღ გაუნათე-
ბია ღრუბლები:

ძაღრო, მათხოვე თეთროზი,
ზღვაში გავიდე ნერუვითა,
გავიდე, გამოვიყვანო —
ქალია თეთრი მზე ვითა.

ეს და ამისდაგვარი დაცული სტროფები ჰევრის მა-
ჩენებელია. ჰეროიკის შეცვლა რომანტიკით უკვე

¹ ამის შესახებ ჩვენი მონოგრაფია „რუსთაველი და სრვა...“
თავი მოსე ხონელი ს შესახვა.

აღინიშნა. ეს ზათელპყოფს რომ „ამირანის“ დამუშავებას არა ხელი ხდიო ეტყობა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია აღნიშნულის მაგვარი სტროფების მშიგნობრულობა. ამას მოწმობს ვარითმ-ვის მახერა, რომელიც ორი სიტყვის ნაერთით კეთ-ლება, რაც ხელოვნური დამწერლობითი საშუალებებს საჭიროებს, ეს ფორმა ზეპირმა ხალხურმა პოეტიკამ არ იცის და იგი მხოლოდ დამწერლობითი ლექსთა წყობის მაჩვენებელია. ასეთია ამ შემთხვევაში „ნერე-კითას“ ბადლად „მზე-ვითა“. ასეთი დამწერლობითი ვჩით შექმნილი რითმები ბლომადა ამირანის ჩესტავ-რირებულ ფრაგმენტებში, მათ „ამირანის“ ლიტერა-ტურულ დამმუშავებელის ხელი აშკარად ამჩნევია. აქედან ისიც ნათელია, რომ ეს დამუშავება ლექსის ე. ი. საბოლოოდ პოემის სახის დაურღვევლად მომხ-დარა. სხვანაირად რომ ითქვას — მოსე ხონეფლის „ქება-ნი“ — პოემა ყოთილა და ასე უნდა იქნას. ვაგებული ჩუსთაველის თქმა: „ამირან დარეჯანის-ძე მოსეს უქა ხონელსა“ — მ, ეს დამატება პირანის სახელზე „დარე-ჯანის ძისა“ ვახდა საბაბი შეცდომისა, თათქოს აქ მხედველობაში მისაღებია „ამირან დარეჯანიანი“ — პროზაული რომანი, რომლის ავტორი თითქოს იყო უგიგა მოსე ხონეფლი. დამატება „დარეჯანის-ძე“ ოდ-ნავად არ იძლევა საამისო საბუთს, თვით ლექსში ე. ი. პოემაში მოხსენებულია ეს დამატება:

„ნუ მომკლავ დარეჯანის ძევ“ — მიმართავს დევი ამირანს. ეს ადგილები მოგვიანო უნდა იყოს, რაღაც თავდაპირველი სახელი ამირანის დუღისა ყოფილა და-ლი ანუ დარეჯალანი, რასეგან მხოლოდ შემდეგ გაუკე-თებიათ დარეჯანი.

რუსთველმა თავის პოემაში სწორედ ეს სახელი ვა-კორენა — როგორც მოსე ხონეფლის პოემის გმირის და-სახელებისას, ისე თავისი საცუთარი პოემის მთავარ გმირი ქალისათვის. ჩანს ეს სახელი დალი-დალარეჯა-ნისაგან წარმოიშვა და ამდენად საბოლოო ანგარიშში წართული წარმოშობისაა. სახელი ამირან დარეჯანის ძე, მაშასადამე, იცის ხალხურმა პოემამ და ოღნავად

არაა საჭირო ამ სახელის „როზაულ გადანათქმითან „ამირან-დარეჯანიანთან“ დაკავშირება.

„ამირანის“-ს ისტორიულ-ღიტერატურული მნიშვნელობა

ორიოდე სიტყვა „ამირანის“ ისტორიულ-კულტურულ და ყოვლის უწინარეს ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობის შესახებ. „ამირანის“ შემნისა და განვითარების მომენტები ემთხვევა ჩვენს აღრინველ კულტურას და ჯერ კიდევ ელის კვლევარს. ის რომელიც უკუფერო და საჭიროობ და კულტურულ ტემატიკის უკუფერო — ეს ეჭვს გარეშეა. მაგრამ ჩვენავის როეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ძეგლი ხალხური შემოქმედების განსახიერება, რომელიც დამწერლობის ფორმაზე მისული საეკლესიო-მწიგნობრულ მწერლობის მოწინააღმდეგებად გამოიდიოდა.

ასეთი რამ შესაძლებელი გახდა; ცხადია, რაც მოსე ხონელის მიერ ხალხურ თქმულებათა სახით შემონახულ ცალქე ეპიზოდების გაერთიანება მოხდა. ეს გაერთიანება ძირითადად მესამე საფეხურია „ამირანის“ თქმულებათა განვითარებისა. პირველი სტიქონონთა და მათი ლვითავებათა ამბავი იქნებოდა; მეორე — ამ ამბავთა ამირანთან, როგორც ცენტრალურ პერსონაჟთან, თქმულებათა დაკავშირება, მესამე — ლიტერატურული გაერთიანება თქმულებათა, რაც მოსე ხონელის მიეწერება. პირველის იდეოლოგიური ბაზისი, როგორც მარქსი აღნიშნავს, ბუქების ძალთა წარმოსახვაში დაშორებილების გამოსახულება იქნებოდა. მეორე ამ დაშორებილების კონკრეტული ამბავი — ამ შემთხვევაში ცეცხლის, როგორც სტიქონის, აღამიანის საჭარმოო ძალთა განმტკიცებისათვის გამოყენდა. ეს ბრძოლა და ჯამორჩილება, ცხადია, გმირობისა და თავდადების მოტივებით სულდგმულობდა.

მოსე ხონელმა, როგორც ჩანს, ცენტრი გმირობის მოტივაციიდან - სიყვარულის რომანტიკაში გადმოიწავა; ამას ითხოვდა მისი დრო და ის სხვაგვარად ვერ

მოიცეოდა. მოსე ხონელის პოემა ორმ უფრო ძალიან-
დელია, კიდევ პროზაული რომენი „ამირან-დარებული-
ნიანი“ სჩანს პოემის ანალიზიდან და პერსონაჟების
ურთიერთობიდან და სახელებიდან, მაგ., ამირანთან
ფრიად დახლოებული ერთ-ერთი გმირის დასახელება
„ამირანში“ ხდება „სავარსამულის“ ფორმით, ხოლო
„ამირან-დარეჯანიანში“ „სავარსამიდის“ სახით. მეც-
ნიერებისათვის ცნობილია, რომ პირველი ფორმა უფ-
რო არქაულია, ხოლო მეორე—მოგვიანო.

დაკულ „ამირანში“ ზის მოსე ხონელის სტროფები,
მათი რიცხვი ისევე ცოტაა, როგორც სახოგადოდ გა-
დარჩენილ სტროფთა რიცხვი. ისინი აგრეთვე დამსხვ-
რეულია, მაგრამ მათი არსებობა უდივოდ ჩანს ტექს-
ტიდან. ჩვენ ყველგან, სადაც მოსე ხონელის სტროფე-
ბი შევნიშნეთ, განსაკუთრებულის სიფრთხილით აღ-
ვაზგინეთ ისინი. ასევე დანგრეულია მთლიანი სიუე-
ტი, მოსეს მიერ ჩამოქანილი, მაგრამ მისი არსებობის
უტყუარი ნიშნები—ფაქტია. მისი მიხედვით, უკელ-
მონაცემის გამოყენებით, ჩვენ კვლავ აღვადგინეთ
„ამირანის“ სიუეტი. ამრიგად რესტავრაციის უშუა-
ლო საგანს შეადგენენ: გადატაჩენილი ფრაგმენტები
(დიდი და მცირე) და სიუეტი. ამითაა გამართლებუ-
ლი, ჩვენი რწმენით, ის გარემოება, რომ ჩვენს მიერ
დამუშავებულ „ამირანს“ რესტავრაციაც უნდა ეწო-
დოს. სხვა, როგორც ითქვა, ამ რესტავრირებულ ელე-
მენტების გასამართვად საჭირო, მიახლოვებითი უა
განახლებული მასალაა და მეტი არაფერი.

„ამირანის“ მნიშვნელობა, ქართულ ლიტერატურის
ისტორიისათვის დიდია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ გან
რამდენიმე ლიტერატურული გადამუშავება გამოიწ-
ვია. მოსე ხონელის პოემის გაოდა იგი გადამუშავებუ-
ლა „ამირან-დარეჯანიანის“ ნუშილის სახით. უფრო გვიან
(XVIII) იგრვე ძეგლი გადამუშავებულ იქნა თანიაშვი-
ლების მიერ ლექსადვე. მთავარი კრატის „ამირანის“
მნიშვნელობა როგორც ჩვენი უძველესი კულტურის
და მისი განვითარების გამორკვევისათვის, აგრეთვე იმ

გავლენისათვის, რომელიც შას პოუზდენია ქართული
რენესანსის ძეგლებზე.¹

საერო პოეზიას სიქართველოში ხალხური ძირი
ჰქონდა, აյ მოხდა იგივე, რაც სხვაგან ანალოგიურ პი-
რობებში. მაგ., იტალიაში ბოკაჩიოს მითოლოგიურა-
პოემები იტალიურ ხალხური წომით—იტალიურ ოქ-
ტავითა დაწერილი. ქართული შაირის ზომა ყველაზე
ძლიერად „ამირანში“ იყო წარმოდგენილი. მხედ ხო-
ნელმა შირითადში დაიცვა იგივე კერძითი კიბის-
პრინციპები და მხოლოდ რამდენიმედ გამახვილა იგი
სალიტერატურო გადამუშავების გზით. ეს ხალხური
ძარი პოეზიას ფორმალურ პოეტური თავლას შრისი-
თაც კი ძლიერი მეტოქე იყო საეკლესიო მწივნობრულ
პოეზიისათვის.

XI საუკუნიდან ქართულ საეკლესიო ხელოვნებას
აშკარად ეტყობა ხალხურის ძირზე ამოსოლ ხაერო
პოეზიის დაწოლა. ეკლესიას სურს ისეუკე მიმზიდველი
იყოს, როგორც საერო შემოქმედება. აქედან შრავალ-
გვარი ცდა შეგუებისა და გადახალისებისა. ხუროთ-
მოძღვრებით დაწყებული და პიმნიგრაფით გათავე-
ბული ჯერ კიდვე ამავე X საუკუნიდან აშკარად ჩამდი-
კვალი ამ შეგუება-გადახალისებისა. დეკორატიულო-
ბით გატაცება, რათა ტაძარი მიმზიდველი ყოფილიყო
მრევლისათვის— ამ ეპოქის დამახასიათებელი მოვლე-
ნაა, აღნიშნული პირობებით გამოწვეული. დეკორა-
ტიულობა, საერო შემოქმედებასთან მეტოქეობის ნი-
ლაგზე დაბატებული. ამ მეტოქეობის აღმავლობასთა-
ნაა დაკავშირებული და ნიაღაგს ამზადებს ქართულ
რენესანსისათვის კერძოდ ხუროთმოძღვრებაშიაც.²

¹ ამ საკითხს ექვებით ვრცლად ხემოდასახელვებულ მონიგრა-
ფიაში.

² ქართულ ხელოვნების დიდ სპეციალისტს აკად. გ. ჩუბინა-
შვილს სწორად აქვს შემჩნეული ეს ფაქტი, საჭიროა მხოლოდ მის
მიერ შესწავლილ მდიდარი მასალის ქართულ რენესანსის პერსპე-
ტივიზი დანახვა. და ამით თავიდან აცდენილი იქნება ფრიად სახი-
ფათო დაახლოება X—XI ს. ს. ქართულ სახუროთმოძღვრებო დე-
კორატიულობისა ბაროკთან. ყოველი ბაროკი არის დეკორატიუ-
ლობა, მაგრამ ყოველი დეკორატიულობა არაა ბაროკი.

შემცველად ასეთი დეკორატიულობა იყო შავთელის
მოკლესა პოეზიაში. მან საგმირო საქმე გააკეთა მოკაზმა. შავთელ
საეკლესიო პოეზია ახალი ლექსით მოკაზმა. შავთელ
მან ვერ შესძლო ის, რაც მთავარი იყო საეკლესიო-
მწიგნობრულ პოეზიისათვის: ვერ შეაჩერა საერო პო-
ეზის შემოტევა შაირის სახით მოვლენილი. ჩახრუხა-
ძის საფეხურზე ქართული შაირი შეიტრა შავთელის
მიერ დამკვიდრვბულ ლექსში და გასტეხა იგი. ამით
აიხსნება „თამარიანის“ ის ადგილები, სადაც ძველი
ლექსთმყობის შეცვლა ემჩნევა. ასეთია თავდაპირვე-
ლად სტროფები, რომლებიც იწყება ლექსით:

ახალო პირო, მძღვო ნოსრ ვითა...

ამის მომდევნოდ „თამარიანში“ შეჭრილია პირდაპირ
შაირი, როგორც ხალხური პოეზიის ნაკადი.¹

ეს ჯაძლევა საეკლესიო-მწიგნობრულ ლექსისა მოხ-
და ხალხური პოეზიის იმ სახის მეოქტებით, რომელიც
მოცემული იყო „ამირანში“, რაც დასახელებულ
სტროფების ახალიზიდან ნათელია. აქ ორი მომენტი
იძყრობს ყურადღებას: 1) „ამირანში“ პერსონაჟის ნო-
სარის (ნისრელის) დასახელება და 2) „ამირანისათვის“
დამახასიათებელი გარითმების გამოყენება. ეს გარითმ-
ვა ხორციელდება სიტყვა „ვითას“ მოშველიებით, რაც
კომპლექსურ რითმას იძლევა. ამის ნიმუში მოყვანი-
ლია შევით:

გავიდე, გამოვიყვანო,
ქალია თეთრი მზე ვითა.

„ქი „ვითა“ ნაწილია კომპლექსურ რითმის. სწორედ
ამ სახით არის ნახმარი კომპლექსური რითმია „თამა-
რიანის“ დასახელებულ აღგილზე.

ახალო პირო, მძღვო ნოსრ ვითა.

ფორმალური და არსებითი მომენტების დამთხვევა
აღნიშნულ აღგილზე შეუძლებელია შემთხვევითი იყოს.
„ამირანს“ იცნობს ჩახრუხაშე და მის გავლენას განიც-
დის. კიდევ მეტი, სს იცნობს „ამირანს“ უკვე ჩაწე-

¹ ამის შესახებ მკაფიოდ ჩვენს დასახელებულ მონოვრაფიაში,
თავი მოსე ხონელის შესახებ.

რილს, ანუ უფრო სწორად, აღდგენილს მოსე ხონელის
მიერ. ამის საბუთია მს გარემოება, რომ „ვითას მოყენება და ხალხურმა ვარიანტიმა
არ იცის. მასთან შედარებით კომპლექსური რითმა ხე-
ლოვნურია, ნაკეთებია და ამდენად, უმჭველად, ლიტე-
რატურული წარმოშობისაა. ეს ხელოვნურობა მთავს-
და ხალხურობის ფარგლებში და მას შაირი არა თუ არ
დაუზიანებია, არაშედ იგი დიდ ლიტერატურულ იარა-
ღად აქცია.

ასეთი გახდა საბოლოოდ გამარჯვებული შაირი
რუსთაველის ხელში, რომელმაც მისი საშუალებით
ქვეყნის და აღამიანის ძედზე იმღერა. უდიოდ მტკიც-
ლება, რომ რუსთაველი თავის წინამორბედთა შორის
პოეზიაში შემთხვევით როდი ასახელებს მოსე ხო-
ნელს.

მოკლე შესავალში უადგილოა მოსე ხონელის. პოე-
მისაგან დარჩენილ ფრაგმენტების ძებნა, რომლებიც
დაცულია ზეპირსიტყვაობით შემონახულ „ამირანის“
ვარიანტებში. ყოველ შემოხვევაში ზემოდ მოყვანილი
სტროფი „ამირანისა“ ასეთ ადგილებს ეკუთვნის, რუს-
თაველი იცნობს მოსე ხონელის პოემა „ამირანს“, ის
აქვს ხელში, როცა თავის პოემის უკანასკნელ სტროფს
სწერს და მოსეს თავის პოეტურ წინამორბედთა შო-
რის ასახელებს. რუსთაველი ითვისებს მოსე ხონელი-
საგან არა მარტო „ვითას“ საშუალებით გამართულ
კომპლექსურ რითმის, არამედ პირდაპირ იმავე რითმით
სარგებლობს, სახელდობრ რითმით „მზე-ვითა“.

„ამირანი“:— „გავიღე, გამოვიყვანო — ქალია თთ-
რი მსე
ვითა“.

„ვეფხის ტყაოსანი“:— „ხმა ესმას ჩემსა ხელ-მქნელ-
სა, ჰედა გარდმოდგეს მზე
ვითა“.

ფორმისა და შინაარსის ასეთი შეხვედრა არ შეიძ-
ლება შემოხვევითად ჩაითვალოს, მით უფრო, როცა

რუსთველი პირების ასახელებს მოსე ხონელის და
მის პოემის თავის წინამძღვანთა შორის.

არის კიდევ ერთი ფორმალური მომენტი, რომელ
საც სიმღერის ექსპრესიისათვის დიდი მნიშვნელობა
ენიჭება. ამდენად ის არც ისე ფორმალურია. საკითხი
ეხება დაბოლოების ხმოვანს. აკად. ნ. მარმა ყურად-
ღება მიაჭირა ადრინდელ ქართულ სარითმო დაბო-
ლოებას „ო“-ნის საშუალებით. ჩა თქმა უნდა ეს და-
ბოლოება, როგორც საეკლესიო წარმოშობისა, შემთ-
ხევითი არ იყო, რადგან საეკლესიო-რიტუალურ მი-
მართვებს „ო“-ნის საშუალებით უნდა ეპოვა თავისი
გამოხატულება („მამაო ჩვენო“, „წმინდაო დმერთო“
და სხვა და სხვა).

ამისგან განსხვავებით საერთ ქართული სარითმო
დაბოლოება „ა“-ნით გაიშალა. ამ სახითაა იგი მოცე-
მული „ამირანში“, სადაც „ა“ნები ვოკალურ დომი-
ნასტის როლს თამაშობენ და თან მიჰყავთ ფართო გე-
ნეტივის დაბოლოებანი: ახა, არისა, არითა და სხვ.
„ამირანში“ ზედმიწევნითს ანალიზს ადვილად შეუძლია
დაგვანახოს, რომ „ა“ნით ვოკალიზებული რითმა გაბა-
ტონებულია მთელ პოემაში.

საკმარისია ამავე თვალსაზრისით გასინჯულ იქნას
რუსთველის პოემა, რომ ნათელი გახდეს იმავე წესით
დამთავრებულ რითმის უპირატესობა. ჩვენის ანგარი-
შით სამოცი პროცენტი რუსთაველის სარითმო დაბო-
ლოებისა „ო“-ნის“ საშუალებით გაშლილი რითმაა. თუ
მხედველობაში იქნება მიღებული ეს გარემოება, უნ-
და ვიფიქროთ. რომ უღრის ამ ხერხის მხრივაც რუს-
თველი მიჰყება „ამირანში“ განმაახლებელს — მოსე
ხონელს. ამავე გარემოებას ადასტურებს მთელი რი-
გი სახეებისა და მეტაფორებისა. მაგრამ ყველაზე
ყურადსაღებია ზოვ აფორისტულ დებულების გადმო-
ღება, მათ შორის, მაგალითად, ისეთის, როგორიც არის
ცნობილი აფორიზმი დაუზრუნველ სიცოცხლისა და
სიკვდილის ურთიერთობისათვის,

„ამირანი“: „სირცევილიანის შინ მოსვლას სიკვდილ
სუჯობს სახელიანი“.

„ვეფხის ტყაოსანი“: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრაბის
შიკვდილი სახელოვანი“.

თუ ოღნიშნული გარემობანი გვაფიქრებინებენ, რომ
რუსთაველს ხელთ პქონია მოსე ხონელის პოემა და ის
თავის წინამორბედთა შორის პირველ ადგილზე უგულ-
ვებია, მაშინ აშეარაა იმ ძეგლის მნიშვნელობა; რო-
მელსაც დღეს ნაწილობრივ რესტავრირებულ და ნა-
წილობრივ განახლებულის სახით ვაწვდით მკითხველს.
აშეარაა, რომ ქართულ რენესანსში თავი უნდა ეჩინა
ქართულ ანტიკურობის მითოლოგიურ ხანას. ჩვენი მი-
ზანია ეს ნათელი ვახდეს თავდაპირველი ჩვენთვის,
ქართველებისათვის, რათა ამ გზით იგი ჩვენი მოძმე
ერებისათვის და მთელი კულტურული კაცობრიობი-
სათვისაც მისაწვდომი შეიქმნას.

დაეთია ჩვენი მოკლე შენიშვნები „ამირანის“ გამო.
ისინი დამატებითი კვლევას საჭიროებენ და, მოსა-
ლოდნელია, მრავალ საკითხს მოჰყენენ ნათელს. დღეს
დღეობით ამ მოცულობითაც შესრულება ჩვენი ამო-
ცანისა ძნელი იყო. „ამირანის“ რუსული გამოცემის
წინასიტყვაობა, ცხადია, უფრო ვრცელია, რადგან
იქ სატქმელიც მეტია.

მათლობას მოვახსენებ ყველას, ვინც თანაგრძნობით,
შენიშვნებით თუ. მასალის მოწოდებით დახმარება
აღმომიჩინა: აკადემ. ს. ჯანაშიას, აკადემ. გ. ახვლედი-
ანს., პროფ. ს. ყაუნჩჩიშვილს, ვ. ბერიძეს და ჩემს
დაუღლელ რედაქტორს ა. აბაშელს.

შალვა წუცუბიძე

ერევან სერგეი რამიშვილის და გიგანტების შეხვედრისა
და სიყვარულისა

დილის სხივებს მასპინძლობდა
კავკასიის ლურჯი ქედი,
მთამყინვარში ჩაქსოვილი
ლივლივებდა ოქრო-მკედი;
ზღვიდან ზღვამდე მოდარაჯეს
დასცემოდა შემომქმედი.
ღმერთთა შორის ფხიწლად იყო
დალიც, ვითა ნადირთ მხედი,
რომ ანაზღად მონადირეს
არ ეცადა მათზე ბედი.

*

ხევებსა და მთების კალთებს
შიშყვებოდა სულკალმახი,
ის—უბადლო მონადირე,
ჭაბუკთაგან დაუძრახი.
ისრის წვერით თან მოჰქონდა
ნადირთ ვაი და ვაგლახი.
ხმლის უკრავად მტერს დაბნედდა
ის—საზარი დასანახი.
ტანსა ჯაჭვი შეემტკიცნა,
თავს ებურნა ჩაბალახი.
ტყე შრიალით შეჭხაროდა,
ეგებოდა ფერხთ ბალახი.

*

გაუხდა განით ქურციკი,
 საფარი პპოვა ტყიანი.
 თვალი დააჩნდა ელვარე,
 რქა ოქრო-ვარაყიანი
 მშვილდი მოზიდა, ისარი
შლერით გაფრინდა ფხიანი,
 თეძოს დაერჭო, საკვდოშად
 ვერ მიაყენა ზიანი.
 ველარა მისწვდა, გაექცა,
 ჯებირი შეხვდა წყლიანი.
 ცასა შესჩივლა ვარაში,
 აღმოხდა სიტყვა წყლიანი,
 ათროთოლდა წიწვი მოსმენით,
 დაღუმდა **ხე** ფოთლიანი.

*

ენიშნა ბედის სიმუხთლე,
 ცრემლი დასდინდა მჭმუნვარეს,
 ჩამოჯდა, წყალს დააგერდა,
 ნაპრალთა შიგან მდუღარეს,
 აღარ დაშურნა ჩივილი,
 ვითა მართებდა მწუხარეს.
 მისი გოდება ესვოდა
 კლდესა, სევდისგან მდუმარეს.
 ორუბელი ჩამოსწოლოდა
 ვით კაეშანი მუნ არეს.

*

ჯერ კიდევ ცრემლი სდიოდა,
 არ დაესრულა ჩივილი,
 ანაზდად მალლით მოესმა
 ქალის საზარი კივილი.

მწვერვალთა ზეცას გასტყორცნეს
გულს აღმოხდილი ყივილი.
წამოხტა, ყურნი მიაპყრა,
ქარიგით ქროდა ჟივილი.
გათა ისარი დაერჭო
გულს სიბრალულის ტკივილი.

*

ვერ გაევო, თუ რა იყო,
დასადგურდა გულში დრტვინვა;
ცა ღრუბლებად ჩამოხარვა,
ხმაც მოძალვა ვითა გრგვინვა.
მიხვდა — კაცის გასაჭირში
ულონოა მხოლოდ გმინვა,
უფალ ექმნა გულას თქმასა,
ჭირი ძლარ გაიკვირვა
და მთის მწვერვალს ჩიაშურა,
სად მეფობდა მხოლოდ ყინვა.

*

მთა ზეცას მიბჯენილიყო,
ბოლო ბრ უჩნდა სავალსა,
გადაესერა საგზური
ფოცხად მოკვეთილ ნაპრალსა.
ხვრელად დაელრლნა სალი კლდე
მღინარეს — ნაკად-მრავალსა.
კალმახი ბილიქს შეუდგა,
ოდენ მხეცთაგან ნავალსა.
იარა, მალე დააგდო,
ვეღარ ხედავდა სხვა ქვალსა.
უერხთ მოეკვეთა, დაღონოა,
კლდე დაეუფლა მაშერალსა.

მხნე ჭაბუკია სულკალმან,
 გული რომ უცემს ლაღადა,
 ცა უჩანს ბედის საფარად
 და დედამიწა ბაღადა.
 რა ქნას თუ კლდისა წალკოტმა
 ჩალის ფერისა გახადა.
 ვერ ურიგდება — დაბლობსა
 შემოექციოს გლახადა.
 შეხედეთ ჭაბუკს ოსტატსა —
 იმედს საფარი ახადა —
 ყმობიდან ხელის საწრობად
 რკინასა სჭედდა რაღადა.

*

კლდისა ნაპრალსა განერთხენ
 ხმები, ვით ნამეხურები.
 ღრინავდა მხეცთა სამყოფი,
 სისხლისთვის მონაწყურები.
 შუბლი შეეგრა სულკალმანს,
 ალისებრ განახურები,
 გულის სიმების დაწყვეტას
 უსმენდა მისი ყურები.
 ნაპრალს შეება რკინითა
 ზრომის არ დამაშურები:
 მთის მწვერფალამდე, ზეცისკენ
 ჩასჭედა საფეხურები.

*

მთას ევედრება სულკალმან,
 ვარდი ზაფრანის ფერია:
 — „მთაო, დაპხარე გუმბათი
 ღრუბელთა დანაჭერია,

შენი მწვერვალი მეძახის —
 მის იქით არაფერია,
 მაღლა ამართულს თვით გესმის,
 ზეცა რომ მშვენიერია —
 შენს გზას მოვყები — ზეასვლა
 დღეს მონადირის ჯერია.
 გული ჩირალდნად ავანთე,
 სანათად ხელთ მიჭერია,
 მაღლითგან ქალი მეძახის,
 მთვარისა შესაფერია:
 მთაო, დაპხარე მწვერვალი,
 ღრუბელთა დანაჭერია!“

*

ზევები ყურსა უგდებდნენ
 ოხვრასა სულკალმახისა,
 გულის სიმებზე ნაჟღერსა
 გოდებას სივაგლახისა,
 მიწას შორდება — ზეცაში
 საქმნელად განაზრახისა.
 ცასთან სიახლემ უმატა
 სიმძიმე სულთქმა-ახისა,
 გულს შემოერტყა ნასკვენი
 გრძნობით ნაქსოვის მახისა,
 ცეცხლში იწვოდა ნაზავი
 მიწისა, წყლისა და ხისა.

*

რა შეაჩერებს სულკალმახს,
 ახლაოდ მთების მწვერვალი,
 ბედის სალტეებს მიამსხვრევს
 პედნიერების მკერვალი.

შემოხვედა ქალი კიკლული—
ბადრი მთვარისა მხევალი,
სიზმარი ცხადად ქცეული
და სიტკბოების მძევალი.
ზეცაა მისი მშობელი,
მთა ოკვნის დამარწევალი.

*

სულკალმახსა გახევებულს
დაუბნელა სხივმა თვალი,
შეუდრექელ ჭაბუკრაბის
დაშთა მხოლოდ ნაათალი,
მაგრამ მისმა დანახვამაც
დაადუმა ივი ქალი,
არ ჰყიოდა, თუმც რისხვისგან
ბაგე ჰქონდა ვით ფიქალი.

სულკალმახმა სულის ფერფლს ქვეშ
გააღვიგა ნაპერწკალი:

— „მითხარ, გან ხარ“ — დაძკვნესა —
გულის ხანძარს მოსწყდა ალი.
ქალმა უთხრა: — „მონადირეს
არ გასმია ნუთუ დალი,
ნადირობის მოამაგე
და ნადირთა დედოფალი?“

სულკალმახი მთლად დაიწვა,
გახდა ვითა ნაღვერდალა:

— „რა ვიცოდი, თუ ამ ტყეში
შემხვდებოდა ზეცის ძალი,
უხილავი სილამაზით,
ვით მნათობთა პატარძალი“.
ქალმა უთხრა: „მონადირევ,
აგრევია გზა და კვალი,

თუ რომ ჰეთიქობ, ტკბილი სიტყვით
 ინადირო ვნების ცალი.

შენ ჩემ შიკრიქს ისრით ავნე—

კოხტა თეძოს დაწც რვალი,

და არ მოგვირი ნასურვებსა,

თუცა ვიყო ეშჩით მთვრალი.“

უთხრა: — „მხერით დავიუერფლე,

გულს მოედო ცეცხლის რკალი.

მითხარ — იქნებ სიკვდილამდე

ერვიხადო ცოდვის გალი, .

მზად ვარ სული შემოგწირო,

მიწას მივსცე ლეში მქრალი“.

*

გვიობა არ უნდა სულკალმახს,

თვით იცის დანაქალია.

ცის თაღებამდე სიკეთე

ნადირთა მეფის ადია.

- ფერხთ დარჯალანსა დაუგო

ვედრება განაკვლადია.

ველარა უძლებს ლვთაებაც

ვნების ვედრებას — ცხადია.

ულრან ტყევებში ეულსა

გულისთვის რა აბადია —

გრძნობს: ლოცვა სიყვარულისა

სიტყვით ნაქსოვი ბადეა;

სურს მონადირე — ვისთვისაც

ცა — ქუდი, ტყე ნაბადია.

*

გაშალა ოქროს ნაწნავი,

სულკალმახს გადააფარა.

მოზიდა მკერდის ბორცვები,

მათზე ყვავილი ახარა.

მიწიერ ყოფნის დღეები
 სულკალმახს ახსოვს აღარა,
 ბედნიერების ნაკადშია
 გულზე სიამე დაღვარა,
 სხვა მისგან შვების მწვერვალზე
 მას აღარ უნდის არარა.
 ქვეყნიერ კაცის შეხებაშ
ლმერითქალის სული დაღარა.
 სიხარულისა ნაკადი
 იყო ცრემლივით ანკარა.
 გაშიშვლდა ზეცით ნაშობი
 მიწიერების ამარია,
 ვნების სარეცელს კარავალ
 გადაეფარა კამარა.

2. ახალი სეღადებასის გაუღებისა და პატი მართვის ნაჩენავისა

კალმახის ცოლსა ენიშნა
 სანახაობა ტიალი:
 კამარას მოსწყდა ვარსკელავი,
 ქვეყნად შეექნა გრიალი.
 იწვოდა სახლის თაღები,
 ბელელს გაჰქონდა ბრიალი,
 ისმოდი ირგვლივ ყიჯინა
 და უთავბოლო რიალი:
 უსიპისა და ბაღრისა
 გულშემზარავი ზრიალი.

ჭამოხტა, იცნა გრძნეულშია
 ბედის უკუღმა ტრიალი—
 რომ დაკარგულსა სულკალმახს
 გაუჩინდა სულის ტრფიალი.

*

შინ მისვლისთვის დაჩქარებით
 რაღ შეიწყენს კაცი თავსა,
 თუ გრძელი გზით მოქანცული
 შეეყრების კოჭლია ყვავსა.
 სულკალმახის ცოლის პატრონს
 ნურვინ ეტყვის ნურას ავსა,
 კოჭლი იყო, თვალიდ ნასი,
 სახით ჰგავდა იგი სვავსა.
 ჭრელთა თვალთა კიღურებზე
 დაეჩინა კვალი ხავსსა,
 მასთან ქალის უნახავიც
 ვერ იქმოდა საძრახავსა.

*

სულკალმახისა მეუღლე
 გზასა გაუდგა გრძნეული.
 ძმასა—ცამცუმსა მიანდო
 ბადრი და უსიპ ეული.
 [ცამცუმი იყო ძმობაში
 ერთგულებასა ჩვეული;
 ჭაბუკთა შორის სიყრმითვე
 სიმტკიცით გამორჩეული].
 ქმრის ნაკვალევსა ეძებდა,
 არ დაეტოვა ხვეული,
 პოლოს შენიშნა კიბური,
 კლდის ნაპრალებში რლვეჭლი.

*

ცად აზიდულა ნაპრალი,
 ჩამონარეცხი შვავითა.
 ფეხმარდად ადის დიაცი
 სამოსელითა შავითა:
 გადაიშალა დაბლობი,
 თვალუწვდენელი ზღვა ვითა,
 სერებზე ტყეთა ნაბადი,
 ამონახეთქი წვავითა.
 გზას უადვილებს გრძნეულსა
 გული ნაესები ავითა.
 ვერ დააბრკოლა სიკოჭლემ--
 მწვერვალზე შეხდა თხა ვითა.
 იქ შედგა გაკვირვებული
 უცხო რამ სანახავითა.

*

ქვაბისა კარსა მიადგა:
 შიგ ნახა მწოლიარენი,
 ერთმანეთს სხივით მოსავლნენ,
 ვითარცა ტყუბნი მთვარენი.
 ძილს არ აფროხობნდენ ნალხენსა
 დადუმებულნი არენი,
 ქალსა ეჩვენა სამარედ
 ცისა და ქვეყნის მხარენი.
 შურის ცრემლებში ჩახრიო
 თვალები მგლოვიარენი,
 შუბლზე გალავდნენ ლარებად
 მოგონებანი მწარენი.

*

დაძინებულ ქალს მიგარდა
ფეხაკრეფით, როგორც კატა,
ოქროს ფერი თმის მშევნებაშ
გულში სევდა მოუმატა.
ნაწინავებსა, ვითა გარაყს,
დალი მზეებრ მოეხატა.
მიხედა,— მისი სულქალმახი
ამ თმებს მონად გაეხადა,
გაძრცვილ ტანსა ქალის თმები
ესხნა, ვითა ოქროს ფარდა.
მონადირის ცოლი შედრება,
სანახავსა შეუზარდა,
იქვე ოქროს მაკრატლითა
თმები მოსჭრა, არ აჩქარდა.
მიდის— თმებიც თან წაიღო,
არა უნდა ამის გარდა.

*

ტირიან ვერხვის ფოთლები,
მთანი ტირიან ტყიანნი,
რომ ქალმა ქვეყნად წაიღო
თმა ოქროს ვარაყიანი.
დაობლდა მყინვარ-მწვერვალი
და ხევი პირუტყვიანი,
ვეღარ ლშეიან ნადირნი,
გახევებიათ ყიანი,
გოლვით ნაშრეტი რუები—
ცრემლისგან გახდა წყლიანი.

ულმობელ ქამის მერანო,
სად მიჭრი აგრე მალეო,
მწარე ამბავსა ამზადებ
სულქალმახისოვის ხვალეო.
თუ რამე შეუცოდნია
სიკეთედ შეუცვალეო,
უბედურების ამბავსაც
ნუ ეტყვი, დაუმალეო.

*

ღილით სხივი ქვეაბს მიაღვა,
მაგრამ არ სჩანს მისი ტოლი,
არ ულიმის მხიურ სხივებს
ნაწავების ოქროს ზოლი.
ჩაჭრა სხივი; დალიც შეკრთა,
ჭამოიჭრა ანაურუოლი,
კლდის ძირივით დაუმძიმდა
სევდა გულზე დანაწოლი.
აღარა აქვს ოქროს ომები,
და არც სახე, ვითა ბროლი.
გულს ისარი გარჭობია,
ვერაგობით განასროლი.
აღარაა ღვთის დიდებაც,
აჩრდილივით შორით მსრბოლი;
ღმერთნიც ბედისა მორჩილებენ,
თუ შეიკრა ცოდვის რგოლი.
— „აკი გითხარ — ეუბნება —
ხითათს შემყრის შენი ცოლი,
თუ მან შენი კვალი ჰპოვა
და გიხილა ჩემთან მშოლი!

აშ მე რა ვარ—თმა დავკარგე,
ციურობის დანაყოლი,
გაძრცვილ ქალ-ღმერთს არ მორჩილებს
არცა ტყე და არცა მოლი!“

*

— „რად მინდა შენი ღვერთობა,
სიყვარულისთვის იარი.
ოქროს ნაშავი რას არგებს,
ვინც დაბადებით მხე არი.
ეგ შენი თმების ჯეჯილი
თუმც გალეჭილი ბზე არი.
სიყვარულითაც გავხდებით
ღმერთობის თანაზიარი“. *

— „გარდახდა, მონადირეო,
დრო სიყვარულით ბოდეისა,
ალსრულდა—მახვერპლი შევიქმენ
მე მიწიერი ცოლვისა.
ვერ მიხიდნია სიმძიმე
გულზე დაწოლილ ლოდისა,
დაგაგდე სალხინებელი,
მუნდა გიდოდე როოისა?
დამირთავს ნებრ ნებისთვის
განგების მონაწოლისა.“

*

თვალთ დაუბნელდა სულკალმახს,
დალონდა გული ძლიერი,
ალარცა ურჩობს სხეული,
სიყვარულისთვის მშიერი.

ხედავს, აღარ ჰქის ველრება
 და ლოცვა ვნებისმიერი,
 ჭირშიაც მტკიცი შეიქმნა
 ზეცისა ეს ჩაშიერი.
 უოქროსომებოდ დარჯალანს
 ჩალის ფრად ექცა იერი.

*

უბრძანა: — „ გეტყვი ანდებსა,
 ისმინე სიტყვა დალისა.
 ღმერთად მომვზავნა ზეცამა,
 გული კი მომცა ქალისა,
 ტაროსმა ფერფლად მაქცია
 სიყვარულისა ალისა,
 დავკარგე ოქროს ნაწნავი,
 ნიშანი ჩემის ძალისა.
 არ ცინანიებ ბეჭუდევი
 მოხდენას მოსავალისა.
 დღეს გავარიგოთ საქმენი
 გარდაუვალის ხვალისა”.

*

ესმოდა საწყალ სულკალმახს
 ბეღითი ყორნის ჩხავილი.
 შესძახა: — „ ქალო, ფუტკარსა
 მაწოვე მკერდის ყვაყილი”.
 ჭირში მისი ხმ, ისმოდა
 ვით დაჭრილ ირმის ბლავილი.

*

კავკასიონის ლრუბლებში
 აგრე ეპრძანა ტარუსსა:
 რომ ცოდვა დარჯალანისა
 თითონვე შან ატაროსა,

ოდესშე მოვა განტენდით
ადგილსა სანეტაროსა,
თუ რომ გაივლის მოთმენით
ქვეყანას მას უდაროსა.
ქალ-ღმერთის ცოდვა კაცთანა
შემუსრავს ღმერთთ სამყაროსა.
მისთვის მიეცეს დარჯალან
სასჯელსა შეუდაროსა:
თავისი პირმშო ვადამდე
საშოში ვერ ამყაროსა!“
ღრუბელთა მეფემ დასძინა:
— „თუ ქსეც არ ექმაროსა,
დავუშრეტ დალის ნაშიერს
გე სახიცოცხლო წყაროსა“.
სთქვა მისმა ქალმა ყამარმა:
— „ნულა იქმთ შესაზაროსა,
ღმერთის და კაცის ნაერთით
ოცნება შობს საქმაროსა“.

*

მიუთხრობს დალი სულკალმას:
— „არ გვმართებს ბერის ცვედრება,
ღმერთთა სამსჯავროს განაჩენა
სიმართლით რა შეედრება!
ჰეცისა ნებით მე შენი
შეილისთვის არ მემდედრება,
გატარო—ბოლოდ მაუნდის
ღმერთთა საბრძოლად მხედრება.
ამომჭერ პირმშო საშოდან,
ეს არის ჩემი ვედრება“.

ეგვ სიტყვა სულკალმახსა
 თავში მოჩედა, როგორც რეტი,
 წამოიჭრა, შხამი იტრძნო
 დამწვარ გულში ჩანაწრეტი,
 მაგრამ რა ქნას — ისიც უწყის,
 გზა არა აქვს ამის მეტი:
 ბრძანებისებრ გასჭრა საშო,
 საიდუმლოდ დანაკეტი —
 ამოიღო თვისი პირმშო,
 ვარდი ვარდზე მონაწყვეტი.

*

ქალს დახედა: ცოდვის მსხვერპლსა
 დასჭინობოდა სახის ვარდი,
 სევდის ფურცლად იპნეოდა
 დაფლეთილი გულის დარდი,
 ხეს ნაყოფი მოეწყვიტა,
 ყვავილასგან განაზარდი,
 ჩვილსა ყურძენს შემოძრცვოდა
 ავდრობისგან მცველი ბარდი
 და გულვრილად ამ ამბავსა
 ზაჰყურებდა ზეცით არდი.

*

უწყის დალმა — არდარჩენას
 უქადებენ ყრმასა ცანი,
 რომ ზეციერთ ბრძანებისგან
 არვის უჩანს გასაქანი.
 მაგრამ იგი ხომ მისია,
 მისი სისხლი, მისი ტანი,
 მისი სახე გულს შეზრდია,
 ცის თაღებში წასატანი,
 ზეცისა და ცოდვის შრრის

დალს არ ჰქონდა არჩევანი;
 მისცა ბავშვის გასაზრდელად
 სულკალმახსა მან რჩევანი:
 ვით გახვიოს, რითა ჰყვებოს,
 და სხვა კიდევ რამე რანი,
 და დასძინა, რომ დაერქვას
 ცოდვის შვილსა „ამირანი“.


* *

ნადირთ და ტყეთა ლმერთ-ქალში
 რა ვაიღვიძა დედამა,
 მყისვე მოიცვა სამყარო
 შურისძიების ბნედამა.
 კუპრიგით შავი ლრუბლებით
 პირი შეიკრა ზეცამა,
 რომ გაახსენოს დარჯილანი,
 თუ იგი რისთვის ეწამა.
 ბედის წინაშე ამაოდ
 ტანი მოდრიდა ლერწამმა —
 ვერ შეაჩერა გრიგალი
 ცრემლით ნაქარგმა ხვეწნამა.
 ცად აიტაცა ცოდვილი
 არარაობის ერთ წამმა.

K/15.8553

4. ამბავი ამისანის ღაბაზებისა და მისი 192-ამის გადაკარგვისა

გადაიყარა ლრუბლები,
 წრე მიიწურა ფამისა.
 სულდალმახს ხსოვნა დაგავჭრა
 უბედურების წამისა,



სიმღერით გლოვდა, ვერ ჰპოვა
 გზა უკეთესი ამისა,
 ქლდე ვერ გაალლო სევდისა,
 მის გულზე შენადგამისა,
 ყრმასა დახედა, მოუნდის
 თქმა საალერსო რამისა—
 გულში შეიბნენ გრძნობანი
 ტრფიალისა და მამისა.
 დააგდო არე, მომცემი
 ვაების და ვარამისა.
 ამირან გულზე მიიკრა,
 იარა გზა მოწამისა.

* * *

მონადირის ნასახლართან
 სულკალმახის მოდგა ჩრდილი.
 სარკმელითგან ჩაიხედა,
 ყრმა ეჭირა ხელში ჩვილი.
 ობლად შთენილ სარეცელში
 შეამჩნია ორი შვილი,
 ვაჟკაცური სიამიყის
 იმცდებთან თანაზრდილი.
 მოგონების მწარე ფიქრებს
 გადაეკრა სევდის რთვილი.
 მწუხარების ნალვერდალში
 გული გაღნა, როგორც ცვილი,
 იქვე დასდო ამირანი,
 მოახვია ქურქი თბილი,
 სევდიანი გადახედვით
 არ დაუფრითხო ყმაწვილს ძალი.
 გაპერა, ფართო ქვეყანაზე
 ძირჩია მან გზა წვრილი.

დიაცსა ჭირში მყოფელსა,
რა შეუმოკლებს ღამესა!
ძილ-ღვიძილშია ხელვიდა
გარდახდილ მრავალ რამესა;
მოიგონებდა იმ ღამეს,
ღამესა მას უამესსა,
მომდევნო ჭირის დღეებმა
რომ ასე გააწამესა.
უსაბრალისოდ შავბედმა
თაფლი ნაღველში გალესა—
ალარ ჰყავს არც სულკალმახი—
მოედო ტრფობის ბადესა,
მასზე ბოროტის თვალებმა
ზეიმი დაიქადესა,
მიეცა ქალი ფიქრებსა,
ჭირზეაც უვარამესსა.

*

ხმა მოესმა, სარკმელს მიდგა,
დაინახა ყრმაი ცოტა.
წამს მიიჭრა, გულს ჩაიკრა
ის—ბეჩავი შეეცოდა,
თუმცა მისი აქ მოტანა
ვერ გაიგო, არ იცოდა.
— „ცას მადლობა—“ წამოსთქვამდა—
იგი ვნახე, რაც მინდოდა,
ბაღრისა და უსიპისა
დარწევაში მომშველოდა“.
ღვთის და კაცის ნაშიერი
ყოფელ უამით იზრდებოდა,

საცერევით თვალნი ედგა,
ოქროს კბილი პირში ჰქონდა.
იმ კბილისგან ოქროს სხივი
მიდამოში გამოკრთოდა.



*

მონაღარისა მეუღლე†
რა ნახა იგი ნათელი.
ნამდვილი სხივის საკერეტად.
მყისვე გააქრო სანთელი.
რაღაც ენიშნა, შეიკრა
გული სევდისგან ნათელი.
ფერის მსგავსებამ სინათლე
უჩენება მას წინანდელი.
ეზმანა ოქროს ნაწნავი,
ჭირისა ჭირზე დამრთველი.
ქვა გამოიღო კედელში,
სალაც რომ იყო სარკმელი.
მონახა ოქროს ქსოვილი —
ქალ-ღმერთის თავის სარქმელი,
იმ ყრმისა კბილსა აღარა —
იგია — რა აქვს სათქმელი?!

*

ხანი გამოხდა, ღიაცსა
სევდა გულისა ემატა,
ტყემ მოიშორა ფოთოლი
მიწისოვას მისაცემადა.
ცამ წამოისხა ნაღველი,
ფრინველი შეკრბა თემადა.
ქალსა ყოფნიდა ფაქტები
ღამისა გასათევადა:

ურთ დღეს დააგდო ყმაშვილნი
 ცამცუმის მოსახედადა,
 გზასა ვაუდგა უცნაურს,
 მეუღლის მოსახევადა.

*

ვინ მისშვდა იმედს დაკარგულს
 ცად ღრუბლებამდე აფრენით,
 ან სიყვარულსა გარდასრულს
 ტყის და ბილიკის არბენით,
 არც არის მიცვალებული, —
 იტირონ ცრემლთა დადენით;
 არც საუნჯეა — დასთვალონ
 ზომით რაოდენ რამდენით,
 ქალი ალღობდა სევდასა
 სისხლით, გულიდან ნაფენით.
 სჩიოდნენ დაობლებულნი
 ზაფრანალ შეცვლილ ბაგენით:
 — „ბადრი, უსიპ და ამირან
 ობლები დავიბადენიჩ,
 დევები გვემუქრებიან
 დღე და ღამ ჩვენი წახდენით.
 ცამცუმა დევებს შემუსრავს
 მათ ზურგზე მტვერის ადენით.
 უამსა და ბეჭდა მანამდე
 ჭაბუქად გავეხადენით,
 ნეტავ თუ ვალი ჩვენზედა
 ადესმე მოვიხადენით?“

ნეტავ ისეთი ვაჟკაცი
 თუ საღმე ინახვისაო,
 არ ეშინოდეს კაცისა
 და არც ჰეცაში ღვთისაო.
 ამირან იყო ვაჟკაცი,
 ბატონი ღვთის რისხვისაო,
 ხმილი და შუბი უნდოდა
 დასამარტებლად მტრისაო.
 მჭდლებთან მოდის თანხლებით
 ბადრის და უსიპისაო.

*

ამირან მოდგა ძმებითა,—
 შინაა რკინის მჭედელი.
 როგორც მართებდა სამჭედლოს —
 დაჯორგილია კედელი,—
 არეულია რკინები
 და სახლი დაუხვეტელი.
 დაბალ სალამსა შეჰქადრებს
 სამის ჭაბუქის მჭვრეტელი.

*

— „აბა, მჭედელო, მობრუნდი,
 იარაღ გვინდა სამხელი,
 ხმალის და მშვილდის სიმაგრე
 იქნება შენთვის სახელი,
 თაგს ნუ შეირცხვენ, წახდება
 შენი სამჭედლო სახელი.“
 მჭედელმა ყოფლი მოჰვარა,
 არა რის იყო მზრახველი.

უსიმს და ბალრძა ეფარგა
 იმა მჭედელის ნახელი,
 ამირან ჟველა გასტეხა,
 რეინას შეავლო რა ხელი.
 მჭედელი მჭედლებს ეძახის:
 — „თუ ხართ ასეთის მნახველი!“

*

შევოკრძენ ირგვლივ მჭედლები
 რკინისა იარაღითა,
 ძველად და ახლად კედილი
 ერთად ჩაძოაქვთ თალითა—
 რკინაა შემტკიცებული
 ფოლადის პირთ სალითა.
 მშველდები ალბეჭდილია
 ძველთა ოსტატთა დალითა.
 ერთი მოსწია ამირან,
 დასტეხა ხელით ლალითა.

*

— „ამირან, მჭედელთ სამტეროდ
 ნეტა რამ წიგახალისა,
 ჯავრსა ნუ იდებ გულშია
 ხალხისა ამ საბრალისა.
 ნეტა სად ნახოს მჭედელშა
 სამშვილდე შენის ძალისა,
 ურთოთ ჭედავს საბრალო,
 სანაცვლოდ საბერვალისა;
 მიტომაც რკინას ბალა აქვს
 ბრინჯაოს ანუ რვალისა.
 სხვა იქნებოდა, რომ იყოს
 გამონაწილთობი ალისა.“

შეკედლებს უსმენდა ღიშილით
ის— ნაშიერი დალისა.
ესახვის ძალა ციური
ცეცხლისა გაუმქრალისა,
წინ გაუკრთება ნათელი
ელვის მხევალი ქალისა.

*

ამირან რკინა ითხოვა
თორმეტი ლიტრა წონითა,
ცეცხლში ნაწრთობსა რკინასა
სჭედავდა მთელი ღონითა.
სამჭედლო გასკდა ხმაურით,
ყურთა ვერ შენაწონითა.
მჭედლები კედლებს გაეკრენ
გულითა დანაღონითა.
წყალგალმა გარბის ცხოველი
საცურავით და ფონით...

*

პე, რა დღე ჰქონდა ამირანს,
როცა მის ხმალი წრთებოდა.
სამჭედლოს მთელი მიღამო
რკინის ხმაურიო სკლებოდა,
გრდემლზედა რკინა ხვიოდა,
სამჭედლო ექანებოდა,
მჭედლები — მემჭედურები
ერთმანეთს ეფარჯობოდა,
ბაღრი და უსიპ კუთხეში
იქით და აქეთ დგებოდა.

გათავდა, აღგენ მჭედლები,
 შიშისგან შენაზარები—
 სამჭედურისგან გამოსვლად
 ძლივს-ლა მონახეს კარები.
 ვარედან ხალხი მდგარიყო,
 ხმაურით შენაჯარები.
 მჭედელთა ოკინა გასინჯეს,
 ფოლადის შესაღარები,
 ამირანისთვის გაჭედეს
 კოველი დანაბარები:
 პირმომახული მახვილი,
მშვილდი, შუბი და ფარები.

*

ამირანისა საქმეში
 ნეტა თუ კაცი რევი: —
 თორმეტი მშვილი დაუდეს,
 თერთმეტი დაუმსხვრეფია.
 ვინდა გაუძლებს ამირანს,
 გმირი, მავნე თუ დევია!
ბედის ვარსკვლავსა ლამენი
 მის ბალში გაუთევია;
 შეჩაგ მჭედლებმა წააგეს
 იმასთან სანაძლევია,
 პირდალრეჯილნი წავიდნენ,
შერცხვენილ-დანაძლევია.

*

— „ამირან ჩვენსა შერცხვენას
 რადა ხარ მონაწყურია?!
 ჩვენი ხელობა ძველია,
 შიტომაც გვტანჯავს წყლულია.

რკინისა მოპოვებაში
 ვერ დაგვამცირებს შურია,
 წინაპართ ასე უქმნიათ,
 ძველთაგან ნადასტურია —
 რომ ალგეთისა მიდამო
 მთელ ქვეყნის სამჭედლურია.
 ამა ამბისა მოწმეა

ინდო, მისრი და ურია.
 თუ სადმე ხმალი მძლეობდეს,
 უსიტყვოდ აქაურია,
 ხოლო ეგ მტრობა ჩეენდამი,
 არც ვიცით ხადაურია”.

ამირან უთხრა პასუხი —
 ხუმრობაც გავაურია:
 — „მე მხოლოდ ძალა გიჩვენეთ,
 ამად ხართ უმაღლურია,
 ისაა ჩემი ხელობა —
 საკა რა ვაჟეაცურია”.

6. აგვავი სამოა ძალა აღგათმი ნასვეისა

ობოლთა ბედი ამ ქვეყნად
 ყველაზე მწარე ბედია,
 მისი არარად ჩაგდება
 არაერთს გაუბედია.
 ობოლთა ჭირით სარგებლობს
 ამ ქვეყნად ვინც თავხედია.
 შათი მფარველი ერთიოდა
 ცათაგან არსთა მხედია.

ცამცუმის ფარი. და ხმალი
 დამცველად განაჭედია.
 ოცით უამბნიათ ობოლთა,
 რაცა მათ გარდახედია.

*

ასე ამბობენ, არ ითქმის
 მათი ნათქვამი სხვა ენით:
 „ბაღი, უსიპი, ამირან
 ობლები მოვიყარენით.
 ღვალფ არ გვინახავს, კერაი,
 საჩალეს მოვიზარდენით,
 ვინც კარგი გვიყო .ობოლთა,
 მაშველად დავეტანენით,
 ვინც ავი გვიყო ობოლთა,
 მას შინა შევეტანენით.

*

ოდეს ობლები დავცვივდით
 ზღვარაკად კაეშანისა,
 ანაზდად ჩეენ წინ წარმოსდგა
 აჩრდილი დარჯალანისა;
 ამირანს ხელი აწვდინა
 საზომად მხართა განისა,
 დაიწყო ნიშნით კურთხევა
 მშვილდის და გასაგანისა;
 მერჩედ სამთავეს მოგვითხრო
 მოსამატებლად ჯანისა:

*

— „ჩემი დარდი და ვარაძი
 დღე მუდამ თქვენ იქნებითო.
 იზარდეთ დევთა სამტეროდ
 ზეციერ ლმერთთა ნებითო.

მაგრამ ერიდეთ — ანაზღალ
დევებს ნუ შეეყრებითო,
თუ შეეყრებით დევებსა,
აღვიღ ნუ გაეყრებითო".

*

ცამცუმი წახდა. უმისოდ
ობლები მოვიზარდენით.
სამნი ჩვენ, სამას დევები
ბალხეთსა შევიყარენით.
თავს მოვხვდით ბალხის კარავა, —
ბოლოში გავიყარენით.
ამირან დევებს ლეწავდა —
უერებით გავიხარენით;
ჩვენ ომი ვერა გავაგეო,
ფარები მოვიფარენით.
დავსხედით ღვინის სმაზედა,
ზოგნ დევნიც დავიტანენით,
ვინცა სვა ღვინო ჩვენთანა,
ძმურადა გავეყარენით,
ვინცა ორა სვა — დავკარით,
სამყოფად არ ვიწყალენით;
წაუხდათ მათი დევობა —
ხმალს ჭვეშე მოვატარენით.

*

დღეს ჭაბუკია აშირან —
მესა წაართვა მეტობა,
ალარ გაუვა დევებსა
ჯავრი და პირუკმესობა.
მტერმა არ იცის — იმისგან
თუ პირი სად დაეყოვა,

ცოტა ქაცია ამირან,
 ცოტა სმა-ქამი ეყოფა:
 საღილის ბულა კამეჩი
 ვახშმადაც არ გაეყოფა“.

*

სამი მნათობი - ჭაბუქი
 არ გვანან დაბადებულსა,
 სწორავენ ბრძოლის ტალღასა,
 საომრად აქაფებულსა.
 საღაა მათი მებრძოლი —
 იქმოდეს დაქადებულსა!
 ქვეყნად მოსულნი მნათობნი
 სხივს გვანან აღზევებულსა:
 ბაღრი ქალსა ჰევ ლიმაზსა,
 საქმაროდ გამზადებულსა,
 უსიპი — ბრძოლის ციხესა,
 თავ-ბოლოდ გამაგრებულსა,
 ამირან — შავსა ლრუბელსა,
 საავდროდ დამზადებულსა.

*

შამი გარდახდა, ცამცუმის
 ვეღარ ენახათ მცნობელი.
 ანაზღად ქაცი არ სჩანდა
 მისი ამბისა მთხრობელი,
 მის ჯანად ყოფნის არ იყო
 არც ერთი მახარობელი.
 შეეკაზმენ და დააგდეს
 სამშობლო და სამეოფელი,
 გადაიარეს არ ერთი
 ციხე-ქალაქი, სოფელი.
 ქავკისიონსა სტოცებენ

თვალზე ცრემლ-შეუშრობელი,
ილგეთის მიარეს მიმართეს,
სხივი დგა გაუკრთომელი.
მნათობთა სამყოფა-ლობი
მათ ედრებოდა რომელი!

7. ამპავი ნარის გისა და სამცხეოს კოშკის პოემისა

მოებში ნაზარლთა არწივება .
ნეტა რა უნდა ბარადა,
ვის მიჰყებიან ვარსკვლავნი
ზმანების მოუბარადა..
ძალა არ ყოფნის მნათობთა
სამ ძმასთან შესადარადა,
მათ შეჭხარიან ხევები,
მავალნი ზეცის კარადა;
მიღიან სახლით ვასულნი
მძლეობის ანაბარებდა.
ხვალ ნადირობა დაასკვნეს
ყრმობისა გასახარადა—
რომ ობლობისა დარღები
მათ აღარ უჩნდეთ არადა;
გააგეს ტყეში ბანაკი
ჭაბუკთა წესის დარადა.

*

სანადიროდ წამოვიდნენ
ამირან და ძმანი მისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი,
მეათენი ალგეთისნი;
მინღორს კვალი გაუკვლიეს
დანაბეჭდი ეშმაკისნი:

მთას ირემი წამოუხტათ,
 ოქრო იყო რქანი მისი.
 უცხოს მთაზედ კოშკი ნახეს,
 ანაგები ბროლის ქვისი.
 გაუარეს განით, ირგვლივ,
 ვერა პოვნეს კარი მისი.
 საღაც მხემან პირი მოჰკრა —
 ამირანმა მუხლი მგლისი —
 კოშკმა პირი იქ გააღო,
 იქ შეება კარი მისი.

*

სამთავე კარი შეაღეს,
 პირქუშად იღვნენ თალები,
 საუნჯის კართა ალეჭნეს
 კლიტენი-და გასაღები,
 რკინის ნაბიჯით ვიღოდნენ
 ციხის წიაღში ლაღები.
 კოშკიდან დაბლობს გახედეს:
 გადაშლილიყვნენ ბაღები.
 დარბაზს შევიღნენ — ზღვა დადგა,
 აქაფლნენ ცრემლის ტალღები.

*

კოშკში ლომი წოლილიყო,
 არგინ იყო მძრავი მისი,
 მას რომ თავით რაში ება,
 ტორით მიწას თხრიდა ისი,
 მარჯვნივ შუბი რომ ეყუდა,
 წევრი ცასა ხევდა მისი,
 მრცხნივ ედო თვისი ხმალი,
 პირი ჰქონდა ალმასისი.

*

სამთა გმირთა გაიკვირეს
 მონათხრის გულისთქმისა,
 უსიპმა და ბაზრმა იცნეს
 ივი ხმალი დედის ძმისა.
 ცამ ღრუბელი გადიყარა,
 გაღნა ნისლი შავი დღისა;
 თითქოს კიდევ ახლო არი
 გასაგანი შორი გზისა.
 სევდა ისევ იზრდებოდა,
 დგა აჩრდილი სიკვდილისა,
 ერთ კუთხეში ოქრო - ვერცხლი
 ნაგროვები ცამცუმისა,
 გვერდით ეჯდა დედა-მისი,
 ცრემლთა დენით სტირდა შვილსა,
 თავით ერთი ქალი ეჯდა,
 ცრემლი ერწყმის ტალღას ზლვისა;
 თვით ცამცუმსა თითებს შუა
 წიგნი ჰქონდა ქალალდისა.
 წაკითხეს — შიგ ეწერა —
 — „დედის ძმა გარ უსიპისა.“

*

სამთა ჭაბუქთა ლაწვებსა
 არ აკლდა ცრემლით ლამება,
 სამივე სევდის დიაცთა
 დუმილით ესალამება;
 ცამცუმის გვამთან დასრულდა
 პოვნილი გზისა ამება,
 თავჩაქინდრული ცხედრის წინ
 დგა მზეჭაბუქთა სამება.
 წიგნი გასინჯეს, ეწერა
 ბიძის განცდილი წამება:

— „სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე,
არ შევჭამე ჯავრი სხეისა,
მოფკვდი, ერთი ჯავრი გამყვა
მხოლოდ დევის ბაყბაყისა;
ვინაც მოკლავს ბაყბაყანსა,
ჩემი შუბი ალალ მისა,
მანარობლად ვინც მამივა,
ჩემი ხმალიც ალალ მისა,
ვინც მომიღლის და დამმარხავს,
ცოლი, რაშიც ალალ მისა.“

*

რა წაიკითხეს, ემძიმათ
გარდასავალნი ბიძისა,
მისი ტანჯვანი და ჯავრი
იმ ბაყბაყანის ბილწისა.
ალარ იდარდეს დაგდება
თკისი სამშობლო მიწისა;
ცელართან სამთავ მოუნდათ
დება ჭაბუკთა ფიცისა, —
გარდა ნათესავ სისხლისა
რეინითა შენამტკიცისა.
ვეღრებით ცას შიმართეს,
ვინც კაცთა საქმე ცისა.

*

ბაღრისა და უსიმს უფრორე
გულს უმძიმთ ნათესაურსა,
ისმენენ კოშკის თაღები
იმათსა ურვის ხმაურსა.
ამირან ხმალსა ნაძვიდა,
ვინ იტუვის თუ სადაურსა,

რაშსა ფაფარზე ხედვიდა,
 მას რაშსა ფეხბედაურსა,
 შუბისა ტარსა ეტრფოდა —
 შუბისა წვერს უცნაურსა.

*

რა მოიტირეს, თათბირად
 ლასხლნენ საშივე ძმობილი.
 მათთან საღარი საღ არი
 ამ ქვეყნად გინშე შობილი?!
 მწუხრის მნათობი თან ახლდათ
 უბედობაში წრთობილი.
 გრძნობათა რთველსა გონება
 კრეფლა მსაჯულად ხმობილი.
 ბაღრსა და უსიპს არ აკლდათ
 ცრემლი ლაწვებზე შრობილი.
 დაასკვნეს — წესი შესრულდეს,
 წინაპართაგან თხრობილი.

*

ამირან უთხრა: — „რაცა სთქვით,
 ეგ უჰჭველად ესეა:
 უნდა შესრულდეს უსიტყვოდ,
 რაცა რომ ძველი წესია,
 მაგრამ მისმინეთ — ეგ სიტყვა
 იქნების უკეთესია:
 რაში წავგვაროთ და ხმილი,
 დევებზე რომ ნალესია,
 გმირობის ბეჭვიდრეობა
 ზეციდან დანაწესია,
 ყრმათა კავშირი ძველებთან
 ბნელში ნაგზები კვესია,

მაშინ ჭაბუკთა მძლეობა
სიკვდილზე უმტკიცესია,
მისგან გაცუდდეს ყოველი,
რაც ბოროტს დაუთხდია".

იმპერატორი
იმპერატორი

*

უსიპი და ბაცრი შეკრთენ,
ფერი მიხდათ ნაურგისა:
— „ნუ, ამირან, ძმათა მზესა,
ნური გინდა ნურავისა,
გამოდი და გამოხურე
ლარბაზი და კარი შისა,
თორემ გმირნი დაგვძრახავენ:
გაუძარცვავთ მკვდარი სხვისა".

*

მწუხრისა უამსა წესისებრ -
მკვდარის გაუთხარეს საფლავი,
ობოლს სამარეს ამკობდა
სხივებით მწუხრის ვარსკვლავი.
საცლავში ჩასვეს ცამცუმი,
თან ჩაატანეს საშკლავი,
რადგან იმ ქვეყნით წარსულსა
დევები დარჩა საქლავი.
სურნელოვანი ბანითა
გაუსპეტაკეს ნაწლავი,
შუბლზე გაუსკვნეს მარყუჯალ
გულის მეგობრის ნაწნავი.
ამოხორგილსა საფლავზე
სისხლად დაწრიტეს საქლავი,
რომ გაცივებულს ცხედარსა
ძალა ემატოს საძრავი.

*

დედამ გააგო საქმენი,
 ნაანდერძევი გმირისა,
 ხალმა მოირთო ოქრონი,
 ნუგეშად გულის ჭირისა,
 სხვათაცა მრავლად უბოძეს
 მოსაკითხავი პირისა,
 მორთეს ცამცუმის საფლავიც
 და თაღი ზედ ქვიტკირისა,
 წერაჭვით ჩაჭრეს ნაქარგი
 მშვენების გასაკვირისა.

8. ამბევი ბაყუაყვავისა

რა გითხრა, მხარევ ტიალო,
 საღაც ცხოვრობენ დევები,
 ქვეყნისა ჭირალ ნაშრობი,
 ჰეციდან განაძევები!
 მხარიდან მხარეს გადიან
 სიმუხოლით ანაზევები;
 სახლ-სამყოფელად უბყრდათ
 კაცთ მიუვალი ხევები.
 მათი სიცოცხლე ფუჭია
 და ცოდვა მიუტევები.
 ძაგლ ბოროტებსა ქვეყანა,
 სიკეთით განამზევები.

*

სულკალმახის სახლის ახლო
 ბაყბაყდევსა ჭერნდა ბინა.
 რაც რომ გაჩნდა ბაყბაყანი,
 დიდმა ხანშა გაირბინა.

იმ თავითვე მონადირის
 მტრობა გულში გაიჩინი.
 მუდამ ჟამსა ტყე და ლრეში
 დახვდებოდა თვალის წინა.
 ბოროტებამ ბაყბაყანსა
 ცოდვა მრავლად შეარჩინა:
 მას არ ვნებდა არც მახვილი,
 არც ფოლადი, არცა რკინა.
 ბოლოს იმა ბაყბაყანმა
 ყველა ეგრე და აშინა,
 ხორციელი ვერა სძლებდა
 ვერც გარეთა, ვერცა შინა,
 აღარ იყო გამკითხველი
 შვეულზე, არცა ცათა შ-ნა.

*
 ერთხელ ტყეში ბაყბაყდევმა
 მონადირეს მოჰკრა თვალი.
 მყისვე ზურგით მოუარა
 და შეუჭრა გასავალი.
 მიხვდა წამისვე სულკალმახი—
 აღარ მოსჩანს გზა სავალი.
 შეურიგდა ბაყბაყანსა
 და დაიდო მისი ვალი:
 როცა პირმშო ეყოლება—
 დღე რჩებოდა დასათვალი—
 უნდა ეძღვნა ბაყბაყისთვის
 ან მემკვიდრე, ანდა თვალი.

*
 ლოგინობის დრო მოვიდა,
 რა გამოხდა ცოტა ხანი—
 მთვარის სხივით ცას მიერთვა
 ბაღრი ვითა არმაღანი.

სიხარულის ზარი იყო,
 ზეიმისა დასაგვანი.
 უცებ ლხინი სევდად იქცა;
 კარჩე მოდგა ბაყბაყანი.
 იღრიალა: — „მონადირევ,
 ყრმა მომგვარე წასაყვანი!“
 გაცუდებულ სულკალმახსა
 აღარ უჩნდა გასაქანი.
 დევი მისას არ იშლიდა,
 მოემართა უმსგავსს რქანი,
 გზა არ იყო — სულკალმახმა
 გაღისერა გარე კანი:
 მისცა თვალი, თუმც მის სევდას
 არ უჩანდა კიდევანი.

*

სულკალმახსა და ბაყბაყდევს
 აღარ დააკლდით მტერობა,
 გადაყვა იგი მემკვიდრეო,
 ვითარე იყო ჯერობა,
 არც ერთს არ აკლდა სისხლისა
 ამლებად შესალერობა.

*

ცამცუმი იყო ერთგული
 სულკალმახ მონადირისა,
 ძმად შენაფიცი ცოლის ძმა
 ტალქვესი გასაჭირისა,
 თვით სიკვდილისა პირისპირ
 ძნელად გაძტეხი პირისა.
 გული მოიგო ლონითა
 ბაყბაყანდევის გზირისა,

ამან გაუხენა კარები
 დევების კოშკის ძირისა,
 მოპარა თვალი სიძისა,
 მუნ ფრთხილად დანამჭირისა.
 გათავდა ამით ამბავი
 სულკალმახისა ჭირისა.

*

ცამცუმის მტერი მოსისხლე
 შეიქმნა ბაყბაყოვანი,
 გათ შორის ჩადგა, ჭაობი
 შურისა მრავალწლოვანი.
 ცამცუმი იყო ჭაბუკი
 მორჭმული და ახოვანი.
 ბაყბაყ ხედავდა: ცამცუმი
 მტერია — ძალგულოვანი,
 გადაუხდია ძრავალი
 შეხვედრა სახელოვანი.

*

ბოლოდ დასტოვა ცამცუმმა
 მდელო სამშობლო მხარისა.
 ახალ მიღამოს საპოვნად,
 სამყოფლა დასამხარისა,
 ამართა ზღუდე კოშკისა
 მოყვრისტვის გასახარისა,
 აზიდა ბროლის თაღები
 მესაიდუმლედ მთვარისა.
 არ ძელდა ერთი წყალობაც
 ზეცით მბრძყინავი დარისა.
სოვნა დაგავდა უბედურს → 12
 მამულის და სახლ-კარისა,

და ოხვრი სიყვარულისა,
 იმისთვის არ-ახალისა.
 ბროლისა კოშკმა სხვის ქვეყნად
 ცხოვრება არ ახალისა,
 დათენთა სული ჩრდილებმა
 საივისა გაუმობარისა.

*

დევებზე უფრო სტანჯავდა
 სხვის ქვეყნად სულის ტყეობა,
 და გადახვეწილს ცამცუმსა
 მოაკლდა გულის მხნეობა.
 დაჰქარგა სულის სიმშვიდე
 და ხმალ-ლახტისა შძლეობა.
 მის ღამეს ბოლო არ უჩნდა,
 დღესაც მოაკლდა დღეობა.
 უეცრად მოკვდა, დაობლდა
 მიღამოს მოსახლეობა.

*

რა ბაყბაყანსა გაეგო
 ცამცუმის გარდასავალი,
 ერთ დღეს გაევლო წყეულსა
 ათეულ დღისა სავალი.
 მთით მოგორავდა დაბლობში,
 ვითა ნახშირი და რვალი,
 მიცვალებულის შეჭმასა
 ლამობდა იგი მტარვალი.
 ბნელეთის წარმოგზავნილსა
 ცოდვა მოჰქონდა მრავალი.



სევდით და ნაღვლით დასტოვეს
გმირებმა კოშკის კარები.

თვალთ წარმოუდგათ ცაშცუმის
სიცოცხლე განამჭარები.

გარდისა ნაცვლად მის გზაზედ
ხარობდა ეკალ-ნარები.

კოშკისა გაშორდნენ, შემოხვდათ
ბაყბაყი შესაზარები.

— „სად მიხვალ, აყროლებულო,
საითკენ მიეჩქარები?“

*

არ შესდგა დევი ბაყბაყი,
სახე ქნა უმეცრულადა,
არ დათმობს მთელსა ქეეყანას
მკვდარ ცამცუმისა სულადა.

დევებსა შეჭმა მკვდრებისა
იმ თავით ჰქონდათ სჯულადა.

ამირან მისი მხილველი
ცეცხლად აინთო სრულადა.

ამირან, დევი ბაყბაყი
ჩასაუბრობენ მტრულადა,
ხმალზე ხელი აქვს ამირანს,
ცხარე ომი აქვს გულადა.

*

— „შესდევ, ბილწო!“ — შეუყვირა
ამირანმა ბოხი ხმითა
და უმალვე დევს მიუხდა
გაშიშვლებულ ბასრი ხმლითა.

ბაყბაყ დევი უშიშარად
 სცლას განბერძობს თავის გზითა.
 — „ამით გინდა შემაჩერო?“ —
 ყრმას მიუგო დაცინვითა,
 და ამაყად კოშკისაკენ
 შავი ხელით მიუთითა.

*

ამირან ხმალი ასწია —
 ვინდა დაზოგოს ტიალი!
 ამირან, დევი შეიბნენ,
 მიწას გაჭქონდა გრიალი.
 ამირან დასცა ბაყბაყი,
 ადგილი შეხვდა ქვიანი,
 დასცა და მხარი მოსტეხა,
 დააწყებინა ლრიალი.

— „ნუ მომკლავ, დარეჯანის-ძევ,
 ხელი გაფიცო ხმლიანი,
 მანდილი დედიშენისა,
 თავლაი ოქროიანი.

ზღვას გაღმა ქალი გასწავლო,
 სახელად ყამარ ჰქვიანი,
 საყამაროსა კაბასა
 შეიდი დღე უნდა მზიანი,
 შეიდ დღეში ზღვილან ამოდის
 ის მისი კაბა წყლიანი.

წასვლა აღვილი იქნება,
 მოსელა გახდება გვიანი.
 როყვარული ხარ ომისა,
 გზა იქ გექნება მტრიანი,
 თან შაკრიკს გამოვაყოლებ,
 გზას ჩაგასწავლის მზიანი“.

*

არ ეუცხოვა ამირანს
 ყამარ-ქალისა სსენება,
 ჯერ კიდევ ყრმასა ენახა
 იმისი სახის მშვენება.

ცოდვით შობილი ყრმისათვის
 მას პატიება ენება,
 როცა მამა-მისს უნდოდა
 თავისი ძალის ჩვენება.
 სულ თვალშინ უდგა ამირანს
 ის სხივი, ვით მოჩვენება,
 შორს იყო, რას გააწყობდა
 ხიალი ან რაშის ჭენება.

*

უცილო ღონე მონახა
 მან ღეგმა ბაყბაყიანმა,
 რომ გაახსენა ის სხივი
 ბოროტმა და ავყიანმა.
 ყრმა მოვონებით შებოჭა
 თმამ ოქროს ვარაყიანმა,
 ფრთა ვერ მოსტება მის ფიქრებს
 ქედმა ცათამდის ტყიანმა.

*

ბაღრი და უსიპ შეშფოდნენ,
 ჭირაზ ეჩვენათ სოფელი.
 ამირან უშვებს ბაყბაყსა,
 წავა პირდაუყოფელი.
 — „გაუშვათ დევი ბაყბაყი,
 რას გვარგებს ჭირში მუოუელი?“

*

სთქვეს ორივექ; — „ნუ, აშირან,
 შენ გაფიცებთ ძმათა მზესა,
 ნუ გაუშეებ ბაყბაყანსა,
 ნუ დაარღვევ სისხლის წესა!
 დაძლეული და უღონო
 პირმოთნეა იგი დღესა,
 ხვალ კი წელია მოიმაგრებს,
 ჭირსა შეგყრის უარესა.
 ბოროტება აჩანაგე,
 ვით კეთილმა დააწესა.
 გვეტმენ ფარად, თუ არ გინდა
 მოისმინო ჩვენი კვნესა.“

*

სამთავიანი ბაყბაყი
 ისმენდა ექვსი ყურითა
 უსიპისა და ბაღრისა
 რჩევას, აღსავსეს შურითა
 და შეაჭებდა ამირანს
 ენითა სამიწურითა,
 სიფხიზლეს ნანას უმღერდა
 ამბითა სამურითა.

*

ბაღრისა და უსაპს გაელლვათ
 გული, სევდისგან ლმობილი.
 ბაყბაყდევს ენა ჩაუგდეს,
 ბოროტებისთვის ხმობილი.
 ამირან სიტყვა ისმინა,
 შურისძიებით შობილი.

დევს ეამბორა სიკვდილით
მახვილი, მკერდში სობილი,
სამსავე თაურა დასჭრიდა
კვეთაში გამოწროთობილი.
კვლავ, მტერზე გამარჯვებული,
ხარობდა სამი ძმობილი.

10. ამბავი ამისანის ცასვებისა ყაჩაგის ძეგნაზ

ამირან ფიქრობს ყაშარზე,
სევდას ვინ მისცა სამალი:
ნეტავ საღაა—მონახოს
დაჭრილი გულის წამალი.
დევისა შიკრიქს ეტყოდა,
დაპჰირდა განძი მრავალი:
— „აბა, შიკრიკო, გაგვიძენ,
ფეხი აჩქარე მავალი,
გზა მალე გაგვარბენინე,
ყაშარისაკენ სავალი.“
შიკრიკი დინჯად დაიძრა,
მძიმედ ვიდოდა მაშვრალი.
ხეებსა ეხეთქებოდა,
თითქოს ბანგითა დამთერალი.

*

მათ სამთა გმირთა ჩნათობთა
განზე მოელოთ ფარები,
საბეჭე სხივი უკროთოდათ,
ტაროსით ანაფარები,
რაშებსა სწორად მიაჩნდათ
ტყენი, კლდენი თუ ბარები.

ცას სამიასპინძლოდ გაეღო
 მზისკენ სავალი კარები,
 ღრუბელთა მეფეს-გაეხვნა
 ბურუსი შესაზარები,
 ყამარსა ელვად აენთო
 გულმკერდი მიუკარები.

*

ვით დარჩენილა ძველთაგან
 ესე მეგზურთა აღათი --
 ტანსა ეშოსა შიკრიკსა
 წამოსასხმელი ხალვათი.
 შიგ და შიგ გზასა უხვევდა,
 გულში ჩაედო ღალატი,
 კარგს რას ურჩევდა ბაყბაყი,
 კაცთაგანისა ჯალათი.

*

გზასა მპიმესა იარეს,
 ტყე გაიხლართა კლდოვანი,
 ცისა ნაქარგებს ფარვილნენ
 მუხანი ათასწლოვანნი;
 ბედს შეყმუბლნენ ჯაგებში
 სისხლიან მხეცთა გროვანი.
 ქარის ხმაური ნაპრალში
 ისმრდა, ვითა გლოვანი.
 დაუფლებოდა მიღამოს
 სიკვდილი ერთხახოვანი,
 მაგრად ვერ დგამდა ბიჯებსა
 ვერც სუსტი, ვერც ახოვანი.

*

დრო მიღიოდა; ტყეებსა
 აღარ დააჩნდა კიდენი,
 მიწას დააწვა ღრუბლები,
 ხეებზე ანაკიდენი.
 მრავალწლოვანი სუროსგან
 ძელქვას მოესხა რიდენი.
 დათვლით განერთხა ტოტები,
 რაც ხანი ჰქონდა — იმდენი.
 ტყის სიჩუმესა აფრთხობდნენ
 აჩრდილნი მოსარიდენი.
 ჭაბუკოა გულში სიფრთხილემ
 შიშს გადურახა კლიტენი.

*

უსიპმა გზანი შეიცნა,
 ადრევე ნათვალყურები;
 ხავსა და ბალას ემჩნევა
 წინადრის ნათეხურები.
 სწორი გზა არ სჩანს, ცხადია,
 სერისკენ მისაშურები,
 ყოველმარივ ტყისა ბანდია,
 გაცო მოდგმისაგან ურები.
 ისევ დაღამდა. ხევებში
 ბედს უჩიოდნენ ტურები.
 ბანაკსა მხეცი მოაწვა,
 სისხლისთვის მონაწყურები.

*

აქ უსიპმა შეუმჩნევლად
 ისარი. ჰქრა ეროსა ხესა,
 საიღუმლოდ შეინახა,
 არ გაანდო არვის ესა.

დილით აღრე იყარნენ
კვლავ იარეს მთელსა დღესა.
მძიმე აღაილს შემოექცნენ,
არ იციას თუ სად დგესა.
დღის სინათლე მიიწურა,
რამის ურინველთ ისმის კვნესა.
დაბანაკდნენ და უსიპპა,
რა სინათლე გამოკვესა,
მყის ნიშანი საიდუმლო
მან უჩვენა თავის ძებსა:

*

— „ხომ ხედავთ ამა აღგილსა —
გუშინ რომ იყო ის არი,
მესამედ აქვე მოვედით,
გუშინ რომ დავკარ ისარი.
მოღალატეა შიკრიკი,
რაღა აქვს დასაფიცარი,
სწორად ასრულებს, რაცაა
ბაყბაყის დანამტკიცარი.
მოგვარეს სისხლის აღება
თავდადებული ყმის არი,
მავრამ გამოტყვრა ანაზღად
ჩვენი მეგზური ვინ ; არი“.

ამირანს უთხრა უსიპმა:

— „შენი შეგზური იცანი,
თუმცა გაჩენის დღიდანვე
გწყალობენ ძალნი ტყისანი,
ვერ გაგიგია, ამირან,
არგამარჯვების ნიშანი“.
მიხვდა ამირან — შორდება

გულისნადები მიზანი.

ანაზდად ცეცხლად აენთო,
 თვალი ჩაედგა მგლისანი.
 „შიკრიკო, გზანი გაიხვენ,
 თუ არ ხარ თავის მისანი,
 თორე; აგილე, გაგოალე,
 ვით საკიდობნე ფიცირი.“

*

შიკრიკმა უთხრა: — „არ ვითხოვ
 სიკვდილის დაყოვნებასა,
 თუ რომ ოღნავად გადავცდი
 სამთა ჭაბუკთა ნებასა,
 გაჩენის დლიდან გუფრთხოდი
 კაცთ ნაშიერის ვნებასა,
 ამ ლამით რითა გაემართლდე —
 გერა ვიქმ ხელოვნებასა,
 ერთგულებასა გიჩვენებთ,
 თუ მაცლით გათენებასა.“

11. პეპავი სამი ვერაცის შეხვედრისა

ტყემ ჩაიოხრა სიღრმეში,
 მოცულმა სამძიმილითა,
 ყოველი არსი მოიტვა
 მაცოცხლებელი ძილითა.
 ტკბილად ლაპობდა ბუნავში
 ვეფხვი თვისითა შვილითა.
 ეამმა გაზომა ქვეყანა
 ხევში ჩაძირულ ჩრდილითა.
 სამი ჭაბუკი მეგზურით
 გზას გაეშურნენ დილითა.

*

შიკრ- ზა / ტყენი დააგდო,
 სხეასა იარა არესა —
 ტყისა გაჩეხა რაშებით
 გმირებშა იუარესა.
 შიკრიკმა გზის აუარი,
 მიმართა ტყისა გარესა,
 იფიქრა: — „ თუ გადაურჩით
 შესანთხვევს თქვენ უდარესსა.
 მინდვრად ვავიდეთ, შემოგყრით
 ვანსაცდელს იქ უარესსა.“

*

მინდორს ვავიდნენ, იხილეს
 ვეშაპი საში ფერისა: —
 წითელის, თეთრის და შავის —
 მათი ჭნის შესაფერისა.
 გარემო იყო მოწამე
 ვეშაპი უმსგავსო მღერისა.
 გული ძექს დარჯალანის ძეს
 მათთან საომრად ძერისა,
 ისურება დანაწევრება
 ძმათა საოშარ ჯერისა:
 — „ კე, ძმებო, გვმართებს დაძლევა
 ჩეენზე მოსული მტერისა,
 შიში არაა საცარი
 ბედისგან მონაბერისა,
 მხდალთა წევვლექავს ყიფინი
 ვაუკაცის — ყრმის და ბერისა,
 ლომგულებს სხივით შემოსავს
 სამაღლობელი ერისა.

თური—ბადრს, უსიპს—წითელი
 და მე კი შავი მეტირსა.
 დავლეწო მტერი სამსხვერპლოდ
 ჩვენი მზობელი კერისა.“

*

„ამირან — უთხრა უსიპშა —
 მეგემთხვე ნალოდებია,
 თვით გაასწორე იგი გზა,
 რომელიც გამრცდებია.“
 ამირან უთხრა პასუხი,
 რაც მისსა გულს დაღებია:
 — „უსიპო, ჩემი ლალატი
 ხულ მუდამ გულში გდებია,
 ტვინი, სადები თავშია,
 ჩაბალახშია გდებია,
უგულობა და ლალატი
ერთიმეორის დებია.“

*

ბადრსა მიმართა ამირან,
 მისი ერთგული ჰგონია:
 — „ბადრო, მიხედე უსიპსა,
 განა ეს მოსაწონია?“
 ბადრმა მიუგია: — „ამირან,
 არც მე ვარ შენი ფონია.“
 — „ბადრო — ეტყოდა ამირან —
 ფერი აოქატი გქონია,
 დაჯე და ჰქერუ ტყავები,
 სხვა ხელი არა გქონია,
 უცხოძ ლიკვესათვის
 საქმენი სავმირონია.“

*

გადრო და უსიპ გაილლენ
 მრავალი ჭირის მოთმენით,
 უჯობდათ დარჩენილიყვნენ
 ცამცუმის კოშკში მოლხენით.
 სოქვეს: — „ომი არა გვწადიან,
 ისეც დღე დავიმოქლენით,
 შენი ცოლისა გულისთვის
 ძმები სულ დავიხოცენით.
 დაგვქანცე ულრან ტყეებში
 ჭირისა ჭირზე მოდენით.“

*

გულს დაულონდა ამირანს,
 ხეფავს — ეს მისი ბედია,
 ცუდ ჭაბუკებთან ვმირობა
 უმსგავსო ლანაყბედია.
 სამსა ვეშაპთან ჭიდილი
 გმირ ამირანსაც ედია.
 სიმხდალეს ბრძოლა არჩია,
 გაბედა გასაბედია.
 უგინა ძმებსა სილაჩრე
 და სიტყვა ნათავსელია.
 მათ შოაგონა მის ხმალი
 თუ როგორ განაჭედია.

*

— „მაშინ სად იყავ; შავ-ბადრო,
 როცა ჩემ ხმალი წროვებოდა
 და შენი სახის სინათლე
 ლრუბლებში იცრიცებოდა?

ცა სკექდა, მიწა გრგვინავდა,
სამკედლო ექანებოდა,
მჭედლები-მემკედურები
ერთმანეთს ეფარებოდა.“



12. ამბავი სამ ვეშაპთან შეგმისა

დააგდო ძმების ძაგება,
შახვილს მიმართა მვევრ ენიო:
— „ჩემო ხმალო და აბჯარო,
საძალოდ მომეშველენით,
ომში ვერ შევალ ძმებითურთ,
მჯილისა თავისი მშენელით,
შევალ ხმლითა და აბჯრითა,
ვაჟყაცის დამამშვენელით.“
ბაღრი და უსიპ გარბოლნენ,
ბრძოლას გაექცნენ შერცხვენით.

*

სამი ვეშაპის ხენეშისგან
არე სჩნდა ვითა დამზრალი.
გმირს სახე ჰქონდა ცეცხლებრი,
ყელი ბრაზისგან გამშრალი.
თეთრი მოჰკლა და წითლი,
შავსა შეება მაშვრალი,
თუმც მარტოხელაუ მებრძოლმა
მან ჭირი ნახა მრავალი,
ბრძოლის ალმურში შენიშნა
კაც მაღალა მთაზე მავალი..
შევედრა— ძმებსა გადასცეს
მისი თავგადაისავალი.

*

უკივლა, გადაუძინა:

— „რომელი მიხვალ შა მთასა,,
 სიკეთე მიჰყავ, ძმობილო,
 რომელი მოჰკევთ მა გზასა.
 გადი და გადაუძინე
 ბადრისა, უსაპსა ჩემ ძმისა:
 ოეთრიც მოვკალ და წითელიც,
 ნუღარ გადირბენთ ცხრა მთასა.“

*

ძმებმა ინდომეს ეხილათ
 მათი ძმა რა გაუქციო,—
 ნახეს ამირან მაშვიტალი,
 ბრძოლაში ნამოლვაწია,
 მთისებრ მოგორდა ვეშაპი.
 შორით რომ სჩანდა პაჭია
 შავსა შეება ამირან,
 მაშვრიალმა ხმალი ასწია,
 შავშა აიღო, ჩაულაპა,
 შავი ზღვისაკენ გასწია.

*

გვილეშაპი იჩქაროდა
 ვითა ცეცხლი, ვითა ბნედა,
 რომ ენასა სანუგეშოდ
 სახლში მყოფი თვისი დედა..
 უკან ძმები გამოუდვინენ,
 კრეს ისარი ზედი-ზედა.
 კუდი მოსწყდა შავ ვეშაპსა,
 დღე ის მწარედ დაებედა.

ମାର୍ଗ ମୁଦ୍ରଣି ପାତ୍ରକିମ୍ବନାର୍ଥ,
ଏହି ଧର୍ମପାଦଙ୍କ ଶ୍ରୀରାମ ପ୍ରାଚୀ-
ଶୁଣିବୁ ଦେଖିବା ମନ୍ଦିରରେଣ୍ଟିଲୁଙ୍କ
କ୍ଷେତ୍ରରେ ପାଦିବିଲୁଙ୍କ ପୂଜା
ମଧ୍ୟକଥାରେମାନ ଦେଖି ନାହିଁ,
ଶବ୍ଦବନମାଳିକେ ଅନ୍ତର୍ମୁଖୀ,
ଶ୍ରୀନାରାମ ସାମତ୍ରିକନାର କ୍ଷେତ୍ର
ଶୁଣିବିଲୁଙ୍କ ଦେଖିବା ମନ୍ଦିରରେଣ୍ଟିଲୁଙ୍କ
ଦେଖିବା ନିର୍ମାଣ ଆମନ୍ତରକିମ୍ବନାର୍ଥ,
ଶୁଣି ମୁଦ୍ରଣି ଶ୍ରୀନାରାମଙ୍କାରି.

ଶ୍ରୀଦ୍ଵାରାମ ଜୀବନରେ:— “ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ, ଯୁଦ୍ଧ
ଶେଷ ଉତ୍ସମ୍ଭାବରେ ଏହା ମହିମାରୀ,
ଏହା ଗୋଟିଏ ପରିବାର, ଏହାର କ୍ଷମାମୁଖ
ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣରେ ନାହିଁବାରୀ।
ଏହାର ଶେଷ ବୈର ମନୋନ୍ଦୟଲ୍ଲେବ,
ଏହାର ମନୋବ୍ୟାଳୀର କାହିଁନ୍ଦ୍ରିୟରେ” ।

—,, զո՞ն թշուամա — մաճ մոյշը,
տղ առ քափուս գաթոներդոլու,
օպանուա թշուացու քյոննդա կվածւա,
եռիւու ոստ թյերաժ հչուլու,
մյ առ զուպու, ռոմելուս
ծյցուցընու մոթցինս Մշուլու:
Տայրուցու ուղալցեծիանս
Յունիու զդցա ռյշտուս կծուլու.
—,, ամուհանու հացոյլածացս!
յս ահաս կյունէս հծուլու,
ջան, Մշուլու, զըր ցի՛շելուս
Ցյու ֆենիլունծա, զելահը ժու
անոհանուս համկլածցելսա
ացու Տոյցալուլնի սուլցը Վուլ

ვეშაპი ბოლმას ანთხევდა,
 ტკივილებს ვერ მოერია,
 დედას აფიცა საშველად
 რაც ქვეყნად ჩიწიერია.
 უსიპი გონსა მოვიდა—
 ვეშაპი ქვეყნის მტერია.
 ბაღრსა შიმართა ყიჯინით:—
 — „ეხლა კი შენი ჯერია!
 ვეშაპის გვამში ორ სწვლება,
 ოც ასტატს არ უმლერია.
 ჩადი, ბაღრო, და ჩასძახე
 ხმა შენი მშვენიერია.“

*

— „მაუნდის დარჯალინის ძეს
 ჯიბეს ჩადება დანისა,
 ამოღება და გამოჭრა
 ვეშაპის მყრალ შიგანისა.“
 გამოსასვლელად ამირანს
 ვზა უნდა მისი განისა.
 გაჰკვეთა დანით ვეშაპი.
 გამოსალებად ტანისა.

13. ავეჯი ამირანის გადაგჩენისა და იგრი გაზონიან ნასვებისა

ძმები კვალად დაბაღებულს
 ველარ ცნობდნენ ამირანსა,
 ვერა რისოვის დაემსგავსნათ,
 ოცა გვანდა რამე რასა:

თმები ერთობ გასცენოდა
 მარტო ტყევის ამირასა.
 უნებლიერ დაეცინა
 მისთვის უსიპ ხუმარასა:
 — „ამირანი დაიბადა,
 გოჭა გვანდა ხუხალასა,
 წვერ-ულვაში გასცენოდა,
 ჩაეყარა ტომარასა.
 ისე აღარ ჩაუარა,
 აღარ ევნო რომ არასა.“
 *

ამირანისა სიცოცხლეს
 ტყე და მინდობი ხარობდა.
 უსიპზე გაჯავრებლი
 მოლხენას აღარ ჩქარობდა:
 — „ისევ გაჟია ამირან,
 გუშინ რომ ჩამოქარობდა,
 არცა-რა ბევრი ტანთ ეცვა,
 არცა-რა მკლავთა ჰფაროდა.“
 *

რაცა თქმულია ძველთაგან,
 იმას არ უნდა ცილობა,
 თუ ქაცი თვითონ არ ვარგა,
ცულია გვარიშვრობა.

ქაცი გამოვა ქაცებრი,
 თუ გააჩნია ზრდილობა,
 რა არის თმების ქულული
 და წვერის დაგრეხილობა.
 თხასიც ასხია ბალანი,
 მაგრამ აკლია ზრდილობა,
 მის ჟეფასებას ეყოფის
 მაზმანის გამოცდილობა.

*

ამირატს გულზე მოაწეა
 ბოლშა, ნალექლში ნალესი,
 გულის თონეში ჩაეჭეა
 ღადარი უმხურვალესი,
 გადაიყარა წისლივით
 ორგული ძმობის ალექსი,
 სასმენელს უუპრად ლასხა
 თავალებულად ნალექსი,
 გაღმონაკვერცხლდა ბაგეზვან
 ჯაფრი ბოლმაზე ნაკვეხი:

*

— „გულს არ ვიწყლულებ თავითა
 ბრიჯვების დასაცინითა,
 მტრები ყოფილხართ, ძმის ნაცვლად
 ცრემლითა დანადინითა.
 ჭირში გარბიხართ, თავს იქ(კივი)
 ღალატით, ვითა ლხინითა.
 ეშმაბ ჩამყლაპა, არ სტირით,
 თმას არ იღებავთ ინითა.
 ბროლსა ვერ გავჭედ ბედმავა
 თქვენუპრი ძმობის მინითა,
 თქვენი არც ძმობა, არც მტრობა
 მესურვის — დარჩით შინითა,
 პირს არ შეიკრავს იარა
 ასეთი ნუგეშინითა.“

*

— „ნუ გეწყინება, ამირან,
 უსიპის სიტყვა ჩმახია,
 სიტყვა ირიბად ნაკერი
 სიბრიყვის დასანახია.

წყერ-ულვა ბზედაც ნუ ფიქრობ,
 არ რა გაქცეს დასაძრახია;
 იგრი — მდინარეთ უფალი;
 თუმც იგი სიტყვით ჩეკახია,
 თუ ბატონობით მივმირთავთ,
 მოტექაება რაცა წმიხია.
 იმისგან ხარობს კველაი —
 რაცა თმა თუ ბალახია.“

*

იგრისთან მიღის ამირან,
 უსმინა ქმისა რჩევასა,
 წარუდგა შეალთა მეუფეს,
 გული არ იმჩნევს რყევასა.
 ჭარა კარიღან შესძახა,
 ხმა გვანდის ქვეყნის ნგრევასა.
 განრისხდა იგრი ბატონი:
 — „ვინ ბედავს ჩემსა ქლევასა,
 „იგრი ბატონის“ სანაცვლოდ
 უსახელობით თრევასა?“

*

ამირან უთხრა: — „ბატონი
 ქაციათვის რა სახმარია,
 ერთი-ლა მივის ბატონი,—
 ჩემი ფარი და ხმალია.
 უბატონობაც ვიგარებთ,
 ეს ვისგან დასამალია,
 მომცარე წვერ-ულვაშისთვის
 რაც ჯადო და წამალია.“

იგრიმ უთხრა: — „სამსახურად
მე მხალა ვარ შენსა წინა,
თუ რომ იგი სამსახური
ღრუბელთ მეფემ არ იწყინა,
წყალთ უფლისა, კარგად იცი,
ღრუბელთაგან მკვიდრობს ბინა.
თვით ტაროსმა ეს იჩება
და ზეცამაც დაადგინა.
წვერს და ულვაშს მყის დავასხამ,
ზეცამ თუ არ წამახდინა.“

*

ამირანი უყოყმანოდ
ღრუბელთ მეფის მიღვა კარსა,
ქოსა კარში არ შეუშვეს,
გალავანსა უვლის გარსა.
ღრუბელთ მეფის გასაგონად
აჯა თვისი ანდო ქარსა.
ამან ზეცა დაამსგავსა
დარბეულსა, ნაბუქარსა:
ფრთით ღრუბელი წააგლიჯა
ღრუბელთ უფალს, ზეცით მდგარსა,
წყლად ქცეული მიწას მისცა,
გოლვისაგან გადამწვარსა.
იგრი ბატონს გაეხარდა:
მიუმატა ღვარი ღვარსა,
მიწის დედას გაულიმა,
წყალდიდობით უმაძლარსა,
ამირანსაც კვლავ დაასხა,
რაც გველეშაპს გაეპარსა.

14. აგბავი ამირანის ნასველისა ყამარის ძეგნაზ
და ახალი თავშეადასავალი



შეყვარებულის სავალსა
ვინ გაუზომა მანძილი,
მისსა ვერ იტევს ტანჯვასა
ვერც შარი, ვერცა გზაწვრილი,
კიდით კიდემდე გზა ივი
ბეწვის ხილია გაწვდილი,
ბადე, გულისა დამჭერი,
ოქროს თმებშია ჩაწნილი,
სდევს სიყვარულის სიკეთეს
ბოროტი აღვირ-ახსნილი.

*

ამირანს და ძმათა მისთა
არ მოსწყინდათ დევთა ქლეტა,
დამსხვრეული ქვე ეყარა,
რაც სიკეთემ გაიმეტა.
სატრფოს სახე შორს ანათებს,
ვის ელირსოს მისი ჰერეტი
გულის ბოლმის წამლად იქცა
დევთა მუსვრა, სისხლის ხვრეტა.
უსიპსა და ბაღრს ცოლები
წარმოუდგათ ტანწერწეტა,
მათ თვალთაგან ნახვის ნატვრამ
სევდის ცრემლად გაღმოწვეთა.

*

ბაღრი და უსიპ ჩამოდნენ,
გაისმა სიტყვა საპყარი:
— „ხედავ, ამირან, ქვეყანა,
გადაუვალი ზოგა არი.

შენ რომ სატრფოსთვის ესწრაფი, —
იგი ქვეყანა სხვა არი,
სულ სხვა რამეა იმ ქვეყნის —
მინდორი, ტყე და მთა-ბარი,
რადგან ცეცხლს სიყვარულისა
იქ ანთებს თვითონ ყაშარი.
იმ ქვეყნის ლალი ოცნება
მოსაგონარი რამ არი,
ზაგრამ ვინაა ამ ქვეყნად
ზეცის ცეცხლითა გამთბარი!“
ამირან უოხრა — „ევ საქმე
ჩემი ხვედრია საქმარი,
მიწას ცეცხლს მოჰყვრის ზეციერს
მხოლოდ ყამარის საქმარი.“
ძმებმა მიუკეს: — „ამ საქმის
ქვეყნად მომტებდი სად არი?
ცუდად დაშვრები — ვერ ჰპოვო
ტანჯული სულის საფარი.
ზღვაზე ხომილდის სანაცვლოდ
ვინ მოიხმარი ხანდარი?
გვიჯობს მაჭერილთა ვიპოვოთ
სამშეიდის გზანი სხვაგვარი.“

*

— „ა იქ ჩაფიდეთ, ამირან,
გუშინ რომ ქარი ხვიოდა,
სად იყო დევის ნაპრძოლი,
სად ქვა და ლოდი ცვირდა.“
დევებსა პქონდათ ქარჭილი,
სიმღერა ამოდაოდა;
შეიპატიუეს, შევიდნენ,
ამირანს პური შიოდა:
დედობილების ნაცხობი

ქადა კეცემში მხილდა.
 შემოჭრეს, შემოაყენეს:
 კაცის თავ-ფეხი დიოდა.
 საღვინე სავსე მოართვეს:
 შიგ გველ-ბაყაცი წაოდა,
 უსმელ-უჭმელად დამძლარო
 ჟულშიაც ამოსდიოდა.
 ძმები უცქერენ: ამირანს
 ცრემლები ჩამოსდიოდა.
 დეცისა შეილი წამისა
 ლოგინით წაშოპეიოდა:

*

— „აკი მას მიქაზებდია,
 ამირანს მოგაკვლევინებ,
 ბადრისა გრძელთა გალოთა
 საღილად დაგახრევინებ,
 უსიპის ქამირ-ხანჯალსა
 წელზედა მოგარტყმელინებ,
 სამისა საშია სამშვილდეს
 საისრედ მოგახრევინებ.“

*

ამირანს თვისი ძებრითა
 თავი მოპქონდა სტუმარად.
 ბადრისა რა ესმა, აიმღვრა,
 აღმოხრა დასამქუხარად:

— „მამის შეილი პკარ-პირშია,
 სისხლ წავა დასივუბარად,
 წარბის თავს დაპკარ ხანჯალი
 სისხლისა დასაღინარად“.

დევებმა იწყეს სიცილი
 ამირნის დასამშვიდარად:

— „ყმაწვილის საუბარზედა
 ამირან ომი გინდა რად?—
 სტუმბარ-მასპინძლად შევკრილვართ,
 ნუ ჩაგვთვლი ჩვენ ვივინდარად.”

* *

ლომგულებს დევთა ნათქვამი
 ყურთაგან არ ასმიოდა,
 მეზობელ დევთა სახმობლად
 ცივი ხმა გადადიოდა.
 თხორს სძახლა დევების დედი,
 ჯარა, ხვიშტაკი ხვიოდა;
 ამირანს მათი ხუცილი
 ფოთლად არ შემოსდიოდა.
 ბადრი ქარს გვანდა, ფურცლებად
 ზეცაში რომ იღიოდა,
 უსის დაჭვევლევდი, ღნებოდა—
 სიცოცხლის სანატრიოდა,
 დევების სახლი-სამყოფი
 ძირბუდიანად ლვიოდა.

15. ეპევი ჩვის ჩატის

ნეტავ რას არგებს კოცხალსა
 სიმძრმე გასაჭირისა,
 რად არ ღლის ყურთა სმენასა
 სევდა კვნესისა ხშირისა?
 ჟუჯობს ჭაბუკსა შერჩენა
 შეურცხვენელის პირისა.
 არ მართებს თვალსა ტირილი,
 თუ გული ზრა სტირისა.

ბრძოლაში ხსნაა ჭაბუკის,
ბედისგან განატირისა.
ამირანს ბრძოლა მიუძღვის
საპოვნად დანაპირისა.

*

ამირან და ძმათა მისთა
გზა დაბგდეს ნაბრძოლევი,
არ წაულეს დევთა სარჩო
და ორჯ განძი დაულევი.
ვინცა დარჩა, აპატის
მასპინძლობა ნამუხილევი,
გაშორდნენ და გზა ეძიეს,
სად ცხოვრობდა ცხრა ძმა დევი.

*

დევების მოდგმის სიმრავლე
გვანდა სიხშორეს ბარღისა.
მუნ წვრილ-თა ყრმათა ურიამულს
ეოთვოდა ხმა ნაგარდისა.
დევების ქალებს თმებშია
ეჭნათ ნაგრეხი გარდისა,
ყრჩა დევებს ახალისებდა
მლერაში ქება მარტისა,
არსად არ სხანდა ნაშანი
ზრუნვისა ანუ დარდისა.

*

ამირან მრდის ძმებითურთ,
ჭვეყანა უჩანს კერიადა,
მთამ, ზურმუხტისა ნაქსოვმა,
მიდამთ შეუფერადა,

გრძოლის გრიალში სიცოცხლე
 ქვლავ გაეშალა მღერადა,
 სილის სიმები მომართა.
 გულისა შესაფერადა.
 მძიე-მარგალიტად დაიბნა
 სიმებზე ასაულერადა,
 თვალთაგან სხივის ნაპერწყალს
 მიმოაბნევდა ველადა.
 შენიშნა დევთა სამყოფი,
 მათ მოევლინა მტერადა,
 დევებმა ქალი გაგზავნეს
 მოსულის დასაზვერადა.

*

დევთა თათბირმა დაასკვნა —
 ძალი არ იყო ჯანისა:
 — „თუ იგი ამირანია,
 ნაშობი დარჯალანისა,
 ამაოდ ნუ გვაქვს იმედი
 მახვილის ან აბჯარისა,
 მასთან საბრძოლად ჩვენს შუბებს
 ძალა აქვს ყავარჯანისა,
 ქალის გაგზავნა სჯობიან
 გაგზავნას მთელი ჯარისა.“

*

— „დევის ქალო, წადი, შეხვდი,
 აშიკობა მისი ლირსა,
 გაუშლიდე თეთრსა ტანსა,
 შავი თმებით დანამჭირსა,
 ოქროს ქბილსა შეამჩნევდე,
 გალომება თუ გალირსა.“
 ამირანი გზად შეემთხვა
 დევის ქალსა გასაკვირსა:

— „რას იცინი, დევის ქალო,
რას მიელვებ თეთრსა პირსა,
გამივლი და გამომივლი—
გამისინჯავ ბაგე-კბილსა.
შენი პოვნა რას მიშველის,
ქვეყნად ვეძებ შენზე ძვირსა;
დღეს დაცარგავ, ხვალ ვიპოვნი—
ამ ჩემ შავბედს ასე სჭირსა.
შიშველ ტანის მიმოქნევით
ვერ მიხვდები დანაპირსა,
თუ შემოველ, აგიტირებ
ქმარსა, მაზლსა და ყმაწვილსა.“

*

დევისა ქალსა ეგონა,
სიკვდილი გამოეცხადა.
ფრთა ვერ გაშალა სიტურტეშ
მოფრენილ ტრფობის მერცხლადა.
ყვავილმა ფერი იცვალა,
ოქრო გადიქცა ვერცხლადა,
ამირან გორდა მომართა,
დევთ მოეკიდა ცეცხლადა,
დევების სისხლი იხმარა
მათივე გასარეცხადა.

*

ბალრი და უსიპ აშირანს—
ბრძოლაში ედგნენ მხარშია,
არც ერთის ხმალსა ნალესსა
დევების ხორცი არ შია;
ხმლის ლარებს ჭარბად სღიოდა
დევების სისხლის არშია,

ამირან სახლში შეიჭრა,
 ძეგბი კი დარჩინ კარშია.
 ძვლების გროვაზე ხაცემი
 ხმალი გადუტყდა ტარშია.
 შთებში ნაზარდი ირწივი
 მაინც იბრძოლა ბარშია.

*

დევის ქალბა შემოსძახა:
 — „ჩემო მზეო და მთვარეო,
 ერო ხელ გნახე, ვერ მოგშორ დი,
 კიდევ ემოგეყარეო,
 ვაურ-კაცო გულოვანო,
 ლვინის ფერო, მცინარეო,
 შენზე ვბოდავ მე ფხიხელი,
 არა მარტო მძინარეო;
 ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის,
 ფეხი წადგი, წინარეო!“,

*

დევისი ქალი ლხიპა
 ულმობლად დაპკლა დანითა,
 სიკვდილსა მიხვდა ბეღშავი
 სალალობელი ტანითა.
 დანას ეკვეთა გულმკერდით,
 ტრთობისთვის მონატანითა.
 ამირანს ნახვა შეზარდა,
 ხელვა ვაზომა ჯანითა—
 შესძახა:— „ზრძოლა შერყვენი
 საქმითა დაუმგვანითა.“

16. პმბავი ღევეგზე გამარჯვებისა

ამირან დევებს ეკვეთა,
 ომი მოუხდა ფიცხელი,
 სისხლის მორევში ჩაძირულთ
 აღარ გააჩნდათ მრაცხველი.
 არ დარჩა კაცი მთხრობელი
 და არც ლაჩართა მკიცხველი,
 არც დაკოდილთა შემხვევი,
 და არცა სხვა გამკითხველი,
 განადგურების ამბისა
 არავინ ჩანდა შეითხველი.

*

დევთ სამყოფელში განატვნეს
 სახლის ქვეშ ჩანათხარები,
 სამთავე სართულს გან-და-გან
 ედგა რკინისა სარები,
 იმის გაღალმა — საჭურჭლის
 ნაკეტი რკინის კარები.
 კარებს ეჭედა უზომოდ
 ხმლებით ნალეჭი ფარები,
 საჭურჭლის შიგან ელაგა
 აურიცხველი ლარები,
 მასთან ფასით და სიმრავლით
 სად იყო შესაღარები!
 დგეს სამნი ძმანი, გითარცა
 გაოცებული მგზავრები.

*

საჭურჭლეს იქით მოსჩანდა
 გზა გასავალი ხვრელისა,
 ვიწრო და მიხრილ-მოხრალი,
 ვითა სამყოფი გველიხ.

უსიპმა უთხრა — „რომ გავძვრეთ;
ნეტა რა ბედი გველისა.
ხელიც და ბარიც გაცუდდეს
ჯურლმულის გამომჭრელისა“.
საკეტი ხმას გამოსცემდა
გოდების, გულის მწველისა.
გმირებმა იცნეს საკანი
ხვრელისა საკვირველისა.
შებნა დაიწყეს საბრალო
ტუსაღთა რამ საშველისა,
კლიტე არ იყო კარებში,
არცა ნიშანი მცველისა.
ჰერეს და ურდული გასტეხეს
ვით ხმელი ოურო ლელისა.
ვინ იტყვის გაკვირვებასა.
შიგ მყოფთა დამნახველისა.
სთქვეს: — „აქა ვზივართ ლოდინშია
სიკვდილის უკველისა,
ვგონებდით — წასხმად მრხვედით
დევების შესაჭმელისა.
გადავრჩით განსაღიდებლად
ამა სიკეთის მქმნელისა,
ამირან, თავი არ გვიმძიშს
სამონოდ ჩვენი მხსნელისა.“

*

სამნი ძმანი დაეუფლნენ
ცხრა ძმა დევის ნასახლრსა;
დაუთვლელად ერთად ყრიდნენ
მათ საჭურჭლეს, მათსა ლარსა,
ზრუნვით თავს არ იტკივებდნენ,
პურს არ სჭამდნენ ნაოცლარსა,

მთელ ქვეყანას განაგებდნენ,
ცხრა-ძმა დევის ნაუფლარსა.
მტრის ნადავლით ფუფუნებდნენ—
ვინ დასდებდა მასში ბრალსა.
უსიპის და ბაღრის ცოლებს
მოახმიდნენ დევის კარსა,
სასახლეებს უგებდიან
ოსტატობის სანუკვარსა,
ჩირალდნებსა ჯნთებდიან,
არ პატრუქს და არა კვარსა.
მარტოხელსა ამირანსა
განა ცოტა უვლის გარსა,
ვინ ჯაუწევს ყამარობას,
სხვა ქალთათვის მიუკარსა.
მოიწყენდა, თუმც არ აქლდა,
რაც ომზეცას დაწარსა.

*

ყამარის ქება-დიდება
არა ერთს გაუგონია,
ჭაბუქთ ჰმაროებდა სიქველე,
იმ ტურფის შესაწონია,
ბევრი ცდილობდა ეპოვნა
მისკენ სავალი ფორია:
ჭეიმის ნაცვლად უნახავთ
სამარხის ტირიფონია.
გზა მნათობისა ტრფობისა
ადვილი ნურვის ჰეგონია,
იმაზე მეტი საჭირო
საძნელოდ გასაკონია.

*

ზეცის სიმართლეს აშბობდნენ
 ქვეყნიერ მონაჭორადა:
 ტაროსს მნათობთა სინათლე
 არ გაუცია სწორადა;
 თუ კი სხვებს არგო ერთ ხელი,
 ყამარს უნათა ორადა,
 ყამარი ელვის სხივებით
 მზის ელვარებას სწორავდა.
 ჭაბუკთ ყამარის მშეენება
 ესახებოდა შორადა.
 თუცა თავები მზად ექმნათ
 საშსხვერპლოდ გასაკორადა.
 ვის ექნებოდა იმედი —
 მას შეირთავდა ცოლადა,
 ვის ბეღნიერსა დასვამდა
 ყამარი თავის სწორადა.

17. ემბავი ნაჩიმობისა

ამირანშეა შემოჰყარა
 სადარბაზოდ მთელი ერი.
 ჭაბუკთ შორის ვინ დასთვალა
 ანუ სახე, ანუ ფერი.
 ისარს ვვანდნენ მომართულსა
 ვით ჭაბუკი, ისე ბერი;
 სახლსა სხივი გარდაკვროდა,
 ტაროსისგან მონაბერი,
 რჩეულ სტუმრებს გაუმართა
 ნაღიმობა შრავალფერი,

სეფე-დროშა ლივლივებდა,
ყრმა ჭაბუკის დანაჭერი.
ცის თაღებში შეჭრილიყო
დროშის ტარის ოქროს წვერი.
მზის სხივებსა ვერ იტევდა
ცის კამარის ლურჯი ჭერი.

*

პადრი და უსიპ ამირანს
გვერდს უდგნენ, ვითა ბოძები,
მათ გვერდით სავარსამული,
სიყრმითგან მონაბოძები;
იქეთ ნისრელი,—ვინ იყო
შისი საღაროს მომძებნი.
ალვისებრ იდგნენ ჭაბუკნი
რიგ-რიგად ოცჯერ-ოცები.
მზე იჭირვებდა დარცხვენით,
ნახულით განაოცები.

*

ნაღირობა-გარუახდოლთა
დაუმშვენდათ ისრით მლეჩა,
ხელმარჯვობით მოისრესა
გასაგანი დაესერა,
პურად დასხრენ, ლვინის მსმელებს
არ დააკლდაო გულთა ძგერა,
ჯიხვის ყანწი სუფრის თავზე
ტრიალებდა, ვითა ძერა,
ქვეყნის დარდი ჩალად იქცა
და ხუმრობად—ბედისწერა.
მზე-ჭაბუკებს დვინის ალშე
ლაწვი წითლად შეუფერა,

გული ლხინმა განაბრწყინა,
 ვით კოცონმა ცეცხლის კერა,
 აპა ლხინის ურიამული
 ცის თაღებზე გაეკერა.
 მოშაირემ ხმელი სიმი
 ცრემლო ნაჟონით გააჯერა,
 ანაზდეულ სიჩუმეში
 გულსაკლავად ააჟლერა.

*

მღერის ჭაბუკთა ღიღებას,
 ცოცხლდება მათი ნაქმნარი,
 ნადიმს რიერაჟის ნისლიცით
 გარდაეფინა ზლაპარი,
 დეზი ჰერა უამის მერანსა,
 ააყრევინა ფაფარი,
 მსმენელებს სევდის ისრისგან
 არ გააჩნია საფარი;
 ნაცარში ეძებს სიმშვიდეს
 გული, ნაკვერცხლად დაწვარი.

*

ამირან უსმენს ნაამბობს
 გარდიქცა ყურთა სმენადა.
 ხედავს — შორეულ ქვეყნიდან
 ვაუკაცის სახე ენათა.
 მოსკვა სიმღერის ნაკადა
 ახალი ტალღის დენადა.
 ამბრი-არაბის ნაქმნარი
 ვერ გამოუთქვამს ენათა:
 ომში სიმღერით ვიდოდა,
 ბრძოლა ამსგავსა ლხენათა.

18. ამბავი ამბრი-ჭაბუკისა

ბნელსა განშორდეს სინათლე—
 ის ურჩევნია ტაროსსა,
 ნაზ სიყვარულის ყვავილი—
 არ ხარობს საბაღნაროსა,
 თუ არ აპყურებს ღრუბელი
 მას სასიცოცხლო წყაროსა.
 ცის თაღებიდან ყამარი
 თვალს ივლებს მთელ სამყაროსა:
 ვინც ჭაბუკთაგან პირველის
 სახელი ვერ ატაროსა,
 ტყვილად დაშვრება იმედით—
 ცის ელვას შეეყაროსა,
 საღაც ანათებს ცის ცეცხლი
 სამყოფსა სანეტაროსა.

*

ლხინი გარდახდა. ამირან
 საწოლს მოიხმო მგოსანი,
 აფიცა ზეცის ქამარა
 და სიტყვა პატიოსანი:
 ჭვრილად უამბოს — ვინ არის
 ამაყი ის მძლეოსანი.
 მომღერალს ფერი ეცვალა,
 სახე გაუხდა სოსანი,
 ხმას ვეღარ იღებს — წინაზე
 სირინოზისებრ ხმოსანი,
 ჟიქრობდა: იქნებ განრისხდა
 პატრონი აბჯაროსანი.

*

— „არ მიფიქრია, ჭაბუკო,
 მომეთხრო თქჩენდა წყენალა,
 იგი ამბავი არ მითქამს.
 ჭაბუკის შესარცხვენადა.
 გიმლერი ქვეყნის ამბებსა
 პატრონის მოსალხენადა—
 არ ითავხედოს სევდამან,
 ესტუმროს მოსაწყენალა.“
 ამირან უთხრა: — „ნუ შიშიბ,
 მესურვის მოსასმენადა,
 ენას კლიტენი ახსენი
 ამბრის ამბავთა ღენალა,
 ყოველსა წვრილად ზეტყოლე,
 გერჩიოს დასარჩენადა.“
 მგოსანმა ფეხი მოირთხა,
 დაჯდა ამბავის მთქმელადა.

*

— „იყო ოდესმე ომარი,
 ჭაბუკთა შორის რჩეული,
 სასახლე, კოშკი, საუნჯე
 მას ჰქონდა მემკვიდრეული.
 იმის ხმალს ჭარბად ენახის
 მტერი მრავალგზის ძლეული.
 ძე არ გააჩნდა ომარსა,
 ოჯახი ჰყვანდა ეული.
 ზეცამ მიიღო ვედრებად—
 ცრემლი, იმისგან ნთხეჭლი:
 ძე გაუჩინა—ისმინა
 გოდგება მრავალდღეჭლი.

ერთხელ იამანთ სულუვარსა
მივიდა გამოქცეული:
თვისისა მეფის მხლებელად,
მისებრ ლტოლვილად ქცეული.

*

ნანატრ ძის მამამ ომარმა
ყმაწევილს ღაარქვა ამარი.
სუთის წლის იყო — ღააჩნდა —
თვეოლთა საჩინო რომ არი.
მისცა აბატურს საზრდელად:
იხმაროს ხმალი, აბჯარი,
მამაცობისა წესები
და იქველენი სხვაგვარი.

*

აბუტარ უთხრა: — „შონა ვარ
შე თქვენი განსრახვისაო,
თვით ვხედავ თუ რა იქნება —
თქმა რაღად მინდა სხვისაო.
ყმაწევილს თან ახლავს ნიშანი
ბოროტთა შერისხვისაო.“

*

გაიზარდა ყრმა ამარი,
მკლავში ლონე მოქმატა,
მხეცსა სწორად შემუსრავდა
ლომი იყო გინა ტატა,
მის სახეზე ზეციერმა
სათნოება გამოხატა
და მის ტანში მდგარი ჰალა
არ შებორკა, ააზატა.

მოვიდნენ კაცნი ინდონი,
 თან ჰყავთ ზერდაგი ნასუქი;
 სიკოხტავით და მშვენებით
 სიტყვით უთქმელი და უქი.
 ნიავს უწრებდა ქედისას,
 ვეღარ სწვდებოდა ქარბუქი.
 სამისო ჩხედრად ვარგიყო
 მხოლოდ ამარი ჭაბუქი.

*

მეფე ომარმა / მემკვიდრეს
 ძლვნად მიუბოდა მერანი—
 თვით ჭაბუქს ამბრი უწოდა—
 ცნობდეს თურან და ერანი.
 ჭაბუქი ცხენსა მოაჯდა,
 გულს მოუმატა ძგერანი,
 ეამა აბჯრის წკარუნი,
 ვითა სიმების შლერანი;
 დაჰკრა დავლური ხმალითა,
 ოროლით იწყო მლერანი.

*

აბუტარითურთ წაგიდა—
 გზანი უვლელჩი იარა,
 ველებს თავისი ნათიქრი
 სიმღერით გაუზიარა.
 ნახა: მხედარი მოპქროდა,
 გულს უწყლულებდა იარა—
 უყივლა: „რამ შეგაჭირვა,
 საზარო შეგმოხვევია რა?“

*

— „დიდ ქარავნით მოვდიოდით,
 გარდვევეიდენ მექობრენი,
 მარტოოდენ გადმოხვეწილს
 გამომება თითქოს ფრთენი:
 ჩვენს ნაჭირვებს ვერ აამებს
 ვერც გმირი და ვეღარც პრძენი,
 დიდი ლარი წარგვიტაცეს,
 საჭმე გვიქნეს აპაზრზენი：“
 ყრმამ უბრძანა: — „გზა მაჩვენე,
 სხვა კი არა მინდა შენი“.
 კაცი ამას არ ელოდა
 და ეტყოდა შენარცხვენი:
 — „ეველრები ზეციერსა,
 გაგიგრძელოს ყოფნის დლენი“.

*

შეეყარა მექობრეთა,
 ომის ღმერთი მას თუ გავსა!
 ათეულად დააფენდა
 მტერს საკვდომად უზოგავსა,
 ზოგს შუაზე გააპობდა,
 ზოგსა სჭრიდა ოხერ თავსა.
 აბუტარ და იგი კაცი
 ბრძოლას სჭვრეტდენ უნახავსა:
 ორი ათას მექობრესა
 ქვე აფენდა, როგორც ხავსსა.
 უხაროდა აბუტარსა,
 რომ ეგეთი ზრდილი ჰყავსა.
 მექარავნეთ კვლავ მიჰვარა,
 რაც წაერთვა ბედსა ავსა.
 ქვეყანამდე თაყვანი სცეს,
 ისევ ჩასხდნენ თვისსა ნავსა“,

*

ამირან ველარ უძლებდა
 მეტის მოსმენის ნდომისა,
 ასმენდა: ველარ დგებოდა,
 ვერც : ჟერხებდა ჯდომასა.
 მგოსანი ორ აგრძელებდა,
 ერიდებოდა წყრომასა.
 ამირან უთხრა: — „განაგრძე,
 დაგიფასებენ შრომასა“.
 — „ეს იყო ბრძოლა პირველი,
 გადაეხადა რომ მასა.
 იმ ქვეყნად მტერი გაერნა
 ულმობელ ბედის წყრომასა.
 მხეციც კი ველარ ბედავდა
 საზღვარზე გადახტომასა.

*

„მას ჟამსა შიგან მოადგა
 იაშანთ მხარეს მტერია.
 ყოველ გხის მოდგა ლაშქარი
 ურიცხვი, შრავალფერია.
 იაშანთ მეფე დალონდა:
 — „ეს ზეცას დაუწერია;
 ვინ აიცინა მახვილი,
 რაც ბედსა მოულერია!
 დღეს დამშარა ზეკაშა,
 რაც დღემდე მე მიმღერია.“
 ლივლივებს ლახტი ველებზე,
 ვითა ლერწამის ლერია,
 თვით შეფე ბანზე გავიდა:
 — „მტრის ჯარი მეტად ბევრია,

ძოელი ქვეყნისა ლიტერატ
 მტრისათვის არაფერდა!“ ჩაიტა
 მოცუა მფლე სევდამან, თუმ როცე
 ჩალად გაუხდა წვერით. არა კი და
 ლიტერატ წარმატება ჩინობის

იამანთ მეტეს გვერდს უჯდა) ამ კა
 მისი ერთგული ომარი.
 მიხედვს — მტრი შეიქვერის, ამ იმ
 სეფე-დროშის ქვეშ რომ არია უძინ
 ლაშქარია შორის გამოჩნდა ამინდ
 კაცი ზერდაგზე მჯდომარი; თუ მიუნ
 მყისვე შეიცნა მამამან; ამ დღის და
 ამბრია ის მდომარი.

* და და

გაიქცა მტრი ძლეული — იამანთ
 თავს შეელის გარდახვეწითა, ამ კა
 გმირებნა მოსრებს მომხდომი, იამან
 თერია უვნებელთა ბეჭვითა. ამ კა
 სიცოცხლის შენარჩუნების ამ კა
 მტრი ლამობდა ხვეწნითა,
 ამბრის ულმობელ მახვილით და
 მას სისხლი გადაეჭრიტა. ამ კა
 ყრმამ ბანაკს შემოუარა,
 თითქოს. ვიდოდა მწრითა მინერადა

* იმ კა და
 იამანეთის მომხდომი იამდომ მო
 გარბოდა დამარცხებული, გ თოირიკ
 თან წარეტაცათ აბუტარი, უცორშ
 მიწაზე დანარცხებული.

რა ამბრის უთხრეს — მტრისაკენ
 შებრუნდა განრისხებული,

რისხვასა ჰეცანდა ზეცისას
ზეცისავ მაღლით ცხებული.
ვეღარ გაუძლეს, გაიქცნენ,
დააგდეს მოხუცებული.
ამბრიმ სოქვა: — „ასე მიშველე,
თუ მეცა მნახო ვნებული.“



*

ომი გარდახდა. დაბრუნდა
ჭაბუკი სიხელოვანი.
შიშსა ზეიმი ენაცვლა,
მყის ალიკვეთა გლოვანი.
გამარჯვებულსა ჭაბუკსა
დაზვდა მოყვასთა გროვანი.
ზეიმის კოშქსა დაედგა
გუმბათი პაეროვანი.
ყელმოლერილი ვიდოდა
ამბრი მხნე და ახოვანი,
მისმა შეხედვამ დიაცთა
ალუძრა გულში ნდომანი.

*

მეფე შორიდან გარდუხდა,
სცა ქვეყანამ ჯე თაყვანი,
გასცა წყალობა ურიცხვი,
გააღებინა საკანი.
მორექეს ცხენთა ჯოგები,
ალარ ყოფნიდა წამყვანი.
ჯირითი გახდა. მეისრეთ
სწორედ მოზომეს საგანი,

რომელი ერთი გიაბო
 მისი თავგარდასავალი.
 არიამ ზეკით აკურთხა
 გმირ-ამბრის გზა და საფალი.
 კაც უნახავი ომები
 გარდაიხადა მრავალი.
 ვიღრემდის ამბრი ხარობდა,
 ვეღარ ხარობდა მტარვალი.
 *

იამანეთით ინდომდე
 გავარდა მისი სახელი,
 შემოკრბენ ყრმანი, ვინც იყო
 ლომგულის ნახვის მხრახველი.
 გაიხარებდა ყოველი
 ამბრი-ჭაბუკის მნახველი.
 ომშიგან ჭირსა მრავალსა
 გაღურჩა დაუძრახველი.“
 *

სიტყვა შესწყვიტა მგოსანმა,
 ამირანისა მხირალმა:
 ვეღარ გაუძლო მოსმენად
 გმირმა ბოლმისგან მტირალმა,
 ჭაბუკსა გული შეუპყრა
 ამბავშა გასაკვირალმა.
 აშ რა უნდა ქნას ბარშია
 ირემბა მთასა მყვირალმა.

*

მოშაირე აღარ მღერის—
 შედგა თითქოს უშეცრულად.
 ამირანმა მას უბრძანა:
 — „დაასრულე სიტყვა სრულად.“

წყნარმა კითხვამ მომღერალი
მოაბრუნა კვლავცა სულად. თუ მომამან
ყრმამან ჰქითხა: — „რაცა გიცევამს,
მომახსენე თვით ნახულ დღის?“ ჩინო
უპასუხა: — „თვითხილულის ჩინ-არებ
მოხსენება მიჩ ნე სჯულად, თუ კა
მით ვატარებ. ბედშა გულსა ურა
მის გონიერი დატანჯულად.“ წილი

კვლავაც ჰქითხა: — „მომახსენე,
რა ხნი აქვს გარდასრული დღის?“
— „მოგახსენებ, ზრევაბუკო, —
ოცდახუთმეტს აღწევს სრულად.“
— „იმანსა დაგიგდა,
თუ გიგულვის სხვად წარსული დღის?
— „გმირი ამბრი არ მიგულვის
იმ ჭვეულების მონატრაჟულად,
საცა მისი ორგულია,
ანუ ვისთან არის მტრულად“.

* * *

უბრძანა: — „მადლი გეცუთვნის, უც
მთხრობელო რამ სამოსი.“ მომანა
თავის ხელითვე შეშაითს უპოძ
უპოძა ტანთა სამოსი.
დასძინა: — „მუიცე სახელი“ ამ ჭ
ელვისა მას ულამოსი,
რომ მემსახურო შეგზურად
ამბრისკენ გზის უფამოსი.
წამომყე, სავარსამულო,
ორთავ გვწყალობდეს ტაროსი.“



ყამარის სახეს ულფაჩეს
 ესხა ლოუბელთა მცნდილი, უცმხა
 არად მიაჩნდა გრძნეულსა ვასტა
 ზეცის და ქვეყნის შინძილი. მცდელ
 ვარსკვლავთა წოხე ვიღორდა და
 სხიდთა სუნთქვაში მოწირილი.
 ლოუბელთა მეფეშ მსულსა
 დოეს შეუსრულა წილილი:
 ქვეყანას გაწაზუარა თიერის
 ბნელ უკუნების აჩრდილი.
 საღაც ოდესრაც კაცთაგან ამრი
 დევო უგენიდთ საღილი,
 იქ ლაშერად ვოშხატებისთვის შიობ
 დანიშნულია აღგილი.
 თუ რა დააკლდეს ამირანს,
 ზღვასაც აკლია მარილი,
 სურს მოიბოვოს მახდელით
 დაჭრილ გულისტვის არილი. უნდა
 ფილის უდაბნელეს გონიერები
 გმირ ამირანი მოყვენი
 არვის უხიიან დალასა,
 თვით წინამდობლის სიქვე უმ
 ქაბუკი გაასტლოსა.
 საღარი არსაც უხილავს
 არც მფლობელს და არც კალასა.
 ამირან თვალით სინჯავდა
 შეჭურვილს თვის ამალასა
 ჯერ არ უხახავს ასეთი
 აღგეთს მთასა და ჰალასა.

შორი გზა ედო ამირანს
იამანეთის მხარესა,
საძნელო იყო იგი გზა
კაცთაგან უვალ არესა.
საუკეთესო ჰუნეთი
მათ თავი შოუკარესა,
მრავალ სარჩევი ტაიჭით
ლაშქარი გაახარესა.
ათი ათასი ჭაბუკი
სხივით სწორავდა მოვარესა.
აისხეს ხმალი, აბჯარი,
შუბი დააგეს ტარებსა,
გამოეთხოვენ ტურფებსა,
საწოლებს ნანეტარებსა.
წასვლისას, როვორც წესია,
ხმლები შეახეს კარებსა.

*

ამირან ბრძანა: — „განჭვრეტა
გვმართებს ჭკუითა ბრძენითა:
მტრად შემოგვხვდება თუ მოყვრად —
ეგების მისვლა ძლვენითა.
ტურფანი, შესამოსელნი
ზიდეთ მრავალი ცხენითა —
ვერ შევეყრებით ჭაბუკსა
ჯირითა შენარცხვენითა.
ნუ მოიწამლოს სტუმრობა
სიძუნწისაგან წყენითა.
თუ სამტრო გვიყო, დავხვდებით
მძლეჭაბუკობით ჩვენითა,
პატიუს პატიუით მივუზღავთ
მახვილით და მარჯვენითა.“

*

ამარანს იმ გზის სიძნელე
 ძმებმა არ დაუმალესა:-
 — „სისწორით გეტყვით ყოველსა,
 ამირან, გვალე-გვალესა,
 ხაფად ვერ მიხვალ — ოუცალა
 მუხლად გაჭებენ მალესა,
 დაუყვლებენ საბრძოლად
 იმ უდაბნოსა არესა:
 ამბრი და მისი მხლებელნი
 ცხენს შესხდებიან ჩქარესა,
 მალევე მოგვეწევიან,
 ომს გაგვიწევენ ცხარესა.“
 ამირან უთხრა: — „დაშვიდლით,
 დღეით ნუ აფრთხობთ ხვალესა.
 პირ არ გაუცვდის გორდასა,
 მტრების ამჯარზე ნალესა.“

*

ალგეთის მთებით ამირან
 გადაიარა ისანი,
 ჭაბუკებს გზას უნაოებენ
 მალლით მნათობნი ცისანი.
 დააგდო არე ველისა,
 გზანი იარა კლდისანი.
 მიწის და ზეცის მაერთი
 მიუძლვებოდა მიზანი;
 კაცთა მოდგმისა ნაფიქრის
 ის იყო ერთი მისანი.
 თვალთაგან არ შორდებოდნენ
 ხევები ალგეთისანი.

ჲანი გამოხდა, გამოჩენენ
იამანეთის არენი, შირტ ნი უძლებელი გელი მომავა
ქალაქის ირგვლივ სმლგარან წრცნა
ზოგდენი კლდეები მყირენი.
ლაშქარს აწვევენ დალგორად
შსახურნი შესახარენი.
შოყმეს შაოსანს ამჩნევენ დალგორ
შოდარაჯენი გარენი.
შეიპყრეს: ამ ენო ამირანს:
— „კაცნი ვართ შეგლოვიალენი.“

მიზეზი ჰკითხა რძირან:
— „რა უჭირს იმ შეზღამლსა, ან
ეგზომ რა გიკირთ, ვინ ცულ, რინ
ევფანა შევრდ დამოსა?“
— „არ უიცი — უთხრა — გაცნობებო
სამწუხრას თუ სააშონა: სიციკლი
ამბრი ჭაბუკი შოგვიკვდა,
ჩისუენდა შხე საღამოსა:“

ევ ამბავი ამირანს
შულმკეტდში გაელანვაში, არაული
შეძრწუნდა წყენით გაულწრფელით,
ცხარე ცრემლები დალვაჩი. იმის
შავ ბეღმა იამანეზით თ მიწის
ბედის საცდელად ატარებელოხლი
შედგა, წაუხდა ლაშქრობა თუკი
მიზანიც ჰქონდა ალარა, თუკი უ
მწუხრის და გლოვის ძინდაზე
ესმა სიკვდილის ნადარ ა თავის.

ამის ან გლოვის ზარია, ა დარია
ძალებს შესჩივის ცეცხასა წევ მარ
— ზეცავ, გეტუობა, არ იცნობ
დანაწესს მამაცისასა მოინდო
გეყოფა საქმე ზეცავი, ლიცე არც
უფროხილდი ზეს კაცისასა. დაძინ
თორემ, ღმერთებო, იგემებთი კუთ
კაცთა შეირის რისხევას. თუ ნორ
ჩვენ, კაცნი არა ექვებით და დარ
ძოროტს თუ კეთილდს ლვისასა,
ანგარიშს თვითები გასწორებთ,
ძალს არ მოერჩიოდ სხვისასა.
ამბრის სიკეტილით უკალოდ ცი
თქვენ გამასწორეთ შინასა, ეს მი
თუ მე მებრძოდით, მზაკვარნო,
მას რას ართმევდოთ) შისასა? არც
გაუდიდეთ მეს თე მარტივი
ღრუბელთა შეცემ პასუხად ციძინ
ბოლია არ დააგვიანა! ენი ის არ იცის
მოზიდა ელფის ისარი, ციცი ციც
ცის თაღი ყახმიანა.
ღრუბელმა ცა და ქვეყანა
ბინელერში გაამოლიანა,
მიწა აპყარა, ჭირანი, დაგმოდეს
სავალნი გამტვრიანა;
გმირ ამირანის ბანაკი ქვემოთ
დალეწა, დააჩინანა.

*

ამირან გორდა მოშიდა,
 ცას დაემუქრა ხმალითა:
 — „ვერა იქმ, ღმერთო შრის ხანევ,
 რომ დამიმონო ძალითა.
 მეტს ვერრას მავნებთ, რაც მიყავ
 მსხვერპლითა იმ საწყალიდა,
 არცა ვარ ქვიშა მინდვრისა,
 რომ გადამრეცხ წყალითა.
 არცა ვარ მინდვრის ყვავილი,
 რომ ამომგლიჯო ქარითა.
 შურისძიების ქოცონსა
 განახებ შენის თვალითა,
 გავთელავ შენსა სამსხვერპლოს
 ამ ჩემი ფეხით მალითა,
 აჯანყებულსა ქვეყანას
 ვერ გასტეს ცის ამალითა,
 მოგტაცებ და შენ დაგფერფლავ
 შენივე ცეცხლის ალითა.

*

ჩემი მოქიშვეს სიკვდილით,
 ზეცავ, წამართვი დიდება.
 ცეცხლი, ზეციდან მოგურილი,
 ღმერთებსაც მოეკიდება.
 კაცი ღმერთთაგან დევნილი,
 ქვეყნისგან გაეკიდება,
 მაგრამ სიკვდილის აჩრდილი
 ცოცხალს ვერ გაეკიდება.
 კაცის და ღმერთის ნაშიერს
 გზა ზეცით გაეხიდება.“

სიტყვაა ზეცის მფლობელი,
 აგრევინდა რისხვა ფრიადი,
 გმირ ამირანის ბანაკსა
 დღე გაუთენდა ძნიადი.
 ღრუბელთ მფლობელის ქალშულსა
 სეგდა ეწვია დიადი:
 დარჯალანის ძის ეშჩისთვის
 ელვით გაჰკვეთა წყვდიადი.
 ბანაკი ხარობს — იხლოა
 ცისკარი და განთიადი.
 ამირან — ურჩი ზეცისა,
 ქვეყნად ხარობდა ზეიადი.
 *

გათენდა. იამანეთი
 მოეცო გლოვის ზარსაო.
 შნო აღარ ჰქონდა შავის ქვეშ
 ხმალსა, აბჯარსა, ფარსაო.
 ჭირი იმ ქვეყნის მცხოვრებთა
 ზე მიღვომოდა კარხაო.
 ხედავს ამირან — მცხოვრებნი
 გარს შემორტყმოდნენ მკვდარსაო.
 ამბრი ჩაჰქონდა დედასა,
 თორმეტულელა ხარსაო.
 გადმოვარდნიყო ბარეალი,
 მიწას არღვევდა მყარსაო.
 ამირან კვლავცა შესჩივლა
 ქვეყნისა დამაარსსაო:
 — „ზეცაო, მკვდარი შემყარე
 სიცოცხლივ შესაყარსაო.“
 ამბრისა ფეხი აზიდა,
 ვერ სძლია, ავნო მხარსაო,

ღმურდა: — „დღენი წაჟახავა
ძალასა საკვეთარსაო, მაგრა არ გატრი
ჩემი შეტკეცენის მშრესა მარცვლები
ალგეთი ეტყვის მტკიცესთხი. არინა
* არ გვიცის დოკუმენტი ფო
ამზრისა დელამ, შენიშნა: უერთო
— „აგი მის სიკულის ნანობლობი
ხომ ხელავ, მაგრა შეპმას მურალი
ტყვილა აუზრალოდ ლაშობლი: ას
ა, ის ქვეყანაც კოულია, და აუდინ
საღაც შენ ამიტონიბლი, ისიც მიზ
თავს იხურავდი ჩაჩენსა, მილინ
ბოლოზე ჯაჭვიანობლი, ღამეცეც
შენი სატრაფოის გულისთვის
ამბრისა იჭვიანობდი. ათერთი
* არ გვიცის დოკუმენტი ფო

სულ ზექელა ვიცი, რა მტრობას
ამბრისთვის შენ აპირებდი,
ამა საქმისთვის ლაშქრით ურთ
უდაბნოს ინაპირებდი.
* ესი თუ ყუოს დედათა —
ადვილად გინალირებდი:
აგქრავდი წინდის ჩეირას,
ცის გიდელს მიგაპირებდი;
მათრაბის წერასა მოჰკრავდი,
ლრუბლებში აგაყირებდი*. მარის

* მომავალი მიმუხრა
გრძელდა: — „გმირის დაზღვო,
ამაოდ შეგზარებოდი —
ჩემს მნათობას ვუიცი, მის ნახვას
ალგეთით ვეჩერაებოდი,

20. ემბავი ამირანის ყამართან ნასვლისა



ამირან ქვეყნად ატარებს
გონიერის ყამარისასა,
ბოლშის სალლობად სისხლს იხმარს
კაცთ მონაგვარის მტრისასა.
არ უმიმდის ქვეყნის მ. ი. ე. თეს
მაღლს შეედაოს ცისასა.
მტერს ომ თავისას არ აძლევს,
არც მიითვისებს სხვისასა,
ზეცას თუ ურჩობს იმ თავით,
არც უფროთხის ზეპის რისხვასა,
ავის და კარგის განსჯაში
არ სცნობს განაჩენს ღვთისასა.

*

სახლში ვერ დგება ამირან,
არ ხიბლავს ყოფა სვიანი,
დაბლობი გულსა უწყლულებს,
მაღლობი სწამლავს კლდიანი.
არც ანუგეშებს მყინვარი,
არცა ალკეთი მზიანი
დააგდეს სახლი და კარი,
მანძილი ნახეს გზიარი,
მრავალს გასწყვეტენ გველეშაპს,
დეჭთაცა მისცეს ზრანი.

*

მათ სამთა ძმათა სავალი
არ დარჩა ქვეყნის კიდესა,
შემოუარეს სამყაროს,
მხარ-ბეჭედ აიკიდესა,

ზეცაში ასვლას ლამობდნენ,
 ვერ ნახვიდიან კიბესა,
 დახოცილ დევთა ვარაში —
 სულის სატვირთად იდესა.
 დევების გვამებს უთვლელად
 უღრან ხევებში ყრიჲესა,
 ხევში ჰკაფავდნენ ფრჭვ-ნაძვნარს —
 მთა-იალბუზის რიდესა.
 გზა ჰქონდა ზღვათა მეფისკენ
 მას, ჭირის არ დამრიდესა.

*

ჩამოდნა ვმირის მარჯვენა
 ქვეყნის საქმეში რევითა,
 ამირან ბედს უჩიოდა,
 ვითა ალვის ხე, რევითა:
 — „მოვლალე ჩემი მარჯვენა
 ამდენი ომში ქნევითა,
 ჯაჭვის კალთები დამაცვლა
 ეგოდენ სისხლში რევითა..“

*

ტაროსსა კუთხე შეკრა
 სპერის ზღვის და კავკასისა,
 მთების გულ-მკერდზე ლალობდნენ
 სხივები ზეცის ხასისა,
 მთელ ქვეყნად მჯობი არ სჩანდა
 იგრისის სილამაზისა.
 მთა — მეგობარი პონტისა —
 უხეად ატანდა ფაზისსა
 თავისი ძირის ნარეცხსა
 დაუდებელის ფასისა.

დელთაგან ველი ამ ქვეპნის
სამფლობელოა იგრისა.
ივრი-ბატონი იხმარდა
წყალს დასაფარად მინდვრისა,
ქვეყანა მონად შეექმნა
ტალღად მოწიდულ ზღვის პირსა
ცრემლიან თვალით უჭვრეტდა
კავებასიონს და ისპირსა.
აქვე მოიჭრენ მძობილი
სამივ სისწრაფით ისრისა.

*
აქ მოიყვანა ამირან
ყამარის სახის ძალამა,
ტრუობის წინაშე დახარჯ
თვი საგმირო აღამმა.

ჩამოხდა, ზუკსთან შივილა,
მის, ტალღებს გაესალამა.
მწერლ სიყვარულის გოდეპამ
გმირის თვალები დალამა,
სევდა გაულლო ტირილშა
და გული დაუმაღამა.

*
ზღვის პირს ამკობდნენ შტეპიშით
ლრუპლები ბადრის ფერისა, უკან
თეთრონი ციურ სახისა—
თვით მთვარის შესატეონისა,
ზღაპარს უთხოობდა მნათობებს
გუმბათი მათი წვერისა,
გვანდა სითეთრით მოფენილ
არეს ციურთა მღერისა.

ქვეყანას გადავლებოდა
 ნაცვლად ზეციერ ჭერისა.
 ცად მიმცურავნი ხომალდნი
 ლრუბლისა — ას ნაჭერისა —
 ქარავანებით ვიდოდნენ
 მორცხვად მიმდევნი ჯერისა.
 ამირან ძმებით მოადგა
 მიჯნას ლრუბელთა სერისა.

*

ზღვასთან სტუმრებად ყოფილან
 ზეცით მოსული ძალები:
 წვიმა, სეტყვა და ქუჩილი,
 თოვლი და ქარიშხალები.—
 სიზმრეულს გვანან ლრუბლები,—
 ციური ამორძალები,—
 ადიან და ჩამოდიან,
 არ იქერს გზა-ბოძალები.
 თეთრი რაშები მიმქრიან,
 არ ამძიმებენ ნალები,
 ტანბუმბლიანებს არ აჩნდათ
 ნაცემი ანუ ნალები.
 სუნთქვას მიუგავთ სითეთრე,
 ტაროსის ნამოწყალები.
 ამირან მოდგა. თეთრონმა
 ვერ დაუბნელა თვალები.

*

ბადრისა, უსიპს და ამირანს
 ჰქონდათ თავისი ფერია:
 შავი, თეთრი და წითელი,
 სხვა ფერი არ გაერია.
 მათ ვერ გარევდა ერთმანეთს
 ვერც ზეცა, ვერც ჰაერია.

ყელა, იცნობდა აშ ფერებს,
საცა რიამ საღმე ერია.
ბაღრი თუ ლატობს ფეთრონით,
უსიპი სხივთა წვერია;
შავედი ამარანისა
შავი ლრუბლებით სწერია.
ლრუბელთა მეფე იმ თავით
მისი მოსისხლე მტერია,
დარჯალანის ძის სამტეროდ
თვალი იმ დღიდან სკერია,
რაც ქვეყნად გაჩნდა ამირან —
ცოდვილის ნაშიერია.

*

შისი ქალწული ყამრი
მამისთვის ქვეყნის ხატია,
ამირანისთვის სიკეთე
იმასაც ვერ აპატია.
შავი ლრუბლითა დაფარა
ზან ტრფობა განაცხადია,
ნიავლვარითა წალექლა
ამირანს რაც აპადია.

*

ამირან ზეცას გაჰყურებს
შიწიერ ზღურბლის ხევითა;
ლრუბელთა მეფის გზა აჩნდა
ბნელით დანისლულ ხევითა.
ზღვისა გატაღმით ჩასულსა
ცა მოეგრაგნა ხევითა.
უსიპსა ვზასა ურევდა
დასაჭალისა რღვევითა.

მხისა სხივების წვერები
 ზღვაში ჩაეშვენ რყევითა.
 ამირან ბადრსა მიშართა
 აქა დარჩენის რჩევითა,
 თვით კი დაიძრა ზღვისაკენ
 აბჯრის კალტების რხევითა:
 — „ბადრო, მათხავე თეთრონი,
 ზღვაში გავიდე ნგრევითა,
 გავიდე, გამოვიყვანო,
 ქალია თეირი მზე ვითა“.

*

ბადრმა ათხოვა თეთრონი,
 დაიძრა გემი ლრუბლისა.
 ცის კამარაში მისცურავს
 უშიშრად ლრუბელთ ჭფლისა.
 აპა გამოჩნდნენ არენი
 ყამარის შენაუთლისა:
 ელვა ლაფვარდით ქსოვილი
 მისი საშუალოს ზღურბლისა.
 ამირან ნახა გვირგვინი
 სხივით მოსილი შებლისა.

*

პროლისა კუშტი გამოჩნდა,
 ცასა სწველებოდნენ თაღები,
 ჯაჭვით ეკიდა წეცაზედ,
 არ აჩნდა მას გასაღები.
 სარკმელნი— მოაჯირები
 ძელქვის სიმტკიცეთ ხალები,
 ლომის და ვერძის მნათობი
 დარაჯად უდგნენ ლალები,

გარს ყვავილნარი ემოსა,
 თეთრთა ორუბელთა ნაღები,
 სუნნელოვანსა ეთერსა
 უკმევდნენ ზეცის ბაღები.
 კარიბჭეს აჩნდა ნიშნები—
 ბედისწერისა დაღები.
 ჰაეროვანსა კიდობანს
 გარს ერტყა ზეცის ჭაღები.

*

ამირან ზღვასა გავიდა,
 ყამარის კარსა უარა.
 ქალსა შესტყორცნა მანდილი,
 კოშქს გვერდით ჩამოუარა,
 ახლოს მისცლისა სურვილსა
 მის გული არ ეუარა;
 იქით მიმართა თეთრონი,
 დილა გათენდა თუ არა.

*

ყამარი მიხვდა წუხილსა
 ჰაეროვანის ლომისა:
 სარკმელსა მოდგა უფალი
 ცისა ელვათა კრომისა,
 სივრცეს ესროლა მეგზური
 წინამძღვრად ვარსკვლავთ ხომისა—
 ყამარმა შეჰკრა წარბები
 ნიშნად ქალწულის წყრომისა.
 ამირან იცნა: წალექა
 რისხვა ნაკადმა ნდომისა:
 თან ახლდა იმა ჭაბუქსა
 ძალა ღმერთების ცდომისა.

ბოლმით სავსე ვარ, არ შინდა
 ჩადენა მე სხვა რამისა“.

— „წამოვალ, ხოლო მაღროვე
 გაწმენდა ციურ ჯამისა,—
 ნაშენიმძრ არეს გაშრობა
 ვალად მაქვს ყოფნის ეამისა.“
 ამირან ცეცხლს შეხაროდა
 სახედველ ზეუდგამისა,
 ეხარებოდა, ხარობდა,
 რომ ის გვურდია დვა მისა.

*

ყამარმა უთხრა: — „ჯამები
 ზეცის მნათობთა ძირია,
 მიშველე — მათსა დაწყობას
 დიღი სიტროხილე სკირია.
 ისე დააწყე, რომ აღმა
 ერთს არ დაურჩეს პირია,
 თორემ, იცოდე, მოგველის
 უზომო გასაჭირია.“

*

ამირან ჯამებს აწყობდა,
 იჩენდა მოთმინებასა.
 ყველა დააწყო, ერთი კი
 არ მიჰყვა მისსა ნებასა.
 გასტეხა, თუმცა იცოდა,
 თავს მოუტანდა ვნებასა.
 გაკვირდა, როცა შეხედა
 ჯამების ხელოვნებასა,
 ახეთი რამ არ ენახა —
 ჰგავდა თუ მოჩვენებასა:

ნატეხი ნატეხს გაუდგა,
 შექმნიდენ გრძელსა წყებასა,
 სხვა საზრუნავი ყოველი
 მოეცვა დაფიწყებასა.
 მხრალოდ ერთმანეთს ურჩევდნენ
 სივრცეში აჩქარებასა:
 ღრუბელთ უფლისთვის ლამობდნენ
 ყოვლისა მოხსენებასა.
 ამირან ყამარს შესთხოვდა
 უმალვე გამგზავრებასა.
 ქვეყნისკენ გზის სანაოებლად
 ელვისგან ცეცხლის გზებასა.

*

ამირან ჯაჭვი გადასკრა
 ყამარის კიდობანისა,
 კოშკი მოსკუილდა სამყაროს
 ზეცისა კიდევგანისა.
 ვარსკვლავთა ნოხი გაშალეს
 მიელ სიგანეზე ვანისა,
 ცაბ ჩირალდებმა აცნობეს
 ქორწილი ამირანისა.
 ვინ თქვას ყამარის შვენება,
 ცეცხლოვანება ტანისა!

*

ნატეხმა ნატეხს გადასცა
 შთელისთვის გასაგონებლად,
 რომ ყამარ გაჰყევა ამირანს
 საამოდ და სამონებლად.
 სივრცეს არხევდნენ ჯამები
 ქვეყნისთვის მოსაგონებლად—,

რომ ელვა ცაში არ ნათობს
 მზის გზათა შესასწორებლად,
 ნატეხი ნატეხს მისდევდა
 სიყრცეში დაუშორებლად,
 ღრუბელთ მეფისთვის ამ ამბის
 უძალვე მისაწოდებლად.

*

„ქალ წაიყვანეს ყამარი,
 მამავ, უშველე, ტიალო,
 ჟამი დაგიღგა — აენთო,
 გული ცეცხლითა იალო,
 გზა გადაუჭრა ამირანს,
 მახვილი დაატრიალო,
 მეხით და ქარიშხალითა
 ქვეყანა შეაზრიალო,
 ქალსა მოუკლა აშიკი,
 მაცდური და სატროიალო,
 მოსტაცო ცეცხლი ყამარსა,
 ცაშიგან ააბრიალო.“

*

ღრუბელთა მეფე შეძრშუნდა,
 ამბავი ესმა ტიალი.
 დასწყევლა ზღვათა სამეფო,
 იქ წასვლა და ხეტიალი.
 შეჯარნა ღრუბელთ ლაშქარნი,
 საომრად უყო რიალი,
 მეჩი გასტყორცნა მთებისკვნ,
 ხევებმა შექნეს ზრიალი.

*

მკლავით შეჯარნა ღრუბელნი
 უდრეკით და უხეშითა,
 მოღვარა მათი ნაკადი,
 მიწას დაუშვა თქეშითა.
 წყალმა წალეკა მრდამო,
 ბარი აავსო ლეშითა,
 განძარცვა კლდენი ტყისაგან,
 ზღვა ამოხერგა შეშითა,
 გზა გადალობა სავალი
 კლდით ჩამოგრაგნილ ხრეშითა.
 მიჰერის ამირან — მიწისკენ
 ყამარით — გზის ნუგეშითა.
 ცით ცეცხლი მოაქვს ამირანს —
 ღვთის რისხვას როდი შეშინდა.

*

ამირან ყამარს ეხვევა
 და ტკბილად მოუბარია:
 — „მითხარი, ჩემო ყამარო,
 ნეტა თუ რა დროს ქარიბ?“
 — „ფრთხილად იყავი, ამირან,
 ეს მამაჩემის ჯარია,
 მათი ცხენები ჭენებით
 მტვერს ყრიან ანაჩეარია.“
 — „მაგრამ ღრუბლები რას ნიშნავს,
 ეხლა ხომ ცაში დარია?“
 — „ღრუბელთა შავი ლაშქარი
 ყველაზე საშიშარია.
 ავჩეარდეთ, თუმცა არ გშიშობ,
 მე ვარ და ჩემი ქმარია“.

— „აქ ნათელია, ქვევით წვიმს,
ზეცამ ქვეყანა არია“.
— „ეს დედახემის ცრემლია,
ნახე თუ როგორ მჭარეა:
დედისთვის ქაღის დაკარგვა,
თვითი იცი, სამძიმარია.“

*

„ამირან, გზასა კუჩქაროთ,
გავშორდეთ ცათა არესა,
მამიჩემისა მხედრებმა
თავი მალლისკუნ არესა.“
— „ქვეყნისკენ გზასა მოვნახავო,
მივხედოთ ბაღრსა მთვარესა.
ვერ მოგვწვდებიან მდევარნი,
თუმცა ზღვას მოუარესა.“

— „ამირან, შენი ძხევალი
არ ველი დღეს უარესსა,
მაგრამ, ხომ ხედავ, ლამჭარნი
ცხენსა შემჯდარან ჩქარესა,
მალევე მოგვწევიან,
ომს გაგიწევენ ცხარესა“

*

— „ამოდ იარე, ყამარო,
გზასა ამოვლევთ ბრძოლითა,
ვინ აიცდინა სიკედილი
იმის წინაშე ძრწოლითა?
ხერხემილს არ გავიღუნავ
ბედისა ლანაწოლითა,
სიკედილსა თვალებს ამოვწევ
ჩემი ელვარე ცოლითა.
ყამარო, ჯერაც ვერ გავძეხ
მე შენი ახლოს ყოლითა.“

— „ხედავ მამაჩემს, მოქროლავს
 ჰაეროვანის ცხენითა.
 ბუმბერაზები შოჰკვება.
 ბარჯვენით და მარცხენითა.
 ვაიმე, ბელო, შავპელო,
 ილარი ითქმები ენითა!“
 — „ყამარო, თავსა იწუხებ
 შენ ნაავრევი წყენითა.
 ვინ შეაშინებს ამირანს
 ბედშევი მამაშენითა!
 ამოდ იარე, ყამარო,
 თავს ნუ იწუხებ რბენითა,
 სიყვარულს მსხვერპლსა მრვუტან
 საყვარლის გადარჩენითა“.

— „ამირან, გული გასკრება
 დღეს სიკვდილითა ორითა,
 განა ისინი მოდიან
 ძალითა თანასწორითა?
 მოქრიან, როგორც მხეცები,
 გაუმაძლარნი მძორითა.“
 — „ყამარო, თავს ნუ იტკივებ
 შშიშართა მონაჭორითა.
 არეა ვარ ტყისა ხოხობი,
 მომინაღირონ ქორითა,
 არც ვარ მინდვრის კურდლელი,
 მომსუვდნენ მწევარნი შორითა,
 არც ვარ ხისა ფოთოლი,
 წამიღონ ქორის ქროლითა.

„შენ ნურას დარღობ, მოვიღნენ
 იმ რაშებითა მალითა,
 მოვლენ და მეც აქ დავხვდები
 ამ ჩემი გორდა ხმალითა.
 პედს შევყრი მე უმწარესსა
 მამაშენს მის ამალითა,
 ცას შესტირებენ გვემულნი
 შავბედის მოსაფალითა.“.

*

— „ამირან, გულზე მომეკარ
 შენი მგზნებარე ტანითა,
 ყამარს ნუ მოქლავ სევდითა,
 საძნელოდ ასატანითა,
 მო, ვისარგებლოთ სიკვდიდმდე
 აშ დარჩენილი ხანითა.“

— „ვერ გაიხარებს სიკვდილი
 დამხთურით სამი ძმანითა —
 უსიპითა და ბაზრითა,
 მესამით ამირანითა,
 ჩვენთვის ერთია მომსვლელი
 შუკით თუ მოედანითა,
 სულჟელს თავებს დაგიჭრით
 საპურყველაი დანითა.

*

„მე მამაშენი რას შავნებს
 უზოშო გულის წყრომითა,
 გულს გავუხეთქავ იმ ბედშავს
 შერისძიების ბოლმითა,

სისხლისა ზეიმს ვაჩვენებ
 ქაჯთა თავების გორგითა.
 იმ შამაშენის ლაშქარსა
 მარტო ვეყოფი ოშითა.“

*

ამირან ქვეყნიდ ისწრაფის;
 ხმალ არ ემარჯვის ცაშია,
 ლრუბელთა მეფე მოპეროდა
 ვითა განკითხვის რაშია;
 შავსა ლრუბელსა აჭკიდა
 რაც წყალი იყო ზღვაშია,
 ქაჯნიც ყველაი თან ახლდა,
 ერთიც არ დარჩა სახლშია,
 მიწას მოედვნენ სარბევა დ,
 ვით უკუნეთის არშია.

*

ამირან ქვეყნიდ დაეწეა,
 მიწა საბიჯად მყარია.
 სამშობლო კუთხის დანახვა
 სულსა და გულს უხარია,
 ვინ იტყვის, როგორ უხარის,
 მის გვერდით რომ ყამარია,
 ქვეყნიდ მოყვანილ სხივისთვის
 დღეს იგი მეომარია.
 ლრუბელთა მეფის ლაშქარმა
 დაფარა რაც რომ არეა.
 ამირან ხედავს, რომ მათთან
 დღეს ომი სამძიმარია.
 ლრუბელთა მეფეს უშველის
 ომისა ლმერთიც — არია.

ყამარის სიმშეიღისათვის
 ჭაბუკი ძალზე წყნარია,
 არცა რად უჩანს ლომგულსა
 ღრუბელთა მეფის ჯარია,
 მხოლოდ იმისი სიმრავლე
 გმირისთვის საცოდნარია.

*

— „ბადრო, სიყრმიდან გჩვენება
 გული არ-მოსამდედრონი,
 სისწრაფე გვმართებს, გვიშველე,
 მალია შენი თეთრონი.
 უაშისა ბრუნვას, აჯობე,
 დროსა წარტაცე ზე-დრონი,
 საჭირო ზენი გვაჩვენე
 გზირისა და სამხედრონი,
 მტრისა საძგერად მომართ
 ხეალი და შუბი მკვეთრონი.“

*

თეთრონის აშბაძე ვინ იტყვის —
 ქარია, ფეხით ჩალითა,
 წლისა სავალსა ფაჭვიდა
 ერთისა დღის სავალითა,
 ქვეუნის შემოვლა! იწყებდა
 მზის სხივის დასაფალითა,
 უსიპი გზას უჩათებდა
 მას სხივისანი თავალითა;
 უზომო იდგა ლაშქარი,
 რიცხვითა დაუთვალითა.

*

ამირან ბადრესა შიმართა
 სიმტკიცით შეუჩევევითა;
 — „ჯარ მოდგა, ბადრით, ხომ ხედავ,
 ვითა ფრინჯელი რევითა.
 შეკაზმე, ბადრო, თეთრონი,
 ღამე იარე დღე ვითა,
 ჩადი, ჯარს ჭროუარე,
 გარს შემოერტყი ნგრევითა,
 თუ გაგიჭირდეს, მიყივლე,
 საშველად ვუგევარ ზევითა“.

*

ბადრი თეთრონს შეწოაჯდა,
 ზღვის ნაპირი გაღირბინა,
 წამსევ მიხვდა იმ ადგილსა,
 საცა ლაშქარს ჰქონდა ბინა,
 კვლავ საცნობად მანძილისა,
 საღ იარა იმის წინა,
 მან ისარი ხესა სტყორცნა
 და მით კვალი დააჩინა.
 ღრუბელთ მეფემ ეს ოინი
 დაინახა და იშკინა,
 და უმალვე სათვალთვალოდ
 ბადრს ქაჯები მიუჩინა.

*

ბადრმა ყოველი იცოუა,
 თუ რა სამხედრო ზნენია,
 მაგრამ იმ ლაშქრის მოვლაში
 სულ იერია დღენია.
 მოკლედ უამბო ამირანს,
 თავი არ შეუჩევენია:

— „შენ კარგად იცი, ამირან,
 თუ რაა ჩემი ცხენია,
 ცხრა დღე წივლია, ცხრა ლამე,
 გარს ვეღარ მომირბენია,
 არ დაშიგდია აღგილი,
 სადაც ბარი და ქლდენია,
 ამ ჩემი თეთრონისთვინა
 ოფლი არ შემიშრენია,
 ამ ჩემი მათრახისთვინა
 ფოჩი არ შემირჩენია.
 მიბრძანე, ძმაო, გულახდით,
 თუ ჩემგან რამე გწყენია“.

*

ამირან წასვლად აფრინა
 ბედითი შავი მერანი.
 აბჯრისა ბადე ხვიორდა,
 რგოლებს გაჰქონდა უღერანი,
 თასმებმა; გულზე ნასკვენმა,
 ვერ დაუჭირა ძერანი.
 ლრუბელთა მეფის ლაშქრისა
 რიცხვი შეიცნა ვერანი;
 თან მოეყვანა პირქუშსა
 ქაჯთა სამეფო ვერანი.

*

მტრის ბანაეს გადაჰუენოდა
 შურისძიების გენია.
 ამირან უკან დაბრუნდა,
 არ გააგრძელა დღენია,
 ძმება საომრად აწვევდა,
 ვითა ლაშქრობის ზნენია.

ამირანს უთხრა ყამარმა:
 — „ რა წესი გაგიჩენია:
 უსიპს და ბატონსა რად გზევნა—
 პირველი ომი ჩვენია“.
 — „ომისა წესებს არ ვარღვივ,
 თავდები თვით გამჩენია.
 შენ ქარგად იცი, უსიპო,
 ომი პირველად შენია.

*

„ჩაღი, უსიპო, ოომე,
 მერმე ჩვენც ეშველებით,
 ფიცხლად თარე კლდეებით
 და არა მარტო ველებით.
 მზაკვარსა მტერსა აჯობე
 საძულვილით და ხელებით,
 არ გმართებს მტერსა მიუხტე
 შურისა გამონელებით,
 ცივი სამარე უთხარე
 დაუნდობელი ხელებით.

*

„ისარი ტყორცნე ხელმარჯვედ,
 წვერმომახული, ფრთიანი,
 ლახტი გულმეტრდში ატაკე.
 პირმეხი და გესლიანი,
 ელვის უსწრაფეს აელვე
 მახვილი პირსისხლიანი,
 სირცხვილიანის შინ მოსვლას
 სიკვდილ სჯობს სახელიანი.“
 უსიპი მტერსა ექვეთა,
 ბრძოლად არ იყო გვიანი.

*

უსიპი სწრაფად გაძექანდა,
 ალექსი გაინაპირო,
 იგრისს შემუსრა ყოველი.
 რაცა რომ ბედმა გასწირო,
 ქმრები ბოუსპო ცოლებსა,
 უთვალავ დედა ატირა,
 რაშებზე მჯდომი ქაჯები
 ბნელეთში დასცა თავყირა.
 მკერდგაპობილი მხიდრები
 ტკი არ აკვრესა — აკ რა,
 მტერს რა მოუსრნა ლაშქარი,
 ძმისაკენ წასელა აპირა,
 უეცრად მტერმი ქურდულად
 მასზე მახვილი აპირა,
 მკვდრეთის უფსკრულში უსიპი
 ბედმა ძმისათვის ჩასძირა.

*

ამირანს გულმა აცნობა:
 დღე მოელოდა საწყენი.
 პირი შეექმნა დაღრეჯით,
 აუხდა წარბი მარცხენი:
 — „ან ჩადი, ბაღრო, ან ჩავალ,
 ან რაში მომეც, ან ცხენი —
 უსიპის მუზარაცისა
 აღარ ამოდის ნაცხერი“.

*

ძმასა ებრალვის უსიპი,
 იმის გულმკერდში ალია,
 ძმა ასე უნდა ძმისათვის —
 სიცოცხლე რომ შეალია.

ხანს არ აყოვნებს ამირან,
სისხლის ამღებად მაღია:
— „ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ,
ან გამილესე ხმალია.
თუ ვერ მოვედი, ყამარო,
ვაიმე, შენი ბრალია.“

*

ძმამ ძმისა შავი დღისათვის
ბადრმა აისწა ასჯარი,
მტერსა, ზლვასაებრ მოდენილს,
მიუხდა, ვითა აფთარი.
შემუსრა შურისძიებამ
ღრუბელთა მეტის ლაშარი.
ბადრი მთვარისა ისრებმა
ბნელეთსა ღასცა თავზარი,
დარჩენილ ჯარის ნახევარს
ხარბად მოედო ხანძარი.
ბადრმა უსწორო ომშია
სიკვდილი ნახა საზარი,
მწარე სანახის მჰირილი
ამირანს ეტყვის ყამარი:

*

— „შენი აბჯარი მომეცი,
მე ჩავალ საომრადაო,
თუ მაშაჩემი შენა გმტრობს,
მას მე გავუხდე მტრადაო.
თავისა ერთსა ქალწულსა
მამამ უპოვნა სადაო—
ქორწილის სარეცელამდე
მომსდევს საიდან სადაო,
დაე იცოდეს ვინცა ვარ,
ლაშქარს გავუხდი მტვრადაო.“

*

ყამარი რისხვის აფრევევდა
 სიტყვამძლე და სხივსანი.
 ამირან ჯავრით მიუგო:
 — „სიტყვა პატიოსანი:
 ვინ თქვა — ვაუკაცია მაგიერ
 იბრძოდეს მანდილოსანი,
 ომში წიგიდეს დიაცი,
 შინ დარჩეს ვაჟი ტმლოსანი,
 ლაშქარის წასულსა მეულლეს
 უმღერდეს როგორც მგოსანი?“

*

ამირან იჯდა აბჯაჩში
 ხმალ ისარ-კაპარჭიანი,
 მერანი ალვირს ლეჭავდა,
 სწყუროზა ველი გზიანი,
 ყამარი ვზის უნათებდა
 ელგარე, სახე-მზიანი:
 — „ამირან, წასვლა იჩქარე,
 მოსვლად არ იქნ გვიანი,
 გამარჯვებულსა ჭაბუქსა
 გფენოდეს ვარდნი, იანი.
 რა დაასრულო ქაჯებთან
 შენ ომი პირსისხლიანი,
 ხმალს ნუ ჩაიგებ ჭარქაწში,
 ჩემთან ამოდი ხმლიანი.“
 ამირან აბჯაჩ ისხა,
 გზა ჩაირბინა კლდიანი,
 გამოასალმა სიცოცხლეს
 ნრავალი შავი დღიანი,

პირისპირ შვეციალის,
 ხმალი დაარტყა ფხიანი,
 ნაცემია ცეცხლად იცლვა.
 ვერ მიაყენა ზიანი.

*

ღმერთი და კაცი იბრძოდნენ,
 სამყარო იქცა სმენადა,
 არსად ეცალა არსებას
 ამ წუთში მოსალხენადა,
 დილიდან შუბის ტარამდე
 მზე იდგა სხივთა მფენადა.
 ტაროსმა ყველა ღმერთები
 შეყარა ჭირთა მომენადა:
 ღრუბელთა მეფის საშველად
 მზად იყო ძალი ზენათა.
 მაგრამ შორს იყო იგი გზა
 ზეციერ მადლის დენაა,
 არავის სურდა ზეციერს
 ყამარს ქვეყინა ჩნათა,
 ზეციდან ცეცხლის წალება
 ვერ ეთქვა ღმერთთა ენათა,
 კაცთა უცეცხლოდ დაგდება
 ღმერთებს ჰქონოდათ რწმენადა;
 დღეს ის მიწიერს მიჭინდა
 ღმერთების შესარცხვენად .

*

ამის და სატრფოს ბრძოლისა -
 შიეპყრა ხედვა ქალისა,
 ორივე სასიკვდილოდა
 ამ ხევამ წაახალისა.
 მამისა სიკვდილი გადაჰყვა
 ჩსოვნას წარსულის კვალისა,

გაქარდა მამა — მეტოქე
 სიყვარულისა ძალისა.
 არ ახსოეს მამის აღერსი,
 ხედვა ცრემლისან თვალისა:
 ყვავილსა ხავსი ურჩევნის
 ამ ყმისა სასურვალისა.
 არ ახსოეს მამის ნუგეში —
 ფოლადს რა მართებს რვალისა —
 ამა ჭაბუკის უბეში,
 ბოლვაბ გრძნობა ვალისა:

*

ჭაბუკი ვერ სცემს ელიას
 ადგილსა სასიკვდილოსა;
 როგორ გაუძლოს ყამარმა
 საქმესა სათაქილოსა
 და საყვარელსა ბრძოლაში
 სამხნევლად არ შეჰკვდოსა:
 — „ეი, ამირან, ამირან,
 ომი ვერ იცი ჭილოსა,
 გესურვოს მტერსა დასცემდე,
 მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა.
 მამაჩემისა საკვდომად
 დაბლა შემოკარ რბილოსა;
 დააწყდებიან ძარღვები,
 დაეცემიან ძიროსა.
 ჩარდახს ფეხები შეაჭერ,
 მაშინვე მიაწვინოსა.
 ბოძნი რა დაეჭრებიან,
 გითარცა ძვლები ხრტილოსა.
 დარბაზნი დაეცემიან
 არესა უადგილოსა!“

*

ესე სიტყვები ყამარის
 ქარსა მიჰქონდა დამცხრალსა,
 რა გაიგონა მამამან,
 სახე ეცვალა გამწყრალსა:
 — „ქმარი არჩია მამასა,
 უყურეთ უმსგავსს ავ ქალსა,
 ქმარი ხეს ასხავ ფოთლადა,
 მამას ვინ მისცემს საწყალსა!
 ამის გამგონებ რაღა ვქნა,
 თავსა მივსცემდე რა წყალსა!

*

„რისთვის გაგზარდა დედამა,
 რისთვის გეტყოდა ნანასა,
 რად გაწოჭებდა ძუძუსა,
 გირწევდა იკვანანახა?“
 — „არც-რა გამზარდა დედამა,
 არც-რას მეტყოდა ნანასა,
 მიმაგდის სახლის ყურეში,
 თაგვების ანაბარასა.
 არც-არას მათირებლოდით,
 არც-რას მეტყოდით ნანასა,
 უამსმოდით დავიწყებულსა,
 მომიღირებდით დანასა!“

*

ამირანშა მოუსმინა
 მამა-შვილის საუბარსა,
 გადასწყვიტა, დაუჯეროს
 ყამარ-ქალის ნაუბარსა.
 რეინის დეზი ჰკრა მერანსა,
 მიაშურა ისევ ბარსა.
 მოზომილი ხმალი დაჰკრა

ლრუბელთ უფლის რქინის ფარსა.
 ფარი გატყდა და აბჯარმაც
 ვერ უშველა ჯადოქარსა.
 ამირანი ხმალით მიწვდა
 მტრისა სხეულს უებარსა,
 უეხში დასჭრა. ლრუბელთ მეფე
 დღესა მიხვდა საშიშარსი,
 ძირს დაეცა—თირქოს ლერო
 ცელსა მჭრელსა მოეპარსა.
 ლრუბელთ უფლის მწარე კვნესა
 ცის სივრცეში მიაქვს ქარსა,
 შველად უხმობს ზეციერსა
 მთავარ ლმერთსა—თვითონ დარსა,
 სასიკვდილოდ დაკოდილსა
 შემოერტყა ჯარი გარსა.
 ამირანი უზოგველად
 ლრუბელთ უფლის სრვიდა ჯარსა,
 თვით უფალი მცირე ლაშქრით
 წარეტაცნა დამარსსა.

*

გამარჯვებული ამირან
 მოდის ბრძოლისა ველადა,
 უსიპ და ბადრის მოპოვნა
 გაუხდა სასურველადა.
 გზირსა, ბნელეთის მეტრძოლსა,
 გამარჯვება აქვს ხელადა;
 ძალა არა იქვს იხაროს
 დარჩენილს მარტოხელადა;
 ძმებსა დაეძებს, უყივის,
 ცრემლი ჩამოდის ცხელადა.

ღმერთის და კაცის ბრძოლასა
 გადარჩა საკეირველადა,
 ყამარის ცეცხლი ეახლა
 სიცოცლის საფარველადა.
 უფალზე გამარჯვებისთვის
 ვინ იუიქრებდა ძველადა.
 ობოლს სიცოცხლე სიკვდილზე
 მიუჩევია ძნელადა.
 ტელავ ბრძოლის ველზე მიმოდის
 მის ძმების საძებნელადა.

*

თვალგაღუწვდენელს მინდორზედ
 ხერგად ეყარა გვამები.
 მას სახეებზე ეწერა
 სიკვდილის წინა-შამები.
 ვირ წაერეცხა სისხლსაცა
 ფიქრები განაწამები,
 გადახვეოლნენ ერთმანეთს
 მკვდრები — შეილნი და მამები.
 ავსებულიყო მკვდრებითა
 მინდორი, კლდე და ხრამები,
 სიკვდილის გურა გვამებზე
 ფრინავდა ნასიამები.

*

საღამო-ჟამის ფარდავმა
 არე თანდათან დაფარა,
 ნისლში ერთობლივ განაცრდა
 შავომიანი და ჭაღარა.
 ამირან მკვდრებსა დახედავს —
 სასენი სჩანან ძლარა,

ნანობს, რომ მკვდრები მინდოოზე
ამდენი ერთად დაყარა.
აპა, ეჩვენა უსიპი,
საჭვრეტად თავი დახარა:
ქაჯმა დაჭრილმა რა ჩახა,
გიუურად გადიხარხარა.
ამირან შედრკა, მობრუნდა,
მუნით ნაბიჯი აგარა—
მკვდრეთის სიჩუმე ისმოდა
როგორც სიკვდილის ნალარა.
იმისი შუბლი ელვარე
სევდის ნაოჭმა დაღარა—
რომ ბეღმა მასთან შეზრდილნი
აგრე უწყალოდ წაჰვარა.

*

უსიპ კლდეთ გადავარდნილა,
მოსწყდა ქვეყნისა ხედვასა,
ბადრი თან გადაჰყოლია,—
ვერ უძლო გაყრის სევდასა,
კეთილი ძმობის მსხვერპლები
ჭაბუქთა რიგებს ეღასა,
რა კარგი ძმობა ჰქონიათ,
ნეტავი იმათ დედასა!—
ორივემ თავი შესწირეს
ძმობის სიმტკიცის ჭედვასა.

*

ამირან ხედავს: ზეიმსა
იხდის ყვავი და ყორანი,
სისხლის მორევსა ეკვროდა
ომში დახოცილთ გორანი,

მასში ჩაცვენილ გვამებით
შეუკრავთ მეცნიერების ბორანი..
მხეცნი და სვავნი შეყრილიან,
ახლო მყოფნი და შორანი,
ერთად გლეჯდიან გვამებსა,
წვეულებაში სწორანი.

*

ბადრსა და უსის ჩასძახა:
— „ძებო, ნუ დამემდურებიო,
თქვენს ბედზე მწარე ბედი აქვს
ამირანს თქვენი ყურებით.
თქვენთან მოსვლასა ვისწრაფი
გულითა მონაწყურებით“.
ასეთი თვალთ არ ენახვის,
არცა სმენია ყურებით.
ფეხმალმა განვლო ადგილი,
სავსე მგლებით და ტურებით

*

სიკვდილის აჩრდილს შესძახა:
— „ჩამოდექ, ტურა-ქალაო!“
პასუხად ესმა — „ამირას,
ნეტავი რამ დაგლალაო.
გასწყვიტე ცოლოურები,
ვინ გითხრა ბარაქალაო.“
— „განა ჭიუიანს რას იტყვი,
გამხმარო თავის ქალაო;
დაგიღრეჯია — უტყაფოდ
კბილებსაც ვეღია მალავო.“

*

ლამეა. ბნელსა შეერწყა
მკედრების გორაკთა ჩრდილები,
ნისლის საფარელს იბერტყდნენ
მთის მოსასხამის ღილები.
შედგა ამირან, სიმწარით
კბილებს ღააჭდო კბილები,
ბედსა, შავბედსა ემდურის,
მისგანვე განაწილები.
ძმები მკედრებიცა ვერ ჰპოვა,
ნასთანვე ეამიზრდილები.

*

ამირან დაჯდა მტირალი,
შემირკარა ლაჯები.
ირგვლივ ორკეცად ელაგენ
მისგან მოკლული ქაჯები.
ეამ-ეამად სისხლსა წვეთავდნენ
გადასერილი მაჯები.
მკედრებს არ ესმოდათ ჭაბუკის
ნალმობი ან ნაჯები.

*

იჭვებით გარემოცული,
ამირანს უცდის ყანარი.
ეამის მიმოსერის ყურს უგდებს
დაობლებული მთა-ბარი.
აქვეა საფარსამული,
გმირ ამირანის მაყარი,
უიმედობის სუსხასგან
ისიც გამხდარა საპყარი;
ციურ დედოფალს მიმართავ
ის—ვაჟკაცობის ამქარი:

— „გმირ ამირანის საპოვნად
 შენ ეწვის სხივი აღყარი.“
 ყამარ წიმოდგა, განათლა
 ველი, სიკვდილის ნაყანი,
 ნოკიერ სისხლის წვიმისგან
 სიკვდილით თაველნაყარი.
 ყამარმა ჰპოვა ამირან,
 ნასურები და ვასახარი.

*

ამირანისა დანაწვამ
 ვული ვარდისა აეკლა.
 ყამარი შედგა, დაიბნა,
 ალარ იცოდა არ ექნა.
 ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა
 ალგეთის ჭალა გაექნა—
 უძმოსა, უმამისძმოსა
 ამირანს თავი მაეკლა.

*

ჭალმა დაჭრილის გულმკერდზე
 ცის ნაპერწკლები დაპყარა,
 თვალთაგან მოსწყდა ვარსკვლავი,
 ველზე სხივები დახარა.
 ჭრილობას ხელი შეახო,
 ალვისა ნერგი ახარა.
 ზ. ციერ ცეხცლის სითბოსგან
 სისხლი სდიოდა ატარა.
 ამირან თვალნი გააღო,
 ცხარე ცრემლები დაღვარა,
 გონნა მოვიდა ჭაბუკი,
 სატრფო გულისა ნახარა.
 გამარჯვებისა ამბავი
 სასურეელს ვერლა ახარა.

*

ძალა მოკრიბა, მიუთხრა:
— „ყამარ, ვიყავი ავიო,
სიცოცხლეს ვესალმებოდი
მე შენი უნახავიო,
შავბელმა უბედობაში
აღარ მომაკლო ხვავიო;
ძალი არა მაქვს, მოვკვდები,
დღე არ მაშინებს შავიო—
ყამარო, დამსხენ ძუძუნი,
ჩემსკენ დახარე თავიო.“

*

ყამარ მიუჯდა, ყურს უგდებს
ჭაბუკის გულის ძერასა.
ეუბნა: — „ციურ ცეცხლთანა
სიკვდილ გახდება ვერასა.“
— „ყამარო, შენი თვალების
ქალე ვერ შევსძლებ ცქერასა.
სავარსამულსა ჭაბუკსა
მივანდობ ცეცხლის კერასა“.
— „ევრე რომ იყოს, ნუ ეჭვობ
მოვიქმედებდე მე რასა—
ამირან მკვდარი მერჩიოს
სხვა ჭაბუკისა მღერას“.

*

— „ყამარო, მაშინ აფრინდი,
დასტოვე მიწის მყარიო,
გასთელე შენს გონებაში
ქვეყანა სავიწყარიო,
ქალთა შორისა შენ იყავ,
ვიცოდი, შეუდარიო—

ცოცხალსა სავარსამულსა
 მე გირჩევნივარ მკვდარიო.
 ერთი ლა მიყავ სიკუოე,
 დრო არ მაქვს სამუდარიო:
 პშოვე ბაღრის და უსიპის
 სიკვდილის საბუდარიო,
 მათი ცოდვითა ვიწვები;
 არ მასსოვს საკუთარიო,
 იმათ ნიშანსაც გასწავლი,
 სხვა მკვდრებში რომ არ გარიო.

*

„თუმცა ბაღრი და უსიპი
 ძენია კაცთა გვარისა,
 ორივეს აზის ნიშანი
 ზეცისგან ნაბოძვარისა:
 საღაც ერთმანეთს უსწორებს
 წვერები ორივ მხარისა—
 უზის უსიპსა მზის სხივი,
 ბაღრა ა კი— სახე მთვარისა.
 ზეცამ გარგუნა უნარი
 ბნელეთში სახედვარისა,
 სიკვდილისაგან მხსნელ იქმენ
 სამ ძმისა— სამ მხედარისა“.

*

ყამარმა სხივი მიაპყრა
 საცა მაღალი ხევია.
 სწორედ მონახა გვამები,
 ერთიც არ გადუხვევია.
 ცეცხლით ჩიბერა სიცოცხლე,
 ვით მაცოცხლებელთ სჩვევია;
 ორივე ფეხზე წამოდგა,
 არც ახსოვს შენამთხვევია.

*

ამირანს სახე უბრწყინავს:—
 აშ იგი არ შეწუხდება.
 ყამარი გვერდით დაუდგა,
 ერთი მეორეს უხდება,
 ნეტავი ძმათა მაშვრალთა
 ცხარე მზე ამოუხდება,
 ვერც ვინ წაართმევს დიაცსა,
 ვერც ვინ შინ შამოუხდება!
 ამირან გაუწირავსა
 სიცოცხლე დაუბრუნდება.
 ბადრი, უსიპი გულგმირნი
 გვერდშიაც ამოუდგება.

*

გაიხარებდა ყამარი,
 ღამე შეექმნა მზიანი.
 მის გვერდით სამთა ძმათაცა
 სიცოცხლე უჩნდათ სვიანი.
 ვერარა ძალამ ბნელისა
 იმათ ვერ მისცა ზიანი.
 დააგდეს ველი ბრძოლისა,
 მანძილი ნახეს გზიანი,
 საცა ეგულვისთ სამყოფი
 სასახლე-დარბაზიანი.

21. ემპავი ემისანის ქოჩილისა

ქალსა ლაშაზსა რა უნდა,
 გარდა ლამაზი ქმარისა,
 ახოვანის და ვაკეაცის,
 ჟიბუქად მოსახმარისა!

ამირან იყო მშვენება
 მთელი ალგეთის მხარისა,
 მას შეხაროდნენ სხივები
 დილისა და სამხარისა,
 გეერდს უმშვენებდა მზის სხივი
 უსიპის ლებარისა,
 შეყვარებულთა კარავი—
 სხივი ბაღრისა მთვარისა.
 გარშემო ედგნენ ლომგულნი
 შისთა ჭაბუქთა ჯარისა,
 ამირანისა ქორწილზე
 ყოვლითგან შენაჯარისა.
 ახლად მოსულსა სტუმრებსა
 იღებს მსახური კარისა.

*

მთელმა ქვეყანამ იცოდა
 სახელი ამირანისა.
 კაცის და ლმერთის ნაშობის,
 მის —ძისა დ. რჯალანისა.
 სათაყვანებლად გამხდარა
 მძლეობა მისი ჯანისა,
 მთელი ქვეყანა შეძრულა,
 განურჩეველად ხანისა:
 ინდოს ნაპირი, ქვეყანა
 ერანის და თურანისა,
 ამათ გადალმაც, მთის იქით
 ქვეყანა დიდი ხანისა.
 მისრით მოვიდნენ ჭაბუქი
 დაუყოვნებლად ხანისა,
 კაპადუკიელთ რან ახლავთ
 ამაღლა ზემო განისა;

ურიათ გმირებს დაევლოთ
 ნაპირი იორდანისა;
 უდაბნოს შვილი მოვიდა—
 ომ-ვეფხვი იამზისა;
 კავკასიონის ჭაბუკია
 ამკობს სიტურფე ტანისა;
 მათი ქიშპობა ძალ-ედვა
 ჭაბუკი აიასტანისა,
 ალარ დააკლდა ზეიშსა
 გმირი ადრაბადანისა.

*

ცხრა-ძმა დევების სასახლე
 დღეს მთელი ქვეყნის არეა,
 გალმა-გამოლმით მცხოვრები
 ყველა აქ მომთაბარეა;
 დალახტულ დააბჯრულია
 თუ საღმე მეომარია.
 უმაძლარ თვალით ანათებს
 ომისა ღმერთი არია.
 სტუმრებსა ხელება ამირან
 და ტკბილად მოუბარია.

*

ახალ სტუმართა მოსულასა
 ვერ უძლებს ღმერთიც ომისა:
 სიხარბის ცეცხლით აენთო
 თვალი შურის და ნდოშისა.
 ინდოთ ესურეათ მოგზავნა
 კაცისა მისანდობისა,
 რომ გადმოეცა ნასურები
 მეფის აბესალომისა.

მოდგნენ ინდოთა ჭაბუკნი,
 თითოა მსგავსი ლომისა,
 თან ძლუერი მოაქვთ—ნაყოფი
 ოსტატობის და შრომისა.

*

ცარბაზის ბჭესთან მრაიჭრა
 მერანი, ვითა ქარბუქი,
 მიწას ტორითა არლვევდა
 იამანთ ველის ნასუქი,
 მარგალიტითა პობნეულ
 ჯდა უნაგირზე ჩაუქი,
 ამირანისა ქორწილზე
 მოვიდა თვით მხეჭაბუკი,
 თავისი ელვარებითა
 დაუწერელი და უქი.

*

გაფასდა ყრმაი ჭაბუკი
 ერანელი და მისრელი,
 როცა გალავანს მოადგა
 ამალით ნოსარ ნისრელი.
 არ იყო კაცი მზაკვრულად
 ან უპატიოდ მის მსვრელი,
 სალამს აძლევდა თავდაბლა
 ყოვლი მის წინა მიმსვლელი,
 მხარს უმშვენებდნენ მხლებელი,
 მეშუბე და მეისრენი.

*

ინდო-ჭაბუკის მხლებელთა
 როს ალაყაფი გაფლესა,
 თვალნი მიაბურა კრებულმა
 დევ-გმირსა სეფე-დავლესა.

მის შესახვედრად მექარეთ
დროშებსა ხელი ავლესა,
ძლენად მოაქვთ, რაცა დევებთან
გრძოლაში მოიდავლესა —
მხევალნი შეხვდნენ კრძალებით,
თავები მოიმდაბლესა.

*

შემოკრბა ყოვლგნით სტუმარი,
უამია დარბაზობისა.
საფარსამული მასპინძლობს,
ნაცადი მრავალგზობისა.
ამირანს თვითონ შემოჰყავს.
საუნჯე მისი გრძნობისა —
ელვა ცეცხლისა მთესველი
და ნაპერწყალი გზობისა,
ლაუვარდოვანი სათავე
სიყვარულისა შობისა.

*

ვარსკვლავ-მკედისა ტახტზედა
დასვა მნათობი ზეცისა.
მისი მშენების მხილველთა
თვალნი გაუხდის ბეკისა.
ირგვლივ მოაფენს სიამეს
სხივისა ას-ნაკეცისა,
სინაზე მისი ხედვისა
გულსა გაალლობს მხეცისა,
წამს საუკუნედ ასრულებს
უამისა შენაკვეცისა;
ცოლ-ქმარის ერთად მჭვრეტელთა
ამირანიცა ეცისა.

*

იწყეს ქორწილის ზეიმი,
 იყო სიმრავლე ერისა.
 ყამარსა ტახტი დაუდგეს
 იაგუნდისა ფერისა.
 მეორე ტახტი — მშვენების,
 კაბუკის შესაფერისა:
 მარგალიტითა კაზმული,
 კიდურით ოქროს ლერისა;
 ბრწყინავენ სელნი სტუმართა,—
 ყმათაცა, ვითა ბერისა,—
 კარავი იდგა ეთერის,
 ზეციდან მონაბერისა.
 ყამარსა აჩნდა სახეზე
 ნახატი ცის იერისა,
 ამირანს — სხივის გვირგვინი,
 ნიშანი ბეღნიერისა —
 ორივე იყო ნაერთი
 ზეციერ-ქვეყნიერისა.

*

სუფრა გაშალეს, აწვიეს
 სტუმართ საჭმელად პურისა,
 სავსეა ტაბლა ჭიქითა,
 ვინა სთქვა — სადაურისა:
 იაგუნდის და ლალისა,
 იამან-ბალდალურისა.
 ჰაერს ათრობდა ნაშეფი
 ლვინისა საამურისა.
 ცალკერძად იყო ჯამები
 თეთრისა და წითურისა,

ქიშპობა იყო სასმისში
ძირისა და კილურისა.
გიუობდა გამონაყოლი
ჭვევრისა ჩაკირულისა,
ბალხეთის გამონაფონის
და ცრემლის ალგეთურისა.

*

ყამარსა და ამირანსა
ზეცის სხივი ადგათ თავსა,
ჭვრეტა მათი სილალისა
ქაცს გახდიდა უნახავსა,
მტერი იყო თუ მოყვარე,
ვერ იტყოდა მათსა ავსა.
ოსტატობით მეშაირე
გულის ძარღვებს სიმად რთავსა
აჯაბთ ისე წელოგნობდნენ,
რომ არავის უნახავსა,
შხიარულად ნადიმობდნენ,
სხვა ნადიმი მას არ ჰგავსა.

*

მკირეთა და დიდებულთა,
ყველას გასცეს საბოძვარი,
სტუმართ ჭარბად მოართვიან
სამოსელი მრავალგვარი,
კლიტე მოხსნეს საჭურჭლეთა,
გააუქმეს მათი კარი,
მამა-პაპის დანადები
დღეს არაა სანუკვარი.
ერთმანეთის მოკითხვაში
გული იწვის, ვითა კვარი.

22. პატარი უგერეანი ნაძირობისა

შვიდი დღე-ღამე გაგრძელდა
 ყიუინი ნადიმობისა,
 მერვესა დღესა დაასკვნეს
 სეირი ნადირობისა.
 ველი შეიქმნა საჩენლად
 სიმტკიცის და გმირობისა—
 ყრმანი სტყორცნიდნენ ისარსა,
 ვით დღეთა ნაპირობისა.

*

იმათ ზეიმს და სიამეს
 დღეს წარეხოცა საზღვარი:
 ხევშიგან ჩამოდიოდა
 სისხლი, ნადირთა ნაღვარი,
 ბაზიერთ, მეავაზეთა
 დღე არ ახსოვდათ ამგვარი,
 მუნ დახოცილთა ნიდირთა
 აღარ ყოფნიდა წამგვარი.
 შუაგულ ველზე—გორაკზე,
 სხივებში იჯდა ყამარი,
 სხივების მფრქვეველ მაჯაზე
 მს უჯდა ქორი მწყაზარი.
 ანაზღად ირგვლივ დაბნელდა,
 გრგვენგა მოისმა საზარი,
 ჰგავდა თუ ზეცას თაღამდე
 მოედო ქვეყნის ხანძარი,
 მალლითგან დამწვარ მნათობთა
 ქვეყნიდ ცვიოდა ნაცარი.

ბრძენი სულელსა ედარა—
 ვერ მიმხდარიყო რაც არი.
 ამირანს შემოძარცვოდა
 შისი ამაღა და ჯარი.
 იჭითხეს, არვინ იცოდა
 თვით ამირანი საღ არი.

*

გათენდა, თითქოს ქვეყანას
 დააჩნდა ფერისცვალობა,
 მხედართა მაღლი მიიღეს:
 კვლავ ნახეს ზეცის წყალობა.
 ყამარის კვალი არ სჩანდა—
 დასრულდა ღმერთის ქალობა,
 სხივს, დაბრუნებულს ზეცაში,
 ჟეხვდა მნათობთა გალობა.
 ეულად დარჩა ამირან,
 ზეცად არგუნა ცალობა.

23. ემბავი ღმართთა მსჯავრისა

ვერ აიქცევენ ღმერთებიც
 მსჯავრს შავ-ბედისა მუხთლისა.
 ზეციერთ ესმათ ამბავი
 ბედშავი ღრუბელთ უფლისა:
 ღამარცხება და მოტეხა
 ცაშიგან სავალ მუხლისა.
 შეშფოთდა მთელი სამყარო
 მიღმა ზეციერ ზღურბლისა,
 მწარედ გაისკვნა ნაოჭი
 ღმერთთმთავარ—დარის შუბლისა:

ვთრ ითმენს ცოდვას ჩავენილს
 არსთაგან მის საუფლისა.
 წარგზავნა ქარის ფრთებითა
 გზირი შავისა ღრუბლისა:
 დღე აღეკვეთოს ამირანს
 კაცისა თავისუფლისა.

*

ზეცაში ვინ მოითმენდა
 კაცისა აჯანყებასა,
 ვინ იაზრებდა, რომ კაცი
 ღმერთს მოუტანდა ვნებასა?
 ვის შეუძლია ეურჩოს —
 სხივოსან დარის ნებასა,
 ან ქვეყნის სახით გაშლილსა
 ვის მართვის ხელოვნებასა?
 ამაოდ იყო დაუთმო
 ნდომას და გემოვნებასა,
 ოდეს გულგრილად შეხედა
 დალისა შეცოდებასა,—
 რა ექნა — სქესა თან ახლდა
 მთელ ქვეყნის განრიგებასა.
 ღმერთებიც ველარ გაღურჩა
 იმის ნაყოფის რგებასა.
 კაცი ამირან უქადის
 ქვეყანას აოხრებასა:
 დარი დაასკენის საშსჯავროდ
 ზეციერთ შემოქრებასა.

*

კავკასიონის ქედზედა
 გაშლილა თეთრი ქარავი,
 მწვერვალი მისი ბოძია,
 ცის თალი — მისი მფარავი.

გარშემო უვლის ეთერი,
 ციურ სიამით მცვარავი.
 წესსა ამყარებს მორიგე,
 უამისგან წუთის მპარავი.
 ტაროსმა გასცა ბრძანება,
 მთიების გულის მხარავი,
 საყვირშა ცაში გასტყორცნა
 ხმაური, კლდეთა მზარავი.

*

შემოკრბა ღმერთთა კრებული,
 ქვეყნის უფალი—დარია.
 იშისი ბრძნული ბრძანება
 სიმართლის საწინდარია.
 მარცხნივ ელვარე შუბითა
 უზის უფალი არია.
 კვირიას განსასვენებლად
 დარის მარჯვენა მხარია.
 ვობი, მაღლითგან მოსული,
 ჯუმა ღმერთისა დარია,
 ოჩიმ უგულოდ დასტოვა
 ნადირთა საბუდარია.
 ჭინკებისა და გზირების
 მოსულა მთელი ჯარია,
 იმათი სამყოფელია
 ქვედა ღრუბლისა ზოვარია.
 ელია მოდგა კოჭლობით,
 ძლიერ შემოაღო ქარია,
 ღრუბლების ნოხტე მოთავსლა
 ბედისგან განამწარია.
 დარი ავდირად ქცეული
 მრისხანედ მოუბარია:

*

— „ამირან დარჯალანის ძე
 აღუდგა ლმერთთა სამყაროს,
 თავხედად ფიქრობს ზეცაში
 ქვეყნისა წესი ამყაროს:
 გმირთა ყოველგნით მძლეველმა
 ლმერთებიც რომ ასაპყაროს,
 გასთელოს ძველი წესები,
 ზეცას ჰატივი ამყაროს,
 მას გამოსტაცოს სხივები,
 თავხედ გვირგვინად ატაროს.
 კაცთა მოდგმისა მოძალემ
 თავი ლმერთებსა ადაროს,
 არ მორჩილებდეს არც ბეჭაა,
 არც მორჩიგეს და არც ტაროსს.

*

მას შერჩა ზეცის წინაშე
 ცოდვები არ ერთხელია,
 იძისი მტრობა ჩენდამი
 არ ახალია, ძველია,
 თქვენც იცით თუ რა დღეშია
 ლრუბელთ უფალი ელია,
 მე ვბრძანებ, რომ ამირანი
 სიკვდილით დასასჯელია!“

*

— „მართალსა ბრძანებ, მთავარო,—
 მოუბნობს ლმერთი კვირი—
 ამ კაცის თავგასულობა
 მართლაც რომ გასაკვირია.
 იმისი ყოფნა ცოცხლებში
 ლმერთთათვის დიდი ჭირია“. 139

დარის ნათქვამზე ღმერთებშე
დაისკვნეს ერთი პირია.
ჯუმბა ჩაეგა ბჭობაში,
თუმც იყო სიტყვა-ძვირია:

*

— „ყოველ უამს მქონდა პატივი
დარისა, ღმერთთა მამისა,
დღეს ვეურჩები პირველად
უფალსა დასაბამისა,
არ გვარგებს თქვენი ნაფიქრი—
არ ვარ თანახმა ამისა:
ამირანისა სიკვდილი
არის სასჯელი წამისა.
ველარ მიხვდება სიმწვავე
ნეშთს უსიცოცხლო გვამისა.
სასჯელი მაშინ სასჯელობს,
თუ არს გრძელისა უაშისა,
სასჯელსა მივსცეთ, უცნობსა
კაცისა მონადგამისა—
დღე-ლამ იცოდეს სიმწარე
ჭირისა და ვარამისა.“

*

ღმერთთა წინაშე მეტყველობს
ილია დაკოჭლებული:
— „მთელი ქვეყანა ამირანს
მალით ჰყავს დამონებული.
ძნელად თუ ვინმე შთენილა
იმისგან არა-ვნებული.
გამოქვაბულში დავაგდოთ
ჯაჭვითა მიმაგრებული —

ზეცაც იქნება უვნები,
 და ხალხიც გახარებული. ა
 ელიას აზრსა სიამით
 შეხვდა ზეციერო კრებული;
 მხოლოდ დალი და ყამარი
 უსმენდნენ გაფითრებული.

24. ამბავი ამირანის მიჯაჭვისა

მოებში ნაზარდსა არწივსა
 ნეტა რა უნდა ბარადა!
 ამირანს, ცალად დარჩენილს,
 ჭირი მოადგა კარადა:
 ბედის საგალი ბილიკი
 სჩანს უბედობის შარადა.
 გული — მყინვარის ნაკვეთი,—
 ჩამოლნა ცრემლის ღვარადა.

*

კავკასიონის წალკოტებს
 გროვა მოადგა ხალხისა,
 ველი და ბორცვი ვერ უძლებს
 მოსვლას იხალი ტალღისა,
 ქვეყანა შეშფოთებული —
 პირმშო მნათობის კალთისა.
 გზასა აჩვენებს მავალთა
 ფერი მტვერისა თალხისა,
 საკვირველებას შეუკრავს
 პირი დედის და ბალღისა.

*

მოსჩანდა თეთრი გუმბათი
 კარავის, მთაზე ძღვომისა,
 სად ხალხი სხივებს ჰელავდა
 ღმერთ-დარის, თავში მჯდომისა.
 მოისმა ამირანზედა
 ხმა ზეციერთა წყრომისა,
 გასამართლება უნდობი
 ქვეყნიერების ლომისა.
 შეშინდა ხალხი, ნაშობი
 გაჭირვების და შრომისა:
 ახსოვდა ამირანისგან
 მაღლი დევებთან ომისა,
 რომ დაარჩინა, არ გახდნენ
 მსხვერპლი იმათი ნლომისა.
 ხმა ისმის ხალხთა ლოცვისა,
 ღმერთებთან მისაწვდომისა:
 — „ბატონებო, უხიოდეთ
 კაცის ნაშიერსა.
 ბატონებო, მოუსმინეთ
 ლოცვა ცაში ერსა.
 ამირანის უყოლობა
 გაგხვდის შთალად მშიერსა.
 უხიოდეთ, ბატონებო,
 კაცის ნაშიერსა!“

*:

დარი ვანრისხლა, რომ ხალხი
 ეორჩა ნებას ლვთისასა,
 მეხით და გრგვინვით აცნობებს
 ხალხსა ზეციერთ რისხეასა.

ელვით ნატყორცნი ისარი
 ნაპრალსა მოხვდა კლდისასა:
 განათდა განოქვაბული,
 ხახასა ჰგავდა მოისასა.
 კაცი დგა ჯაჭვით მიბმული,
 ჰგავდა აჩრდილსა ქვისასა.

*

ხალხო, საღ იყავ, ბეჩავო,
 როცა შავი დღე დგებოდა,
 ცა ჰექლა, მიწა გმინავდა,
 ჯოჯოხეთს ედარებოდა,
 ამირანისა სასჯელად
 ჯაჭვი რომ იჭედებოდა,
 რკინა გრდემლზედა ხვიოდა,
 სამჭედლო ექანებოდა,
 მჭედლები-მემჭედურები
 ერთმანეთს ეფარებოდა?!

*

ნეტავი ვინ-ღა იფიქროს
 კაცთა მოღგმისა ბედზედა?
 დალამდა. ნისლი დაეშვა
 კავკასიონის ქედზედა.
 ზეცამ დასწყევლა ჭაბუკი,
 ჯაჭვით მიაბა კლდეზედა,
 გერგეთის მთა და გორაკი
 სახლად დაუდგა სერზედა.

ს პ ჩ ჩ 0 3 0

III

| | |
|--|-----|
| შესაგალი—შ. ნუცუბიძე | |
| 1. ამბავი სულკალმაზისა და დარჯალანის შეხვედრისა და სიყვარულისა | 1 |
| 2. ამბავი სულკალმაზის მეუღლისა და ბეჭი ოქროს ნაწნა- ვისა | 8 |
| 3. ამბავი უბედური სიყვარულისა | 12 |
| 4. ამბავი ამირანის დაბადებისა და მისი დედ-მამის გადა- კარგვისა | 17 |
| 5. ამბავი ამირანისა და მისთა ძმათა შეიარაღებისა | 22 |
| 6. ამბავი სამთა ძმათა ალგეთში წასელისა | 26 |
| 7. ამბავი ნადირობისა და ცამცუმის კოშკის პოვნისა | 30 |
| 8. ამბავი ბაყბაყდევისა | 36 |
| 9. ამბავი ამირანისა და ბაყბაყდევისა | 41 |
| 10. ამბავი ამირანის წასელისა ყამარის ძებნად | 45 |
| 11. ამბავი სამი ვეშაპის შეხვედრისა | 49 |
| 12. ამბავი სამ ვეშაპთან შებმისა | 53 |
| 13. ამბავი ამირანის გადარჩენისა და იგრი ბატონთან წას- ვლისა | 56 |
| 14. ამბავი ამირანის წასელის ყამარის ძებნად და ახალი თავებადასაგალნი | 61 |
| 15. ამბავი დევის ჭალისა | 64 |
| 16. ამბავი დევებზე გამარჯვებისა | 69 |
| 17. ამბავი ნადიმობისა | 72 |
| 18. ამბავი ამბრი ჭაბუკისა | 75 |
| 19. ამბავი ამირანის გამგზავრებისა ამბრის შესაყრელად | 85 |
| 20. ამბავი ამირანის ყამართან წასელისა | 94 |
| 21. ამბავი ამირანის ქორწილისა | 128 |
| 22. ამბავი უბედური ნადირობისა | 135 |
| 23. ამბავი ღმერთთა მსაჯვრისა | 136 |
| 24. ამბავი ამირანის მიჯაჭვისა | 141 |

А М И Р А Н И

Мифологическая поэма
восстановленная и реставрированная

Ш. НУЦУБИДЗЕ


(На грузинском языке)
Изд. „Сабчота Мцерали“

19 Тбилиси 45

რედაქტორი: ა. აბაშელი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/II-45 წ. სასტამბო ფორმათა
რაოდენობა 11, საავტორო ფორმათა რაოდენობა 10,
ტირაჟი 5100 შეკვეთის № 1066 უე 00249

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“
თბილისი, ლენინის ქ. № 28



Digitized by
Digitized by
Digitized by
Digitized by